

**საბარელ-ეკონომიკური
ეაცნოებებსა
და
ტექნოლოგიები**

№2

**თბილისი
2018**

ბრძანელ-ეკონომიკური
ააცნოებება
და
ტექნოლოგიები



ISSN 1987-6335

**სამრარტულ-ეკონომიკური
მეცნიერება და ტექნიკური გიგანტი
2018 №2(39)**

საერთაშორისო სამაცხოველო-
ეთოლოგიური და პრაქტიკული,
ყოველყოვანთაღური რეზერვირებული
ჟურნალი

**Agrarian-economic
Science and Technologies
2018 №2(39)**

International Scientific-
Methodological and Applied,
Quarterly Referenced Journal

2018 №2(39)

ჟურნალი დაფუძნდებულია და გამოდის
2008 წლიდან, ყოველკვარტალურად

**Journal was Founded in 2008
and is issued quarterly
599-22-75-50**

E-mail: areal 55555@gmail.com
www. gaas.dsl.ge

**თბილისი- Tbilisi
2018**

ომარ ქეშელაშვილი

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭო:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები: გ.ალექსიძე, ნ.ბალათურია, ჯ.გუგუშვილი, ჯ.კაციტაძე, პ.კოლუაშვილი, გ.მარგველაშვილი, რ.მახარობლიძე, ნ.ქარქაშაძე, ნ.ჩხარტიშვილი, ე.შაფაქიძე, ზ.ცექიტიშვილი, გ.ჯაფარიძე.

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს უცხოელი წევრები:

პროფესორები: მარტინ აპენბრიკი (გერმანია), სერგი კაზარიანი (სომხეთი), ალექსეი სიზონოვი (უკრაინა), იან პიკული (პოლონეთი), იოსეფ კანია (პოლონეთი), ანდრეი ლეპარჩიკი (პოლონეთი), ჩაბა ჩაკი (უნგრეთი), პანორმინ ცენტრი (ბულგარეთი), სადიგ სალახოვი (აზერბაიჯანი), გალიბ გაჯიევი (აზერბაიჯანი).

საგამომცემლო-სარედაქციო კოლეგი:

დაგიშვილი-მთავარი რედაქტორის მოადგილე, აკადემიური დოქტორი, ე.შაფაქიძე-სმე აკადემიის აკადემიკოსი, ა.მესხიშვილი-აკადემიური დოქტორი, ნ.დამენია-აკადემიური დოქტორი, მ.ჩავლეიშვილი-აკადემიური დოქტორი.

O. Keshelashvili

Editor-in-chief and Head of Editor-Scientific Board; Doctor of Economic Sciences; Professor; Academician of the Academy of Agricultural Sciences

Editorial-scientific Board:

Academicians of the Academy of Agricultural Sciences: G.Aleksidze, G. Baghaturia, J.Gugushvili, G.Margvelashvili, R. Makharoblidze, G. Japaridze, N. Karkashadze, J. Katsitadze, P.Koguashvili, N. Chkhartishvili, Z.Tskitishvili, E.Shapakidze.

Foreign members of Editorial-Scientific Board:

professors: Martin Apenbreke (German); Sergi Kazarian (Armenia), Aleksei Sizonov (Ukraine), Ian Piculi (Poland), Jozef Kania (Poland), Andrzej Lepiarczyk (Poland), Chaba Chaki (Hungary), Panomir Tzenov (Bulgaria), Sadig Salakhov (Azerbaijan), Galib Gadjiev (Azerbaijan),

Publishing Board

D.Egiashvili-Deputy editor, Academic doctor, E.Shapakidze- academician, A.Meskishvili-Academic doctor N.Damenia-Academic doctor, M. Chavleishvili-Academic doctor.

1. აგრარული ეკონომიკა

Agrarian Economy

მარცვლეულის ფარმატის, როგორც
სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის
პრიორიტეტული მიმართულების მნიშვნელობა,
მისი სამსახურთმ-სამართლო ბალანსი და
აროპონტი

ომარ ქეშელაშვილი-
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

რეფერატი (ინტერნეტული ვერსია)

აღნიშნულია მარცვლეული მეურნეობის, როგორც სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულების განვითარებას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და პრიორიტეტული პოზიციები. მოცემულია საქართველოში, პურისა და პურპროდუქტების სასურსათო მინიმუმი 1 სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ფიზიოლოგიური ნორმების მიხედვით, აგრეთვე მარცვლეულის მიხედვით სასურსათო კალათის შემადგენლობა.

საყურადღებოა სასურსათო ბალანსის შედეგები. ხორბლის საკუთარი რესურსი შეადგენს 75, იმპორტი-788, მთლიანი რესურსი (მარაგის ჩათვლით)-1028; ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მოიხმარება (კგ-ით): ხორბალი-110 (ფიზიოლოგიურ ნორმასთან შედარებით 87,3%), სიმინდი 24 (60%). ერთ სულ მოსახლეზე იწარმოება (კგ-ით) ხორბალი-18; სიმინდი-81.

მოსახლეობის 50% ღებულობს საგრძნობლად მცირე კილოკალორიას (2150 კ/კალ დღე-ღამეში) ვადრე ეს დადგენილია ფიზიოლოგიური ნორმით (2800 კ/კალ), ხოლო მოსახლეობის დაახლოებით 22% ღებულობს იმაზე ნაკლებს ვადრე კრიტიკული დონეა (1800), რასაც სამედიცინო თვალსაზრისით არავითარი გამართლება არა აქვს.

კვების რაციონში პურ-პროდუქტებზე მოდის 60%, მაშინ როცა საერთაშორისო სტანდარტით იგი შეადგენს 15-30%, ამასთან, დაბალია საქართველოში მიღებული სტანდარტი-2399 კ/კალორია დღე-ღამეში. საერთაშორისო ნორმით იგი შეადგენს 2450 კ/კალორიას.

2014 წელს ხორბლის იმპორტის საფასური შეადგენდა 151,7 მლნ. ლონარს. ექსპორტისა 39,8 მლნ. ლონარს.

როგორც წესი, ექსპორტისა და იმპორტის რეგულირება უნდა ხდებოდეს ეკონომიკური ბერკეტების მარჯვე გამოყენებით, სწორი სამარკეტინგო სტრატეგიითა და მოქნილი მენეჯმენტით.

სახელმწიფოუნივერსიტეტი მნიშვნელობისა და პრიორიტეტული პოზიციების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მარცვლეული მეურნეობის, როგორც სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულების განვითარებას. მარკეტინგული სტრატეგიის შესაბამისად, სასურსათო მარცვლეული კულტურების (ხორბალი, ქერი, სიმინდი) და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების (ლობიო, ბარდა, სოიო, მუხუდო, ოსპი) მოყვანა მეტ-ნაკლები მასშტაბით თითქმის ყველა რეგიონში შეიძლება, თუმცა, მის რეგიონულ რეგულირებას ახდენს ისტორიულად ჩამოყალიბებული ობიექტები ფაქტორი-მოსახლეობის სპეციფიკური მოთხოვნები, რომლის შესაბამისადაც აღმოსავლეთ საქართველოში უპირატესად მოიყვანება და მოიხმარება ხორბლეული, ხოლო დასავლეთში-სიმინდი. ეს გარემოება მნიშვნელოვანი გავლენას ახდენს მარკეტინგულ ბაზებზე და საბაზრო უზრუნველყოფაზე.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მრავალდარგოვანი სტრუქტურა, რაც ობიექტური ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების გავლენით არის ჩამოყალიბებული, საშუალებას არ იძლევა ძირითადი სასურსათო პროდუქტები, მათ შორის სასურსათო და საფურაუე მარცვლეული, გამოკვეთილი მინიჭნებით კი ხორბალი, ვაწარმოოთ იმ მოცულობით, რომ მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს, როგორც საქართველოს მოსახლეობის, ისე, მითუმეტეს ტურისტებისა და საკურორტო და სამკურნალო კერძოში მყოფ დაშვენებელთა (რომელთა რიცხვი წლითი-წლითი გაიზრდება) მოთხოვნილება.

პერსპექტივაში კი, თუ გავითვალისწინებთ და მხედველობაში მივიღებთ მაღალ და ინტენსიურ ტექნილოგიებს, სელექციისა და გენეტიკის მიღწევებს, ჰიბრიდიზაციის ძალას და, ამის საფუძველზე პროგრამირებული მოსავლის მიღების პოტენციურ შესაძლებლობებს, ამ შემთხვევაში, საქართველო, საკუთარი წარმოებით შეძლებს დაიკმაყოფილოს მარცვლეულზე სასურსათო მოთხოვნილება, მაგრამ, ეს, ჯერვერობით თეორიულ და მეცნიერულ ჩარჩოებს არ სცილდება.

ამიტომ, ჩვენ, არ უნდა გამოვედევნოთ და არ უნდა გაგვიტაცოს მარცვლეულით სწაფად თვითდაგმაყოფილების კონცეფციამ და პრაქტიკული თვალსაზრისით აქცენტი უნდა გავაკეთოთ და ორიენტირად უნდა მივიჩნიოთ ის გზა, რომელსაც თვით ბუნება გვთავაზობს და

გვეკარნახობს, რაც იმას ნიშნავს, რომ პოტენციურად და აგრო-ბიოლოგიურად ვარგისი სავჭახე ფართობები უნდა დაიკავოს მხოლოდ ვენახმა; სახეხილე ფართობები-ხეხილოვანმა კულტურებმა და ისიც შერჩევითა და გამოზომილად: ოქსლოვნებმა, კურკოვნებმა, კაკლოვნებმა, კენკროვნებმა; ჩაისა და სუბტროპიკული კულტურებისათვის ვარგისი ფართობები სწორედ ამ კულტურებმა; საბოსტნე-საბაღე-ბოსტნეულ-ბაღჩეულმა; საკარტოფილე-კარტოფილმა; საბაღ-ახე-სათიბ-საძოვრებმა და ა.შ.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ასეთი გაადგილება და განაწილება საქართველოს ბუნების დაუწერელი კანონია და თუ ამ წესრიგს დავუჯერებთ და მივყვებით, მას ზედმიწენით მოერგება და შეეთანაწყობა მთელი ტექნოლოგიური არსენალი და პოტენციალი, შესაბამისად, საწარმოო ინფრასტრუქტურა და საბოლოო შედეგად წარმოების მაღალი ეკონომიკური უპუგება.

საიმპორტო პოზიციებიდან გამომდინარე საქართველოს საბაზო სეგმენტები მოსახლეობის მოთხოვნილების შესაბამისად რომ გაჯერდეს აუცილებელი იქნება ისეთი ძირითადი სასურსათო პროდუქტების იმპორტი (ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცვალებადი მოცულობებით), როგორიცაა: მარცვლეული, ხორცი, რძე და ხორცისა და რძის პროდუქტები, მეფრინველეობის პროდუქტია, ცხიმეული, აგრეთვე პროდუქციის კონკურენტუნარიანობისა და საბაზრო კონიუნქტურის შესაბამისი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო და კვების მრეწველობის პროდუქტები, რომელიც ეტაპების მიხედვით ცვალებადი მოცულობითა და პროპორციებით იქნება შემოტანილი.

საქართველოში, პურისა და პურპოდუქტების სასურსათო მინიმუმი 1 სულ მოსახლეზე ფიზიოლოგიური ნორმების მიხედვით დღიურად შეადგენს 0,35 კგ-ს, ენერგეტიკული ღირებულება უდრის 735 კკალ/დღ (26,25), წლიურად-10,5 კგ-ს. პროდუქციის შესაძენი თანხა უდრის 13,6 ლარს.

მარცვლეულის მიხედვით სასურსათო კალათის შემადგენლობა, წლიურად, ასეთია: ხორბლის პური-91 კგ; ხორბლის ფქვილი-26 კგ; სიმინდის ფქვილი-15 კგ; ლობიო-7 კგ; ბრინჯი-4 კგ; ბურლულეული (მანანის, წიწიბურის, და სხვა)-4 კგ; მაკარონის ნაწარმი-4 კგ.

სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებელი საქართველოში დაახლოებით შემდეგნაირად გამოიხატება: ადამიანთა რაოდენობა, რომელიც არასაკმარისად იკვებება შეადგენს 1 მლნ-ს, მოშიშმილეთა რაოდენობა მოსახლეობის საერთო რაოდენობაში შეადგენს 24,7%. ეს მაჩვენებელი მსოფლიოში შეადგენს 12,5 %, განვითარებად ქვეყნებში 14,9 %, განვითარებულ ქვეყნებში 5%-ზე ნაკლებს.

იმის გამო, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია თანამედროვე მო-
თხოვნებზე მორგებული საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების
სტრატეგიული პროგრამა, თავისი ურთიერთშრომასწორებული შემა-
დგენელი ნაწილებით და ამის შესაბამისად ეკონომიკის მართვის სრუ-
ლყოფილი მექანიზმით, იკარგება და გამოყენებული რჩება მძლავრი
მატერიალური და ინტელექტუალური პოტენციალი, რომლის სწორი
ამოქმედების შედეგადაც საქართველოს შეუძლია ეკონომიკურად ძლი-
ერი ქვეყანა და საერთაშორისო მასშტაბით საიმედო პარტნიორი
იყოს.

ხაზგასასმელია, რომ ცხოვრების დონის განმსაზღვრელი და სა-
სურსათო უზრუნველყოფის ძირითადი მაჩვენებლებით საქართველო
საგრძნობლად ჩამორჩება ეკონომიკური და კერძოდ სასურსათო უსა-
ფრთხოების კრიტიკულ პარამეტრებს, რომლის ძირითადი მიზეზი
არსებული პირობებისა და შესაძლებლობების, სახელმწიფო სპეცია-
ლური პროგრამის ჩარჩოებგარეშე, არარაციონალური და დიდი
ხარვეზებით გამოყენებაა.

როგორია ქვეყნის საკეთით თვითუზრუნველყოფის პროცენტი?
საერთაშორისო ნორმაა, რომ იმპორტი არ უნდა აღემატებოდეს
სასურსათო პროდუქტების 20%. აბსოლუტურად 100-ვე პროცენტით
თვით აშშ-ც ვერ უზრუნველყოფს თავის მოსახლეობას. საქართვე-
ლოში ეს ზომა აღემატება 70 პროცენტს.

სასურსათო უსაფრთხოების ჯაჭვი მთლიანად ქვეყანაში, ხელმი-
საწვდომობიდან მოხმარებამდე, ძირითადად ფუნქციონირებს ბაზრის
სტიქიური მექანიზმის პირობებში და მას ერთიანი სისტემის სახე არ
გაჩნია.

მეცნიერ-ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ საქართველო სასურსათო
უსაფრთხოების ყველა დონეზე (სახელმწიფო, საოჯახო თუ ინდი-
ვიდუალურ დონეზე) არის სასურსათო უსაფრთხოების დაბალი დო-
ნის, ძალიან მაღალი რისკის შემცველი ქვეყანა. მსოფლიო სასუ-
რსათო უსაფრთხოების კომიტეტის განმარტებით, სასურსათო უსა-
ფრთხოება არსებობს მაშინ, როდესაც თითოეულ ადამიანს ნებისმიერ
დროს გააჩნია ფიზიკური, სოციალური და ეკონომიკური წევობა სა-
კმარისი რაოდენობის უსაფრთხო და ხარისხიან საკვებზე, რომელიც
საშუალებას იძლევა, დაკმაყოფილდეს მათი საკვებზე მოთხოვნები და
არჩევანი შესაბამის სანიტარულ და სა-მედიცინო მომსახურების პი-
რობებში ჯანმრთელი (ჯანსაღი) და აქტიური ცხოვრების წესის და-
ცვისათვის.

თითქმის ყველა ქვეყანას გააჩნია კანონი ან პროგრამა, სადაც
განსაზღვრულია სასიცოცხლოდ აუცილებელი პროდუქტების ჩამონა-

თვალი. საქართველოში ასეთი ჩამონათვალი დოკუმენტებში არ არსებობს. სოფლის მუნიციპალიტეტის განვითარების მიღებულ სტრატეგიაში პირველად გამოჩნდა ასეთი ჩამონათვალი, თუმცა ეს ჩამონათვალიც არის კონტექსტური.

ამის შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაციისა და მთელი აგრარული სექტორის მყარი განვითარების მიზნით, აუცილებელი ხდება, ცნობილ მეცნიერთა ერთობლივი ძალის ხმევით დამუშავდეს სახელმწიფო მნიშვნელობის, გამოყენებითი ხასიათის, საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიული პროგრამა.

ამ ფორმატში დამუშავდება საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების და ამის შესაბამისად ადგილობრივი მოსახლეობის და ტურისტთა და დამსვენებელთა სურსათით, მათ შორის მარცვლეულით, სტაბილური უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულებები და კონკრეტული ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები, რაც დამყარებული იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობის დარღობრივი სტრუქტურის სრულყოფისა და საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალის რაციონალურ გამოყენებაზე, სოფლად ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმირებების ეკონომიკურად მომგებინ ფუნქციონირებაზე, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მართვის სრულყოფილ, ინსტიტუციურად უზრუნველყოფილ ეკონომიკურ მექანიზმზე, საქართველო-სამპორტო ბალანსის სწორ დაცვაზე, საწარმოო ინფრასტრუქტურის დონის მნიშვნელოვნად ამაღლებაზე, ინტელექტუალური რესურსების მაქსიმალურად მიზნობრივ გამოყენებაზე, მყარ სამართლებრივ გარანტიებზე.

დამუშავებული პროექტის (სტრატეგიული პროგრამის) რეალიზაციის ძირითადი განმსაზღვრული იქნება თვით მასში მოცემული ეკონომიკური მექანიზმისა და სამართლებრივი ნორმების უპირობო და საგალდებულო დაცვა და შესრულება, რასაც, ასევე თვით პროგრამაში ჩამოყალიბებული შესაბამისი დამცავი მექანიზმის გამოყენება შეუწყობს ხელს.

პროგრამის რეალიზაცია მოითხოვს სისტემატიურ მეცნიერულ კონსულტაციებსა და ზედამხედველობას, საჭირო კორექტირებებისა და დაზუსტებების ეტაპობრივად შეტანას, რეგიონული, საგარეო-ეკონომიკური, მარკეტინგული მოტივაციებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით. ეს იმას ნიშნავს, რომ პროგრამის შედგენა არ არის ერთჯერადი აქტი. იგი დინამიურ სისტემად ფალიბდება, რაც იმის აუცილებლობას იწვევს, რომ საქართველოში შეიქმნას სასურსათო უსაფრთხოების მუდმივმოქმედი მიზნობრივი ცენტრი, რომელსაც განსაზღვრული ექნება ფუნქციები და ულება-მოვალეობანი.

საფურადდებოა სასურსათო ბალანსის შედეგები, რაც ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის განმსაზღვრელია.

როგორც ფაქტობრივი მონაცემებიდან ჩანს (ათას ტონბით): ხორბლის საკუთარი რესურსი შეადგენს 75, იმპორტი-788, მთლიანი რესურსი (მარაგის ჩათვლით)-1028; აღნიშნული მონაცემები კარტოფილის მიხედვით შეადგენს: 229, 52 და 381; ბოსტნეულის-190, 64 და 361; შაქრის-134, 253 და 736; მცენარეული ცხიმის- 6, 30 და 38; ყურძნის-227, 8 და 402; ხორცის-69,0, 53,3 და 124,1; რძისა და რძის პროდუქტების- 625, 77 და 722; კვერცხის (მლნ. ცალი)- 438,0 და 44.

ამის შესაბამისად, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მოიხმარება (კგ-ით): ხორბალი-110 (ფიზიოლოგიურ ნორმასთან შედარებით 87,3%), სიმინდი 24, კარტოფილი-47 (76,8%), ბოსტნეული-58 (43,5%), მცენარეული ცხიმი-8; შაქარი-40; ყურძნი და ხილი 36 (55,4%), ხორცი და ხორცის პროდუქტები 27 (37,5%), რძე და რძის პროდუქტები-135 (39,0%), კვერცხი-85 (ცალი (35,4%).

ერთ სულ მოსახლეზე იწარმოება (კილოგრამბით 2013 წ.) ხორბალი-18; სიმინდი-81; კარტოფილი-66; ბოსტნეული-46; ხორცი-11; რძე-135.

ირკვევა, რომ საქართველოში ცხოვრების საარსებო მინიმუმის საერთო რაოდენობაში (156 ლარი), საკვებზე მოდის 70%. მსოფლიო სტანდარტით იგი უნდა მერყეობდეს 15-30 %-ის ფარგლებში.

წლიური მოთხოვნილება სასურსათო ხორბალზე 700-800 ათასი ტონაა, ხოლო საფურაჟეზე 350 ათასი ტონა. ყოველწლიურად შემოგვაჭვს 774-791 ათასი ტონა.

დიდია სხვაობა ადგილზე წარმოებულსა და მოხმარების ნორმატიულ მაჩვენებლებს შორის. ამ მხრივ სხვაობა ხორბლის მიხედვით შეადგენს 112 კგ-ს, ბოსტნეულის მიხედვით-89 კგ-ს, ხილის-38 კგ-ს, ხორცისა და ხორცის პროდუქტების-61 კგ-ს, რძისა და რძის პროდუქტების-215 კგ-ს.

მოსახლეობის 50% ღებულობს საგრძნობლად მცირე კილოკალორიას (2150 კ/კალ დღე-დამეში) ვიდრე ეს დადგენილია ფიზიოლოგიური ნორმით (2800 კ/კალ), ხოლო მოსახლეობის დაახლოებით 22% ღებულობს იმაზე ნაკლებს ვიდრე კრიტიკული დონეა (1800), რასაც სამედიცინო თვალსაზრისით არაგითარი გამართლება არა აქვს.

პურისა და პურ-პროდუქტების მოხმარება 1,8-2,0 ჯერ მეტია ფიზიოლოგიურ ნორმასთან შედარებით. კვების რაციონში პურ-პროდუქტებზე მოდის 60%, მაშინ როცა საერთაშორისო სტანდარტით იგი შეადგენს 15-30%, ამასთან, დაბალია საქართველოში მიღებული

სტანდარტი-2399 კ/კალორია დღე-დამეში. საერთაშორისო ნორმით იგი შეადგინს 2450 კ/კალორიას.

მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული პროდუქციის მოცულობა (კგ)

პროდუქცია	2000 წ.	2010 წ.	2013 წ.
მარცვლეული	91	90,9	107,7
ნორბალი	19	12	18
სიმინდი	64	32	81

ხორბლის იმპორტი შეადგენდა: 2007 წელს 788 ათას ტონას, 2010 წელს 797 ათას ტონას, 2014 წელს 566,9 ათას ტონას. 2014 წელს ხორბლის იმპორტის საფასური შეადგენდა 151,7 მლნ. ლირას. ექსპორტისა 39,8 მლნ. ლირას.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროდუქციის ექსპორტი-იმპორტის მაჩვენებლები ბოლო წლების მიხედვით შემცირების ტენდენციით ხასიათდება.

მთლიან ექსპორტში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წილი წლების მანძილზე მცირდება 35,1-დან 24,2%-მდე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საექსპორტო პროდუქციის წარმოებას არ ექცევა სათანადო ყურადღება. ექსპორტში ძირითადი ნაწილი სოფლის მეურნეობაში პროდუქტებიდან მოდის ალკოჰოლურ, უალკოჰოლო და თამბაქოს ნაწარმზე და იგი მერყეობს 64,5-დან 70,9 %-მდე. რაც შეეხება იმპორტს, აյ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წილი 16,0-20,0 %-ია და აქც იმპორტის ძირითადი ნაწილი ალკოჰოლურ, უალკოჰოლო და თამბაქოს ნაწარმზე მოდის-46,0 და 50,8%.

სასურსათო პროდუქტების წარმოების შემცირებამ გამოიწვია მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის დონის შემცირება.

დასტურდება, რომ სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოებასა და მოხმარებას შორის მნიშვნელოვანი დისბალანსია. უარყოფითი ბალანსი ყველაზე თვალშისცემია ხორბლის და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და მოხმარებას შორის. აღსანიშნავია, რომ ისეთი პროდუქტების, როგორიცაა ბოსტნეული და კარტოფილი, რომელთა წარმოებაც უზრუნველყოფდა მოხმარებას, ბოლო დროს უარყოფითი ბალანსით ხასიათდება.

როგორც წესი, ექსპორტისა და იმპორტის რეგულირება უნდა ხდებოდეს ეკონომიკური ბერკეტების მარჯვე გამოყენებით, სწორი სამარკეტინგო სტრატეგიითა და მოქნილი მენეჯმენტით.

The Importance of Grain Production as a Priority in Food Safety of Georgian Agriculture; Its Export-import Balance and Proportions

O. Keshelashvili-

Doctor of Economic Sciences, professor,
Academician of the Georgian Academy
of Agricultural Sciences

Abstract (Internet Version)

The article deals with grain production as one of the important directions in food safety in Georgia. The author gives a calculation of bread consumption according to physiological norms and consumption basket per person.

The food balance results are as follows: local wheat resource in Georgia is – 75, import is - 788, and the total resource including stored product is – 1028. Consumption per person in kg is: wheat -110 (in compare with physiological norm (87,3%), and corn -24 (60%).

50 % of Georgian population get much less calories than it is defined by physiological norms (2800 k/cal), and 22% of population get calories even lower than a critical level is (1800), which has no excuse from medical and generally health maintenance point of view.

In Georgian people's food ratio bread product occupies 60%, while, according to international standards it should not exceed 15-30%.

It is accepted internationally that export-import should be regulated by proper use of economic instruments, proven market strategy and flexible management.

**საქართველოში 1992 წლიდან პერპო
საკუთრებაში გადაცემული მიზანის
რეგისტრაციის საკითხები**

ანზორ მესხიშვილი—

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
დამოუკიდებელი სერტიფიცირებული ექსპერტი
უძრავი ქონების (მიწის) საკითხებში

**რეფერატი
(ინტერნეტ-ული ვერსია)**

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1992 წლიდან დაიწყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებისა და კერძო მესაკუთრისაგან რეგისტრაციისათვის შესაბამისი თანხის გადახდის საფუძვლზე. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა დაიწყო 1998 წლიდან. სხვადასხვა არაობიექტური მიზანის გამო მიწის მესაკუთრებებს ერთი და იგივე საკუთრებაში არსებული მიწების რეგისტრაცია მოუწიათ 4-5-ჯერ, სათანადო ანაზღაურებით. 2016 წლის 3 ივნისის კანონით, თუ მიწის მესაკუთრე 2018 წლის 1 ივნისამდე არ დაარეგისტრირებს მის საკუთრებაში არსებულ მიწას, რომელიც გასულ წლებში იყო რეგისტრირებული, გამოცხადდება სახელმწიფო საკუთრებად.

როგორც ცნობილია, სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეფორმა საქართველოში დაიწყო 1992 წელს. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48, 1992 წლის 6 თებერვლის №128 და 1992 წლის 10 მარტის დადგენილებების საფუძვლზე, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების -1998 წლიდან, როდესაც 1997 წელს მიღებულ იქნა საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 1998 წლის 1 იანვრიდან, ასევე, 1998 წლის ოქტომბერში მიღებულ იქნა კანონები:

- 1. „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ (გაუქმდა 2007 წლის 11 ივნისს), 2. „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ (გაუქმდა 2007 წლის 20 სექტემბერს)**

1992 წლიდან, იმ დროს მოქმედი ნორმატიული აქტების საფუძვლზე, ყველა სოფელსა და დაბაში იქმნებოდა მიწის რეფორმის

კომისიები, რომლებიც ადგენდენ მიწის მიმღებთა სიებს, სიები მტკიცდებოდა რაიონულ კომისიაზე. რის შემდეგ ხდებოდა სახელმწიფო მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტების გამოწერა და მიწის მესაკუთრეზე გადაცემა შესაბამისი ანაზღაურებით. მიწის მესაკუთრე მიწის ფართობის სიდიდის მიხედვით იხდიდდა 30-70 მანეთის ფარგლებში (შემდეგ იყო კუპონებით ანაზღაურება). მიწებს დებულობდნენ, როგორც სოფლის, ასევე დაბისა და ქალაქის მაცხოვრებლები, დამტკიცებული ნორმითა და წესით, რომელიც რეგისტრირდებოდა რაიონის მიწათმოწყობის სამსახურში, სპეციალურად შექმნილ ჟურნალში, იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მიწათმოწყობის სამსახური ექვემდებარებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს. აღსანიშნავია, რომ აღრიცხვის დროს კეთდებოდა საკუთრებაში გადაცემული მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების სახელმწიფო აქტი ხუთ ეგზემპლიარად და შესაბამისი ტერიტორიის რუქა მესაკუთრეების რეგისტრაციით. აღნიშნული აქტებისა და რუქების გაკეთება დავალებული ჰქონდა იმ დროს არსებულ მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის საპროექტო ინსტიტუტს, (ხელმძღვანელი ა.ჩაქსელიანი) აგროსერვისის სამსახურს (ხელმძღვანელი ო. შენგალია) და სპეციალურად შექმნილ საპროექტო ჯგუფს. (ხელმძღვანელი ჩიქოვანი) ყველა დოკუმენტი ინახებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში და სამინისტროს შესაბამის რაიონულ სამსახურებში და შემდგომ კი არქივებში.

1997 წელს საქართველოში შეიქმნა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და დეპარტამენტს დაქვემდებარებული რაიონული მიწის მართვის სამმართველოები. 1997 წლის 25 ნოემბერს საქართველოში მიღებული იქნა ახალი სამოქალაქო კოდექსი. ამ კოდექსის საფუძველზე (მუხლი 1514) **დადგინდა, რომ ტექნიკური აღრიცხვის სამსახურების პარალერულად უძრავი ქონების (მათ შორის მიწის) რეგისტრაცია უნდა განხორციელებულიყო საჯარო რეესტრის სამსახურში. მანამდე მიწის ნაკვეთებისა და მასზე მდგომი შენობა-ნაგებობების რეგისტრაციას, როგორც პირველადს, ასევე მეორად რეგისტრაციას ახორციელებდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედი ტექნიკური ინვეტარიზაციის ბიუროები (ტექნიკური ინვეტარიზაციის სამსახურები). მათი საქმიანობის მიზანი იყო მოხედინათ განმცხადებლების საფუძველზე მათ მფლობელობაში არსებული უძრავი ნივთების აღრიცხვა-რეგისტრაცია. აღრიცხვის საფუძვლად მიეთითებოდა, როგორც ფაქტიური მფლობელობა, ასევე იურიდიული დოკუმენტების საფუძველზე მათ საკუთრებაში გადაცემული უძრავი ნივთები. სამოქალაქო კოდექსის 1514 მუხლის თანახმად საჯარო რეესტრის სამსახურის ჩამოყა-**

ლიბერამდე მიწის ნაკვეთების გასხვისება უნდა მომხდარიყო ტექნიკური ინვეტარიზაციის ბიუროების დახმარებითა და მათ მიერ განხორციელებული რეგისტრაციების ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში არსებული მიწის ნაკვეთების მიმაგრების აქტების საფუძველზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1515 მუხლის თანახმად კი განხორციელდა უძრავი ნივთების რეგისტრაციის მონაცემების საჯაროობის უზრუნველყოფა, რაც მოიცავდა შემდეგს: „საჯარო რეესტრის ერთიანი სამსახურის ჩამოყალიბებამდე სამოქალაქო კოდექსით ამ სამსახურებისათვის დაკისრებული ფუნქციები უნდა განხორციელებინა ტექნიკური ინვეტარიზაციის ბიუროებს, საქართველოს ურგანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს და მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტს უნდა უზრუნველყოთ საჯარო რეესტრის მონაცემების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა დაინტერესებულ პირთათვის“. საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტმა უზრუნველყო სათანადო სამსახურის ჩამოყალიბება, საჯარო რეესტრის ფორმულარების მომზადება და ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, რომლებიც დაკავშირებული იყო სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების პერიოდიდან წარმოშობილი უძრავი ნივთის მესაკუთრების რეგისტრაციასთან.

მიწის ნაკვეთების ყოველი ახალი შეძენის რეგისტრაცია 1997 წლის 25 ნოემბრიდან განხორციელდა მიწის რეგისტრაციის სამსახურის სისტემაში არსებული სადგილმამულო წიგნის(საჯარო რეესტრის) სამსახურში, რამაც გამოიწვია ორმხრივი რეგისტრაციები როგორც საჯარო რეესტრში, ასევე ტექნიკური ინვეტარიზაციის ბიუროებში, რაც გაგრძელდა 2005 წლამდე. ორმაგი რეგისტრაცია კი იწვევდა საზოგადოების უკმაყოფილებას, განსაკუთრებით მძიმე ტვირთვად დაწვა მოსახლეობას საჯარო რეესტრის მიერ რეგისტრაციის განსახორციელებლად დაწესებული არცთუ მცირე გადასახადი. დაწყო რეგისტრირებული მიწების განმეორებითი რეგისტრაცია შესაბამისი ანაზღაურებით.

2004 წელს საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის დაუსაბუთებლად ლიკვიდაციის შედეგად, ლიკვიდირებულ იქნა ამ სამსახურის რაიონული რგოლები და რაიონულ სამსახურებში არსებული ყველა დოკუმენტაცია (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა რეგისტრაციის დოკუმენტაცია) სამწუხაროდ დაიკარგა ან შეგნებულად განადგურდა.

როდესაც შემოღებული იქნა მიწის აზომვისა და აღრიცხვის ახალი სიტემა. მიწის მესაკუთრეთა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ნაკვეთების ახალი სისტემით აზომვისა და რეგისტრაციის მიზნით საქართველოს მთავრობამ აიღო კრედიტი 52 მილიონი

გერმანული მარკა და 12 მილონი დოლარი, გააფორმა ხელშე-კრულება ერთ-ერთ გერმანულ ფირმასთან. ამ ფირმამ დაიწყო სასოფლო-სამეურნეო დანიშულების მიწების აზომვითი სამუშაოები. ამ ღონისძიების მიზანი იყო ის, რომ ფიზიკურ პირთა საკუთრებაში არსებული მიწები დაზუსტებულიყო აზომვის ახალი სისტემით უფასოდ და მესამედ დარეგისტრირებულიყო ახლად შექმნილ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. დაუჯერებელია მაგრამ ფაქტია ფირმის ერთი ხელმძღვანელის თვიური ხელფასი შეადგინდა, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მთელი სისტემის 1660 თანამშრომლის წლიურ ხელფასს. (კონტროლის პალატის შემოწმების მასალებიდან). კიდევ უფრო დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ სამუშაოები განხორციელდა, აღებული კრედიტი მთლიანად იქნა ათვისებულ და თითოეულ მიწის მესაკუთრეზე შედგენილი მიწის საკუთრების დოკუმენტების აბსოლუტური უმრავლესობა არ იქნა გამოყენებული დანიშნლებისამებრ. შეიძლება ითქვას, რომ გადაიყარა 52 მილიონი გერმანული მარკა და 12 მილიონი დოლარი, თავისი პროცენტებით.

გაუგებარი მიზეზებით გერმანული ფირმის მიერ ჩატარებული და გაკეთებული მიწის აზომვითი ნახაზები, რუქები და ელექტრო ვერსიები არ იქნა გამოყენებული დანიშნულებით. დადგინდა, რომ ახალი სისტემით მიწის რეგისტრაციისათვის მიწის მესაკუთრეებს თავისი სახსრებით უნდა მოხედინათ აზომვითი ნახაზის ელექტრო ვერსიის გაკეთება და რეგისტრაციის საფასური-შვიდი ლარი, ფიზიკურ პირს უნდა გადაეხადა. ეს ცოტავათ და შემდეგ რეგისტრაციის საფასური გახდა ოცდათი ლარი. მაშინ როდესაც მიწის მართვის სამართველოს მთავარი სპეციალისტის ყოველთვიური ანაზღაურება იყო 35 ლარი. 2004 წლიდან რეგისტრაციის მომსახურების საფასური გახდა 50 ლარი, დაჩქარებული მომსახურეობა 250 ლარი. მიწის მესაკუთრეების უმრავლესობამ თავისი საკუთარი მიწის ნაკვეთი ოთხჯერ დაარეგისტრირა, პირველად რაიონში არსებული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოწყობის სამასახურში, მეორედ საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის რაიონულ სამსახურებში და მესამედ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, შესაბამისი თანხების გადახდით. მეოთხედ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრში. (ეს მდგომარეობა არ ეხება იმ ფიზიკურ პირებს, ვისაც საერთოდ არ დაურეგისტრირებიათ საკუთარი მიწის ნაკვეთები).

სასაცილოა თუ სატირალი, არ ვიცი, 2008-2009 წლამდე ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია ჩაითვალა დაუზუსტებლად და საჭირო

გახდა ახალი რეგისტრაციის განხორციელება. რისთვისაც მიწის მე-საკუთრეს მიწის ნაკვეთის ახალი სისტემით აზომვაში უნდა გადაე-ხადა 50-200 ლარი და რეგისტრაციისათვის 50 ლარი პლიუს ერთი ლარი საბანკო მომსახურეობისათვის. ვისაც შესაძლებლობა ჰქონდა, ანდა სჭირდებოდა ამონაწერის განახლება, საჯარო რეგისტრიდან, გადაიხადა აღნიშნული თანხა და მეოთხედ დაარეგისტრირებული ნაკვეთი. ყოვე-ლივე ამან გამოიწვია ის, რომ საჯარო რეესტრში 2016 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მესაკუთრეთა მიწების მხო-ლოდ 27% აღმოჩნდა რეგისტრირებული.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, „ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, (რომელიც მიღებულია 2007 წლის 22 ივნისი), 2011 წლის 22 მარტს შეტანილი ცელიდებებით (კანონის მე -6 მუხლს დაემატა მე-6 პრიმა მუხლი და კანონის მე-7 მუხლს დაემატა მე-3 პუნქტი) ითვალისწინებდა: იმ შემთხვევაში თუ მესაკუთრის მიწის ნაკვეთის მიღება ჩაბარების აქტი არ იყო სრულყოფილად შევსებული (მიღება-ჩაბარების აქტს ადგენდა ადმინისტრაციული ორგანო, რომელსაც გააჩნდა სახელმწიფოს მიერ კანონიერი ნდობა, რომ მის მიერ გამოცემული აქტი სამართლე-ბრივად სწორად უნდა ყოფილიყო შედგენილი) აქტის მეპატრონეს უნდა გადაეხადა თითოეულ კვადრატულ მეტრზე 15 ლარი, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ აღიძრვებოდა სისხლის სამართლის საქმე. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ფიზიკურ პირს, რომელსაც სახელმწიფოს შესაბამისმა ორგანიზაციამ ხარვეზით მისცა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნა-კვეთის სახელმწიფო მიღება-ჩაბარების აქტი, მის საკუთარ ერთ ჰექტარზე არსებულ მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისათვის უნდა გადეხადა 150 000 ლარი. თანაც ეტყვიან მადლობა გვითხარი რომ არ გაძლევთ პასუხისმგებაშიო. ხოლო იმ პირმა, რომელმაც უკა-ნონოდ მიიტაცა სახელმწიფოს საქუთრებაში არსებული სასო-ფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და უკანონოდ აა-შენა სახლი “ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწების ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ, საქა-რთველოს კანონის შესაბამისად, რომელიც ასევე მიღებულია 2007 წლის 11 ივნისს, უნდა გადაიხადოს ერთ კვადრატულ მეტრ მიწის ნაკვეთში 5 თეთრიდან 10 თეთრამდე (არ იფიქროთ სტი-ლისტური შეცდომაა, სწორედ თეთრი და არა ლარი).

ამით არ დამთავრებულა მიწების გაუგებარი და გაუთავებელი რეგისტრაცია. მთავრობა იძულებული გახდა მიღო ახალი კანონი 2016 წლის 3 ივნის # 5153 „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში

მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ ამ კანონის შესაბამისად შერჩეულია საპილოტო 12 სოფელი, გამოყოფილია 12 მილიონი ლარი და სახელმწიფო უზრუნველყოფს უფასო სისტემურ რეგისტრაციას. დანარჩენ 4488 სოფელში მიწების რეგისტრაცია უნდა დამთავრდეს 2018 წლის 1 ივნისისამდე. მიუხედავად იმისა, რომ პირველადი რეგისტრაცია უფასოა შეუძლებელია აღნიშნულ ვადებში რეგისტრაციის დამთავრება. მრავალ მიზეზთაგან ერთ-ერთი ის არის, რომ უმრავლეს კერძო ამზომველებს არ გააჩნიათ აზომვითი ნახაზის შესადგენად თანამედროვე ძვირად ღირებული ხელსაწყო. ასევე, თავს იკავებენ უფასოდ ნახაზის გაკეთებაზე, რადგან არ აქვთ იმედი, რომ დროულად აუნაზღაურდებათ გაწეული შრომა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული სერიოზული პრობლემები, შეცდომები და უთავბოლობა ამით არ დამთავრებულა. ფიზიკურ პირებს, რომელთაც მიწები რეგისტრირებული აქვთ საჯარო რეესტრში და ხელთ აქვთ ამონაწერი, სადაც აღნიშნულია, რომ ფართობი დაზუსტებულია, მაგრამ არ არის გატარებული ელექტრო ვერსიაში, ანდა ელექტრო ვერსიაში არსებული მონაცემები განსხვავდება ამონაწერის მონაცემებთან შედარებით (რაც მისი ბრალი არ არის) ახალ ამონაწერს არ აძლევენ და საჯარო რეესტრი ითხოვს ახალ ელექტრო ვერსიას (აზომვით ნახაზს), რეგისტრაცია ფასიანია, ხოლო აზომვითი ნახაზიც ფასიანი. ასევე, თუ საჯარო რეესტრის გაცემულ ამონაწერსა და ელექტრო ვერსიას შორის არის ცდომილება ერთი კვადრატული მეტრიც კი, რომელიც რეესტრის მიერ დაშვებული ტექნიკური შეცდომაა, ითხოვენ ახალ აზომვით ნახაზს და ახალ რეგისტრაციას, რაც ასევე გარკვეულ თანხებთან არის დაკავშირებული. რა გამოდის, მოქალაქეები იხდიან ფულს სახელმწიფო ორგანოების მიერ დაშვებულ შეცდომებში.

ყოველიერ ზემოთ აღნიშულიდან, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ძალიან ბევრ მიწის მესაკუთრეს ერთიდაიმავე მიწაზე, მოუწია (ან მოუწევს) ხუთჯერ რეგისტრაცია და შესაბამისი თანხის ითხვერ გადახდა. უსამართლობის ერთ-ერთ ფაქტს ასევე წარმოადგენს ისიც, რომ 2000 წელს ტექნიკური ინვეტარიზაციის ბიუროს მიერ აღრიცხული მიწის ნაკვეთებსა და შენობა-ნაგებობებზე არ ხდება მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და ეს მაშინ როდესაც აღნიშნულ ქონებაზე უკვე გაცემულია ცნობა-დახასიათება და ინვეტარიზაციის გეგმა. მიზეზად სახელდება ის, რომ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობა დღეის მდგომარეობით აღარ არსებობს. ეს ნაკვე

თები აჰყავთ სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და აუქციონის წესით ყიდიან. ზოგიერთ შემთხვევაში ერთ ლარად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის , რომ იმ შემთხვევაში, თუ 2018 წლის 1 ივლისამდე ფიზიკური პირები და კერძო სამართლის იურიდიული პირები თავიანთ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს ახალი წესით არ დაარეგისტრირებენ, მათ საკუთრებაში არსებული მიწები დარეგისტრირდება სახელმწიფო საკუთრებაში. ერთი წლის განმავლობაში შესაძლებელი იქნება გასაჩივრება.

ეს ნიშნავს, ერთი წლის შემდეგ მოხდება მიწების ნაციოლიზაცია.

Issues of land registration in private ownership since 1992

Anzor Meskhishvili—

Academic doctor of Economic,
Independent certified expert in
real estate (land) issues

Abstract

(Internet Version)

After obtaining independence from Georgia, since 1992, the agricultural lands were transferred to private ownership, based on payment of relevant documentation and payment of the relevant amount for registration from the private owner. Non-agricultural lands were transferred to private ownership since 1998. Because of various non-biased reasons, landowners had to register the same land ownership with 4-5 times with due compensation. By June 3, 2016, if the landowner does not register the land in his possession until 1 July 2018, which was registered in previous years, will be declared as state property.

აგრობიზნესის ოპერატორი პროცედური საქართველოში

დალი სილაგაძე-
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოსირებული პროფესორი

რეფერატი (ინტერნეტ-ული ვერსია)

სტატიაში განხილულია აგრობიზნესის რესურსული პოლიციალი საქართველოში, რადგანაც აგრობიზნესის წარმატება დამოკიდებულია შეზღუდული რესურსების პირობებში სწორი არჩევანის გაკეთებასა და კონკურენციაზე. სოფლის მეურნეობის საწარმოო პოლიციალი არის ტექნიკოლოგიურად დაბალანსებული რესურსების ერთობლიობა, რომლის საშუალებით კონკრეტულ დროსა და სივრცეში შესაძლებელია დიდი რაოდენობით მაღალხარისხოვანი და კონკურენტულიანი პროდუქციის წარმოება.

მოცემულია არსებული მდგომარეობა. 2013-2016 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მიწის დამუშავებული ფართობი, რაც შესაბამისი მიზნობრივი ღონისძიებების განხორციელებით იყო გაპირობებული, მაგრამ, თუ ასეთ სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს ხანგრძლივ პერიოდში კერძო სექტორის ინიციატივა არ ჩანაცვლებს, მიღწეული შედეგების შენარჩუნება გართულდება.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოს აგრარულ სექტორში არსებული მართვის პირობებში არასრულადაა გამოყენებული ეკონომიკის ისეთი ბერკეტები, როგორიცაა მიწა, კაპიტალი და შრომა. სამეწარმეო უნარი, საბაზრო გარემო პირობებს უქონლობას გამო თითქმის არ გამოიყენება. სახელმწიფო მართვის ქმედუარიანობა ძალზე დაბალია. არ არსებობს ადმინისტრაციული მართვა, ნაკლებად გამოიყენება მართვის ეკონომიკური ბერკეტები, ამის გამო დაბალია წარმოების ეფექტურობა და ხალხის ცხოვრების დონე.

ეკონომიკაში ერთ-ერთი საკვანძო პრობლემა რესურსების შეზღუდულობაა, ამიტომაც, მთელი ძალისხმევა სწორედ მათი რაციონალური გამოყენებისკენ უნდა იყოს მიმართული.

პრობიზნესში რომ რესურსების (წარმოების ფაქტორების) გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და რომ მას შეზღუდულობა ახასიათებს ეს ყველასათვის ცნობილია და ჩვენი ძალისხმევა სწორედ მათი რაციონალური გამოყენებისკენ უნდა იქნეს მიმართული, განსაკუთრებით ისეთ ეკონომიკურ რესურსებზე, როგორიცაა: ბუნე-

ბრივი, შრომითი (ადამიანური), მატერიალური და ფინანსური (ადამიანის შრომით შექმნილი) რესურსები. ამ რესურსებს კაპიტალსაც უწოდებენ.

ამრიგად, ეკონომიკური გაგებით, წარმოების ძირითადი ფაქტორებია (საშუალებებია) მიწა, კაპიტალი და შრომა.

არავისთვის უცხო არაა, რომ ხშირ შემთხვევაში ხდება საწარმოო რესურსების უყაირათოდ გამოყენება, მაშინ როცა საუბარია სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაზე და როცა აგრობიზნესის წარმართვისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს რესურსების ეფექტურ გამოყენებას. ამდენად, აგრობიზნესის წარმატება დამოკიდებულია შეზღუდული რესურსების პირობებში სწორი არჩევანის გაკთებასა და კონკურენციაზე.

სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალი არის ტექნოლოგიურად დაბალანსებული რესურსების ერთობლიობა, რომლის საშუალებით კონკურეტულ დორსა და სივრცეში შესაძლებელია მაღალხარისხოვანი და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება.

საწარმოო რესურსების სწორად გამოყენებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, მით უმეტეს რომ 2016 წლის მონაცემებით სასურსათო პროდუქტების თვითუზრუნველყოფის მაჩვნებელი დაბალია და საშუალოდ, სანახევროდ არის დაკმაყოფილებული მოსახლეობის მოთხოვნა ადგილობრივ პროდუქტებზე. აგროპროდუქტებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება იმპორტის ხარჯზე ხდება, იმ დროს როცა აგრობიზნესის განვითარების რესურსული პოტენციალი ქვეყანაში ნამდვილად არსებობს, თუმცა ეს პოტენციალი სანახევროდაც არ არის გამოყენებული.

საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და მიზნობრივი გამოყენება ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ დადგებითი შედეგის მიღწევის უპირველესი გარანტია იქნება მკაფიოდ განსაზღვრული, კონკურენტუნარიანი წარმოებისკენ მიმართული აგრარული პოლიტიკის შემუშავება და ეკონომიკის ამ სექტორში ფინანსური რესურსების მოზიდვის ხელშეწყობა. ამავე დროს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის საკითხი, რაც საქართველოს მთავრობის, კერძოდ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ძირითადი ვალდებულებაა.

სოფლის მეურნეობაში რესურსული პოტენციალის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს მიწა, ხოლო ეკონომიკურის-მასზე გაწეული კაპიტალდაბანდებები, რაც ზრდის ნიადაგის ნაყოფიერებას

და შესაბამისად, პროდუქციის სიუხვესაც. ორივე სახე ურთიერთდა-კავშირებული რესურსების ერთობლიობად განიხილება, რომელთა გა-მოყენებითაც ვაღწევთ სამურნეო შედეგს.

რესურსი საწარმოო პოტენციალად იქცევა მაშინ, როდესაც მატერიალური დოკუმენტის წარმოების წყარო გახდება და პროდუ-ქციის შექმნაში აქტიურად მიიღებს მონაწილეობას.

მიწის, როგორც მთავარი ბუნებრივი რესურსული პოტენციალის შესწავლის დროს აუცილებელია არა მატო რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი ფაქტორის გათვალისწინებაც. საჭიროა ხარისხობრი-ვად განსხვავებული მიწების ეკონომიკური ნაყოფიერების დადგენა.

დაუმუშავებელი სახნავ-სათესა მიწები საკმოდ დიდ ფართობს იკავებს. ქვეყნის არსებული სასურსათო პოტენციალი სანახევროდაც არ არის გამოყენებული. საქართველოს დასაქმებული მოსახლეობის 50% მოდის აგრარულ სექტორზე, მაშინ როცა აგრარული სექტო-რის წილი ბოლო მონაცემებით ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 9.2 %-ს შეადგენს და უზრუნველყოფების მოსახლეობის სასოფლო-სამურნეო პროდუქციაზე მოთხოვნის 20%-მდე.

საქართველოს ერთ სულ მოსახლეზე მოდის სოფლის მეურნე-ობაში გამოყენებული მიწის 0,0022 ჰა.

მიწის რესურსების სფეროში წარმოდგენილი პრობლემების მი-ხედვით, არსებული სიძნელეების გამომწვევე მიზეზებს, რაც გავლენას ახდენს საქართველოში მიწების გამოყენებასა და დაცვაზე, წარმო-ადგენს: გლეხის ან ფერმერისათვის გამოყოფილი მიწის ფართის უკმარისობა, მასშტაბური ფერმერული საქმიანობის განსახორციელე-ლად. ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის თითოელ კულტურას სჭირდება გარკვეული მიწის ფართობი (არსებობს ეწ. "ნულოვნი წე-რტილი" რომლის ქვევით პროდუქციის მოყვანა არარენტაბელურია. მაგ. ხორბალს სჭირდება 40 ჰა კარტოფილს 4 ჰა და ა.შ.);

ამჟამად ფაქტია: ცუდად განვითარებული ინფრასტრუქტურა; სოფ-ლად გადამმუშავებელი საწარმოების უკმარისობა; მნელად ხელმი--საწვდომი და ამავდროულად მძარცველური საბანკო კრედიტები; სასოფლო-სამურნეო საბრუნავი საშუალებების (საწვავი, შხამ-ქიმიკატები, სასუქი და სხვა) სიძვირე; ტრანსპორტირების სიძვირე; სარწყავი და სადრენაჟო სისტემების მოშლა; სასოფლო-სამურნეო ტექნიკის სიძვირე; ნათესებს მორწყვის სიძვირე. ერთი პექტარის მორწყვა 70-80 ლარმდე ჯდება, ხოლო საკუთარი სარწყავი დანა-დგარის ყიდვა ძლიან ძვირი; ბუნებრივი კატაკლიზმებისაგან დაუცვე-ლობა; მიწის ინტეგრირებული მართვის შეზღუდულობა; სუსტი ინსტიტუციონალური ინფრასტრუქტურა; არასაკმარისი და ფრაგმე-

ნტული კანონმდებლობა და მათი აღსრულების მექანიზმების სისუსტე; არამდგრადი მიწათსარგებლობის პრაქტიკა; დაბრკოლებები და კონფლიქტები მიწათსარგებლობის მიზნებს შორის; მეცნიერული ცოდნისა და სამეცნიერო კვლევებთან სუსტი კავშირი; შეზღუდული ხელმისაწვდომობა შესაბამის ინფორმაციასა და ტექნოლოგიებზე; ნიადაგის კონსერვაციასთან დაკავშირებული პროგრამების და სპეციალიზირებული ცონდისა და გამოცდილების გავრცელების უკმარისობა;

ამ პირობებში, ბუნებრივია, ფერმერს მეურნეობის აწყობა უჭირს. შედეგად კი, საქართველო საკუთარი მოსახლეობის სურსათთ მომარაგებას ვერ ახერხებს და კვლავაც იმპორტირებლ პროდუქტზეა დამოკიდებული.

დანაწილებული მიწების გაერთიანების და მსხვილი ფერმერული მეურნეობების შექმნის გარეშე სოფლის მეურნეობის განვითარება შეუძლებელია. დროა მიგბაძოთ ეკროპას, კანადას, ისრაელს და სხვა განვითარებულ ქვეყნებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფერმერების ასოლუტური უმრავლესობა დიდი სიამოვნებით იმუშავებდა გადამმუშავებელ ან სხვა სახის წარმოება-დაწესებულებებში. დროა სახელმწიფომ ეფექტურად გამოყენოს მიწის და შრომითი რესურსები.

უდავოა, რომ სოფლის სექტორში კაპიტალდაბანდების ზრდის შემდეგ დაჩქარდება აგრარული სექტორის მექანიზაცია და ახალი პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვა.

აგრარული სექტორის განვითარების დაჩქარების მიზნით საჭიროა სახელმწიფომ სწორად გამოიყენოს სუბსიდიები. პირველ რიგში, ხელი უნდა შეუწყოთ მსხვილი ფერმერული მეურნეობების და გადამუშავებელი მრეწველობის საწარმოების შექმნას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, დაფინანსებისა და დაზღვევის პრობლემების მოგვარებას, კადრების მომზადებას და სხვა.

დროა სასოფლო სამეურნეო სექტორმა დაიწყოს ქვეყანაში ახალი სასოფლო-სამეურნო კულტრების ათვისება. ამისთვის ყველა პირობა არსებობს.

2013-2016 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მიწის დამუშავებული ფართობი, რაც შესაბამისი მიზნობრივი ღონისძიებების განხორციელებით იყო გაპირობებული, მაგრამ, თუ ასეთ სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს ხანგრძლივ პერიოდში კერძო სექტორის ინციატივა არ ჩაანაცვლებს, მიღწეული შედეგების შენარჩუნება გართულდება.

დღეს მთავარი, მაინც, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მათი რაციონალურად გამოყენების პრობლემების ოპტიმალურად გა-

დაჭრაა. აქ მთავარია მათი შეფასება თანამედროვე და პერსპექტიული სარგებლიანობის თვალსაზრისით.

მიწის, როგორც მთავარი ბუნებრივი რესურსული პოტენციალის შესწავლის დროს, აუცილებელია არა მარტო რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი ფაქტორის გათვალისწინებაც. საჭიროა ხარისხობრივად განსხვავებული მიწების ეკონომიკური ნაყოფიერების დადგენა.

ქვეყნის ბუნებრივმა სანედლეულო რესურსებმა უნდა უზრუნველყოს ნედლეულის მომხმარებელი სამრეწველო და სასოფლო-სამურნეო საწარმოთა განვითარება, რისთვისაც საქართველოს საკმარისი პოტენციალი გააჩნია.

ამდენად, ქვეყნის სანედლეულო-რესურსული პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს ნედლეულის გადამზადებელ, პროდუქციის მწარმოებელ და მომხმარებელ დარგებს შორის ორგანული კავშირების ფორმირებაზე, რთაც მიიღწევა ქვეყნის სამურნეო-ეკონომიკური წონასწორობა და შეიქმნება მისი სტაბილური განვითარების აუცილებელი პირობა.

შრომითი რესურსების გამოყენებას სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რადგან მას სხვა რესურსების რაციონალურად გამოყენების საქმეში დიდი როლი ენიჭება

შრომისუნარიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუსაქმებელია, რაც მათ კვალიფიკაციას აქვეითებს. შესაბამისად ეცემა შრომის ნაყოფიერება და იზრდება პროდუქციის თვითღირებულება, რაც ამცირებს მის კონკურენტუნარიანობას.

ეკონომიკაში ერთ-ერთი საკვანძო პრობლემა რესურსების შეზღუდულობაა, ამიტომაც, ეკონომიკის მთელი ძალის ხმელეთი სწორედ მათი რაციონალური გამოყენებისკენ უნდა იყოს მიმართული.

საქართველოს აგრარულ სექტორში დღემდე არსებული მართვის პირობებში არასრულადაა გამოყენებული ეკონომიკის ისეთი ბერკეტები, როგორიცაა მიწა, კაპიტალი და შრომა. სამეწარმეო უნარი საბაზრო გარემო პირობების უქონლობის გამო თითქმის არ გამოიყენება. ხოლო სახელმწიფო მართვის ქმედუნარიანობა ძალზე დაბალია. ფაქტიურად არ არსებობს ადმინისტრაციული მართვა, ხოლო ეკონომიკური მართვის ბერკეტები ნაკლებად გამოიყენება, ამის გამო მართვის და წარმოების ეფექტურიანობის მაჩვენებლები და ხალხის ცხოვრების დონე ძალზე დაბალია.

აუცილებელია საფინანსო საკრედიტო სისტემის სრულყოფა-შეღავათიანი და კრედიტების სპეციალური ფონდების ფორმირებით,

საწარმოო მიზნებისათვის და პროდუქციის ბაზარზე გასაღებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ბანკები თავს იკავებენ სოფლის მეურნეობის დაკრედიტებისაგან, რადგან მათი დროულად დაბრუნების იმედი ნაკლებად აქვთ, რეალობა სრულიად განსხვავებულია, კერძოდ ბანკებისადმი ვადაგადაცილებული სესხების 50% მრეწველობის დარგებს აქვთ, 26,4% ვაჭრობას, ხოლო სოფლის მეურნეობაში იგი 1,6%-ს არ აღემატება.

როგორც ვხედავთ, ეკონომიკური რესურსების გამოყენების გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია მატერიალურ-ტექნიკური რესურსების რაციონალური გამოყენება, რის გარეშეც შეუძლებელია სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალის ეფექტიანობის ამაღლება. მატერიალურ რესურსებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მინერალურ და ორგანულ სასუქებს, შეამქიმიკატებს, რაც უსათურიდ ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალის ეფექტიანობის ამაღლებას.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით 2025 წელს მსოფლიო მოსახლეობის რიცხვი 8 მილიარდს მიაღწევს. 2050 წელს კი 9,6 მილიარდი იქნება. შესაბამისად, დამატებით 3 მილიარდი ადამიანის გამოკვება მოგვიწევს არსებული მწირი რესურსებით. რაც სოფლის მეურნეობის სექტორს მთელს მსოფლიოში დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს. 2050 წლისთვის მსოფლიოს სურსათის წარმოება 70% უნდა გაიზარდოს რათა დაკმაყოფილდეს მზარდი მოთხოვნა. ეს კი იმ შეზღუდული რესურსების საშუალებით უნდა მოხერხდეს, რომელიც გაგვაჩნია. (შეზღუდულია სახნავი მიწები და სასმელი წყლის რესურსი).

მოგეხსენებათ, სუფთა წყლის 70% სოფლის მეურნეობაში გამოიყენება. გარდა ამისა, არსებობს სხვა არაპროგნოზირებადი ფაქტორები, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, ახალი დაავადებებისა და მავნებლების გავრცელება. ასევე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მაქსიმალური წარმოების მიღწევა არა მარტო რესურსების მცირე დახარჯვით, არამედ გარემოსთვის მინიმალური ზიანის მიყენებით, რაც ფერმერებს დამატებითი გამოწვევების წინაშე აყენებს. ამისათვის კი საჭიროა გვესმოდეს თანამდროვე ტექნილოგიებისა და სისტემების მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში და გავიაზროთ, რომ მოდერნიზაციის გარეშე, მხოლოდ ტრადიციული მეურნეობებით ვერ შევძლებთ ვუპასუხოთ დარგში არსებულ გამოწვევებს. შესაბამისად, აუცილებელია ფერმერებმა დანერგონ ინოვაციური მიღვომები წარმოებაში. თანამდროვე ტექნილოგიების საშუალებით მეწარმეს შეუძლია მოახდინოს რესურსების ოპტიმიზაცია და გაზარდოს მოგება.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოს აგრარულ სექტორში არსებული მართვის პირობებში არასრულადაა გამოყენებული ეკონომიკის ისეთი ბერკეტები, როგორიცაა მიწა, კაპიტალი და შრომა. სამეწარმეო უნ-რი, საბაზრო გარემო პირობების უქონლობის გამო თითქმის არ გამოიყენება. სახელმწიფო მართვის ქმედუნარიანობა ძალზე დაბალია. არ არსებობს ადმინისტრაციული მართვა, ნაკლებად გამოიყენება მართვის ეკონომიკური ბერკეტები, ამის გამო დაბალია წარმოების ეფექტიანობა და ხალხის ცხოვრების დონე.

ეკონომიკაში ერთ-ერთი საკვანძო პრობლემა რესურსების შეზღუდულობაა, ამიტომაც, მთელი ძალისხმევა სწორედ მათი რაციონალური გამოყენებისკენ უნდა იყოს მიმართული.

Agribusiness Resource Potential in Georgia

Dali Silagadze-

Akaki Tsereteli State University Associated Professor

Abstract

(Internet version)

The article reviews agribusiness resource potential in Georgia, as the success of agribusiness depends on the right choice and competition in the limited resources. The productivity of agriculture is a combination of technologically balanced resources that enable large quantities of high quality and competitive products at a specific time and space.

The current situation in 2013-2016 has been significantly increased in the area of land cultivated areas, which is due to the implementation of relevant target activities, but if such state targets are not substantially replaced by private sector initiatives, maintenance of the achieved results will be complicated.

Consequently, we would like to conclude that the existing leverage of the economy, such as land, capital and labor, is not used in the existing Georgian agricultural sector. Entrepreneurial ability is almost unmanned because of lack of market environment. While the ability of state management is very low. In fact there is no administrative management, and economical management leverage is less common, because of management and production efficiency indicators and people's living standards are very low.

One of the key issues in the economy is the lack of resources, and therefore the whole economy should be directed towards their rational use.

აგრარული სექტორის რეალური ზრდის ფაქტის მონაცემები

დალი სილაგაძე-

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესიონალური ცენტრი

რეფერატი

(ინტერნეტული ვერსია)

სტატიაში განხილულია აგრარული სექტორის რეალური ზრდის ტემპის მონაცემები, საიდნაც ნათლად ჩანს, რომ მცირედ გაიზარდა სოფლის მენებლის წილი მშპ-ში, აგრარული სექტორის რეალური ზრდის ტემპის მონაცემები კი მკვეთრად არ გაზრდილა.

მოცემულია ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების განაწილება წლების მიხედვით, როგორც აგროკრედიტებზე, აგროდაზღვევაზე ასევე ფერმერთა სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებებზე.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო პროგრამების დაწყებიდან აგრარული სექტორის რეალური ზრდის ტემპის მონაცემები მკვეთრად არ გაზრდილა. მაგალითად, 2013 წელს, როდესაც შედაგათიანი აგროკრედიტის პროგრამა დაიწყო აგრარული სექტორის რეალურმა ზრდის ტემპმა 11,3 პროცენტი შეადგინა, თუმცა, მომდევნო წლებში ზრდა 1,5% იყო, საშუალოდ, 2016 წელს კი ზრდა საერთოდ არ დაფიქსირებულა. მთავრობის მიერ სფეროში ჩადებული თანხები არაუფექტურანი გამოდგა. ასევე, გადამზუშავებელ მრეწველობაში, რომელიც ქვეყნისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი სფეროა, დიდი კლება გვაქვს. ინვესტიციები 130 მილიონი დოლარიდან 75 მილიონამდე შემცირდა. ეს არის სექტორი, სადაც ადგილობრივი წარმოება მუშავდება, რომელიც ძირითადად საექსპორტოდ არის განკუთვნილი.

სოფლის მეურნეობის განვითარების რეფორმას ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო-“საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015–2020 წწ”-ის ფარგლებში. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული ხედვა, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, ითვალისწინებს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს აგრარულ სექტორში რესურსების სწორად გამოყენებას, კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სასუ-

რსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სურსათის უვნებლობა-
სა და სოფლად სიღარიბის დაძლევას.

2017 წლის მესამე კვარტალში სოფლის მეურნეობის და-
რგი შემცირდა. საქსტატის მონაცემებით, წინა წლის ანალო-
გიურ პერიოდთან შედარებით სოფლის მეურნეობის დარგში
2,8%-იანი კლება დაფიქსირდა. გასული წლის მესამე კვარტა-
ლში სოფლის მეურნეობის დარგის ზრდა 2,9%-ს შეადგინდა.
ამასთან, უნდა ითქვას, რომ კლება კიდევ ორ ეკონომიკურ საქ-
მიანობაში ფიქსირდება და ორივე მათგანი ასევე სოფლის მეუ-
რნეობასთან არის დაკავშირებული.

მესამე კვარტლის მონაცემებით, კლებაა შინამეურნეობების
მიერ პროდუქციის გადამუშავებაში. ამ მიმართულებით 3,6%-ია-
ნი კლება გვაქვს. შარშან ამ მიმართულებით ზრდა 7% იყო.

კიდევ ერთი დარგი, სადაც 4,3%-იანი კლება ფიქსირდება-
შინამოსამსახურისა და შინამეურნეობების საქმიანობაა, რომე-
ლიც დაკავშირებულია საქონლის წარმოებასა და მომსახურებზე,
თუმცა, კლება ამ მიმართულებით შარშანაც ფიქსირდებოდა,
2017 წლის მესამე კვარტალში 6.4%-იანი კლებაა დაფიქსირე-
ბული.

რაც შეეხება დადებით მაჩვენებლებს, ზრდა აღინიშნებოდა
შემდეგ დარგებში: სასტუმროები და რესტორნები (12,6 პრო-
ცენტი), სამთომოპოვებითი მრეწველობა (10,6 პროცენტი), მშე-
ნებლობა (9,3 პროცენტი), ვაჭრობა (9,3 პროცენტი), საფინა-
ნსო საქმიანობა (7,2 პროცენტი), ოპერაციები უძრავი ქონებით,
იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (6,3 პრო-
ცენტი), სახელმწიფო მმართველობა (5,1 პროცენტი), ელექტრო-
ენერგიის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილება (5,0 პრო-
ცენტი), კავშირგაბმულობა (4,9 პროცენტი). მთლიანი შიდა
პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით
გამოიჩინა ვაჭრობა (18,7 პროცენტი) და მრეწველობა (17,0
პროცენტი). შემდგომ პოზიციებს იკავებს ტრანსპორტი და კავ-
შირგაბმულობა (10,7 პროცენტი), მშენებლობა (10,2 პრო-
ცენტი), სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა (8,6 პროცენტი),
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის
მომსახურების გაწევა (7,1 პროცენტი), სახელმწიფო მმართვე-
ლობა (6,8 პროცენტი), ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური
დახმარება (5,6 პროცენტი).

ბიუჯეტის მიხედვით, 11 სახელმწიფო პროგრამაში 2013
წლიდან დღემდე დახარჯულია 628 მილიონ 892 ათასი ლარი.

შედეგად: მცირედით გაიზარდა სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში, აგრარული სექტორის რეალური ზრდის ტემპის მონაცემები მკვეთრად არ გაზრდილა, რაც შეეხება სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებას, ეს მაჩვენებელი წლიდან წლამდე იზრდება, თუმცა, მკვეთრი ზრდა არც აქ გვაძვს.

ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები ასეთია:

შეღავათიანი აგროკრედიტი

2013 წელი - 6,586 ათასი ლარი,

2014 წელი - 42,800 ათასი ლარი,

2015 წელი - 34,473 ათასი ლარი,

2016 წელი - 48,900 ათასი ლარი,

2017 გეგმა - 47,000 ათასი ლარი,

სულ - 179 მილიონ 759 ათასი ლარი.

მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებები

2014 წელი - 50,000 ათასი ლარი,

2015 წელი - 46,000 ათასი ლარი,

2016 წელი - 51, 300 ათასი ლარი,

სულ 147 მილიონ 300 ათასი ლარი.

აგროდაზღვევა

2014 წელი - 10,000 ათასი ლარი,

2015 წელი - 4,796 ათასი ლარი,

2016 წელი - 7,200 ათასი ლარი,

2017 წელი - 7,000 ათასი ლარი,

სულ 28 მილიონ 996 ათასი ლარი.

გაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები

2014 წელი - 4,000 ათასი ლარი.

მანდარინის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები

2014 წელი - 2,000 ათასი ლარი,

2016 წელი - 925 ათასი ლარი,

სულ 2 მილიონ 925 ათასი ლარი.

რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები:

2014 წელი - 31,000 მილიონი ლარი,

2015 წელი - 60,700 ათასი ლარი,

2016 წელი - 36,000 ათასი ლარი,

2017 წელი - 16,000 ათასი ლარი,

სულ 143 მილიონ 700 ათასი ლარი.

დანერგე მომავალი

2015 წელი - 1,788 ათასი ლარი,
2016 წელი - 6,861 ათასი ლარი,
2017 გეგმა - 7,000 ათასი ლარ,
სულ 15 მილიონ 649 ათასი ლარი.

ქართული ჩაი

2016 წელი - 67 ათასი ლარი,
2017 წელი - 400 ათასი ლარი,
სულ 467 ათასი ლარი.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დაფარვა

2015 წელი - 26,000 ათასი ლარი,
2016 წელი - 22,000 ათასი ლარი,
2017 გეგმა - 20,000 ათასი ლარი
სულ 68 მილიონი ლარი.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები

2013 წელი - 227.9 ათასი ლარი,
2014 წელი - 801.5 ათასი ლარი,
2015 წელი - 2,570 ათასი ლარი,
2016 წელი - 2,500 ათასი ლარი,
2017 გეგმა - 4,870 ათასი ლარი,
სულ 10 მილიონ 969 ათასი ლარი.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება

2013 წელი - 22,400 ათასი ლარი,
2017 წელი - 5,000 ათასი ლარი,
სულ 27 მილიონ 400 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო პროგრამების დაწყებიდან აგრარული სექტორის რეალური ზრდის ტემპის მონაცემები მკვეთრად არ გაზრდილა. მაგალითად, 2013 წელს, როდესაც შედავათიანი აგროკრედიტის პროგრამა დაიწყო აგრარული სექტორის რეალური ზრდის ტემპმა 11,3 პროცენტი შეადგინა, თუმცა, მომდევნო წლებში ზრდა 1,5% იყო საშუალოდ, 2016 წელს კი ზრდა საერთოდ არ დაფიქსირებულა: აგრარული სექტორის რეალური ზრდის ტემპის მონაცემები:

2011 წელი - 8,5%,
2012 წელი - -3,8%,
2013 წელი - 11,3%,

2014 წელი -1,6%,

2015 წელი - 1,5%

2016 წელი - 0%.

ამასთან, მცირედით გაიზარდა სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში. თუ პროექტების დაწყებამდე - 2012 წელს სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 8,6% იყო, 2013 წელს 9,4% გახდა, თუმცა, მას შემდეგ მონაცემები მცირედით 1%-ით იცვლება.

სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში % წლების მიხედვით:

2011 – 8,8%.

2012 – 8,6%.

2013 – 9,4%.

2014 – 9,3%.

2015 – 9,2%.

2016 – 9,3%.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებას, ეს მაჩვენებელი წლიდან წლამდე იზრდება, თუმცა, მკვეთრი ზრდა არც აქ გააქვს.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება წლების მიხედვით:

2011 წელი - 2 878 000 ლარი,

2012 წელი - 3 019 000 ლარი,

2013 წელი -3 394 000 000 ლარი,

2014 წელი - 3 583 000 000 ლარი,

2015 წელი - 3 873 000 000 ლარი,

2016 წელი - 4 221 000 000 ლარი,

2017 წელი - 173 700 000 ლარი(ორი კვარტალი).

გამოვლინდა ხელშემშლელი ფაქტორები: ტექნიკაზე დაბალი ხელმისაწვდომობა; მცირემიწიანობა და მიწის ფრაგმენტაცია; სასუქების, პესტიციდების დაბალი ხარისხი; მელიორაციის სისტემის მოუწყობლობა; თანამედროვე ტექნოლოგიების უცოდინარობა; კვალი-ფიციურ ვეტერინარებისა და აგრონომების მომსახურეობაზე დაბალი ხელმისაწვდომობა. მცირემიწიანობა და მიწის ფრაგმენტაცია ნაკლებად ექვემდებარება ცვლილებას, შესაბამისად, საჭიროა აგრარული სექტორის განვითარების სხვა დამაბრკოლებელ ფაქტორებზე მოხდეს ორიენტაციის აღება. ძლიერ მხარეებად გამოვლინდა: დარგის განვითარებისთვის ხელსაყრელი რელიეფურ-კლიმატური პირობები; საქმიანობის ტრადიცია; ნაყოფიერი ნიადაგები; დაგროვილი ცოდნა და სხვ.

სოფლის მეურნეობის განვითარების საჭიროებები შემდეგი თანმიმდევრობით შეფასდა: ფერმერული მეურნეობებისა და მიწის ბაზრის განვითარება; ინკუსტიციები და გრძლევდადიანი აგროკრედი-

ტები; მიწოდების ჯაჭვის სრულყოფა; ინფრასტრუქტურის მოწე-
სრიგება; პოლიტიკური მხარდაჭერა.

სახელმწიფო, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობას ცდილობს,
თუმცა, ეს მცდელობები ეფექტური არ არის: „სახელმწიფოს ხელშე-
წყობისა და დიდი თანხების ჩადების მიუხედავად, ფაქტია, რომ ამ
დარგში ინვესტიციები არ შემოედინება. 2016 წელს სოფლის მეუ-
რნეობაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 8
მილიონ დოლარს შეადგენდა, 2017-ში კი 3 მილიონნახევარ დოლა-
რს. მთავრობის მიერ სფეროში ჩადებული თანხები არაეფექტური
გამოიდგა. ასევე, გადამტუშავებელ მრეწველობაში, რომელიც ქვეყნი-
სთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი სფეროა, დიდი კლება გვაქვს.

ინვესტიციები 130 მილიონი დოლარიდან 75 მილიონამდე შემ-
ცირდა. ეს არის სექტორი, სადაც ადგილობრივი წარმოება მუშა-
ვდება, რომელიც ძირითადად საექსპორტოდ არის განკუთვნილი.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ სოფლის მეურნეობის სა-
ხელმწიფო პროგრამების დაწყებიდან აგრარული სექტორის
რეალური ზრდის ტემპის მონაცემები მკვეთრად არ გაზრდილა.
მაგალითად, 2013 წელს, როდესაც შეღავათიანი აგროკრედიტის
პროგრამა დაიწყო აგრარული სექტორის რეალური ზრდის ტე-
მპმა 11,3 პროცენტი შეადგინა, თუმცა, მომდევნო წლებში ზრდა
1,5% იყო საშუალოდ, 2016 წელს კი ზრდა საერთოდ არ დაფი-
ქსირებულა. მთავრობის მიერ სფეროში ჩადებული თანხები არაეფე-
ქტური გამოიდგა. ასევე, გადამტუშავებელ მრეწველობაში, რომელიც
ქვეყნისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი სფეროა, დიდი კლება გვაქვს.
ინვესტიციები 130 მილიონი დოლარიდან 75 მილიონამდე შემცირდა.
ეს არის სექტორი, სადაც ადგილობრივი წარმოება მუშავდება, რომე-
ლიც ძირითადად საექსპორტოდ არის განკუთვნილი.

The actual growth rate of the agrarian sector

Dali Silagadze-

Associate Professor of Akaki Tsereteli
State University

Abstract

(Internet version)

The article deals with the real growth of the agrarian sector, from which it clearly shows that the share of agriculture in GDP has increased slightly and the sharp increase in the real growth of agrarian sector.

The distribution of the funds allocated from the budget is given for years as agrocredits on agriculture activities as well as on farming activities

As a conclusion, we would like to say that since the beginning of agriculture state programs the actual growth of the agricultural sector has not increased sharply. In 2013, when the preferential agro-credit program started, the real growth rate of the agricultural sector was 11.3 percent, but in the following years the increase was 1.5% on average, and in 2016 there was no growth at all. The funds invested by the government were ineffective. Also, in the processing industry, which is a very important area for the country, we have a big decline. Investments have fallen from 130 million dollars to 75 million. This is a sector where local production is processed, which is mainly exported.

საინფორმაციო-საპონსულტაციო სამსახური აგრობიზნესში

მანანა შალამბერიძე-
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოსირებული პროფესორი

რეფერატი (ინტერნეტ-ული ვერსია)

სტატიაში განხილულია საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის, კონკრეტულად ექსტენციის საკითხები აგრობიზნესში. იმერეთის რეგიონში ექსტენციის პროგრამის განხორციელება.

მოცემულია საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მნიშვნელობის შესახებ ფერმერებისათვის.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოში მოქმედი საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური ხელს უწყობს და აცნობს ფერმერებს ექსტენციისა და საინფორმაციო შესაძლებლობების საკითხებს, რაც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის ისეთ ახალ გამოწვევებთან როგორიცაა: წყლის რესურსების კლება, ნიადაგის დეგრადაცია, ცვალებადი კლიმატი და არასტაბილური ბაზარი.

სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სისტემა მოიცავს ქმედებებს, რომელთა საშუალებითაც ხდება ფერმერებისა და სოფლად დასაქმებული სუბიექტებისათვის მოთხოვნადი ინფორმაციის მიწოდება, რათა მოხდეს მათი ტექნიკური, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული უნარების გაუმჯობესება, მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლების გადიდების მიზნით.

საქართველოში, სოფლის მეურნეობის ექსტენციის განვითარება მესამე წელია დაიწყო. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ქვეყნის მასტებათ შექმნა რეგიონული და რაიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები, სადაც ფერმერებს კვალიფიციური კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა ეძღვაოთ.

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროექტის-„ექსტენციისა და საკონსულტაციო მომსახურების გაძლიერება საქართველოში“ (SEAS) პროექტის ფარგლებში 2.3 მილიონი ლილარი გამოიყო. ეს პროექტი მიზნად ისახავს მხარი დაუჭიროს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ძალისხმევას განავითაროს სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების სისტემა წარმოების პროდუქტიულობის ასამაღლებლად. ამ ინიციატივის საფუძვე-

ლს წარმოადგენს სოფლის მუნიციპალიტეტის სამინისტროს 60 საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრი.

ექსტენცია არის მუდმივად განვითარებადი პროცესი, მას გააჩნია სიახლეებისა და ახალი პლატფორმების დანახვის სწრაფი უნარი და მოქმედების შესაძლებლობა; არის მომსახურება ან სისტემა, რომელიც ეხმარება სოფლის მოსახლეობას, საგანმანათლებლო პროცედურების მეშვეობით გააუმჯობესოს სამურნეო მეთოდები და ტექნოლოგიები, გაზარდოს წარმოების ეფექტურობა და შემოსავალი, გააუმჯობესოს ცხოვრების პირობები და ამაღლოს სოციალური და საგანმანათლებლო სტანდარტები. ექსტენცია მოიცავს ინფორმაციის კომუნიკაციით ჯანსაღი აზრის გავრცელებას, რათა მოსახლეობას მისცეს სათანადო მოსახრებები, რომლებიც დაეხმარება მას სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში; ეხმარება ფერმერებს წარმოების პრობლემათა იდენტიფიცირებასა და გაანალიზებაში, მათი დაძლევისა და განვითარების შესაძლებლობების შექმნაში. იგი არის პროფესიული, კომუნიკაციური ზემოქმედების გაფართოების ორგანიზაცია, რომელიც ასტიმულირებს ცვლილებებს საზოგადოებრივი სარგებლიობის ნებაფოფლობით ქცევაში; არის ინფორმაციის ორგანიზებული ცვლილებებისა და გააზრებული ცოდნის მიწოდების პროცესი.

ექსტენციის არსი მდგომარეობს ურთიერთქმედების ხელშეწყობასა და სინერგიის წარმოქმნაში, საერთო ინფორმაციული სისტემის მეშვეობით, რომელიც მოიცავს კვლევის, განათლებისა და ინფორმაციის გამტარებელი და გადამცემი საქმიანობების ფართო ერთობლიობას. ექსტენცია არის პროცესი, რომელიც აძლევს საშუალებას ინდივიდებს, თემებს და საქმიანობებს, ჩაერთონ საწარმოო სექტორისა და ბუნებრივი რესურსების მართვაში.

იმერეთის რეგიონში განხორციელებული ექსტენციის პროგრამა

მიზანი: აგრარულ სფეროში დასაქმებულთა ცოდნის დონის ამაღლება;

- დარიგებულია: 35 დასახელების თემატური ბროშურა;
- ვაზის, ხეხილის, პამიდორის, სიმინდის და თხილის მავნე ორგანიზმებისაგან დაცვის ფენოკალენდარული სქემები და სხვა მეთოდური მასალა;
 - გაწეულია სატელეფონო და ონლაინ რეჟიმში სარეკომენდაციო მომსახურება; ხონის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის ყოველგვარტალურ გაზეთში დაიბეჭდა 2 სტატია თხილის კულტურის პრობლემატიკაზე;
 - ბაღდათის მუნიციპალიტეტში ჩატარდა სემინარი „თხილის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები“, რომელიც მიზნად ისახავდა თხილის მწა-

რმოებელი ადგილობრივი ფერმერებისთვის და ამ დარგით დაინტერესებული პირებისთვის თხილის კულტურის შესახებ ცოდნის გაღმავებას და თხილის მოვლა-მოყვანის ახალი აგროტექნოლოგიური ღონისძიებების გაცნობას; სემინარი ვაზის და ხეხილის მოვლა-მოყვანის თემაზე;

• 2016 წელს, იმერეთის რეგიონის 11 მუნიციპალიტეტის 32 სოფელში ჩატარდა სემინარი/ტრენინგები მცენარეთა დაცვის, მეცხოველეობის, რძის წარმოების, ხელოვნური განაყოფიერების, მეფუტერეობისა და საკვებწარმოების აქტუალურ საკითხებზე.

ამრიგად, ფერმერებამდე მიტანილი იქნა კვლევის შედეგები და მათ ნათელი წარმოდგენა შეექმნათ ახალ ტექნოლოგიებზე.

საერთოდ, სადაც ფერმერულ და მინამეურნეობათა შემოსავლები დაბალია, აშკარად იგრძნობა სახელმწიფოს აქტიური ჩარევის საჭიროება ექსტენსიის ორგანიზებაში.

ექსტენციის განვთარების პოლიტიკა შემდეგ პრიორიტეტებს უნდა მოიცავდეს: ა) ექსტენციური სისტემის ეტაპობრივ ევოლუციასა და დასახული მიზნების ოპერაციონალიზაციას; ბ) ექსტენციური საგანმანათლებლო ინიციატივების აქტივიზაციას; გ) სოფლად ინფორმაციისა და სწავლების მსურველთა სამობილიზაციო ჯგუფების ფორმირების ხელშეწყობას; დ) ფერმერთა გაერთიანებებისა და კოოპერატივების განვითარებასა და ექსტენციაში მათი მონაწილეობის გაფართოებას; ე) სოფლად ქსელური და სხვა საკომუნიკაციო შესაძლებლობის გავრცელებას; ვ) მოწინავე, ეფექტური ტექნოლოგიების შექმნას, შემოტანას, ადაპტირებასა და გავრცელებას; ზ) ფერმერთა ფართო წრისათვის ხელმისაწვდომი საკრედიტო, საგრანტო და სადაზღვევო სისტემების ფორმირებას, რომლებიც ორიენტირებული და მოტივირებული იქნება ახალი, ეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობაში და ა.შ. ექსტენციური სისტემის განვითარების თანამედროვე ცვლილებები და რიგი ინსტიტუციური ინიციატივებისა, ავლენს მათ შორის ნათლად აღუნიშნავი ინსტიტუციური საზღვრების წაშლის, კპლევების, ახალი ტექნოლოგიებისა და ცოდნის ფერმერებისა და ფერმერთა ჯგუფებისათვის გადაცემის, მეთოდების და ფორმების დაახლოების ტენდენციას.

ექსტენციამ მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს ახალი, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობაში, სათანადო ცოდნის მიწოდებასა და სხვადასხვა სუბიექტის თუ ერთეულის ინოვაციური სისტემით მოცვაში.

ამჟამად, მზარდი ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობის ექსტენციისა და ინოვაციური სისტემების ურთიერთკავშირისა და ურთი-

ერთდამოკიდებულების საკითხებს, შესაბამისად, საკონსულტაციო მომსახურების როლის ამაღლებას ინოვაციურ სისტემაში.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოში მოქმედი საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები ხელს უწყობენ და აცნობენ ფერმერებს ექსტენციისა და საინფორმაციო შესაძლებლობების საკითხებს, რაც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის ისეთ ახალ გამოწვევებთან როგორიცაა: წყლის რესურსების კლება, ნიადაგის დაგრადაცია, ცვალებადი კლიმატი და არასტაბილური ბაზარი.

სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სისტემა მოიცავს ქმედებებს, რომელთა საშუალებითაც ხდება ფერმერებისა და სოფლად დასაქმებული სუბიექტებისათვის მოთხოვნადი ინფორმაციის მიწოდება, რათა მოხდეს მათი ტექნიკური, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული უნარების გაუმჯობესება, მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლების გადიდების მიზნით.

information-consulting services in agribusiness

Manana Shalamberidze-
Akaki Tsereteli State University Associated Professor

Abstract

(Internet version)

The article reviews information-consulting services in agribusiness. Specifically, the issues of extension, implementation of the extension program in Imereti region.

The importance of information-consulting services is given to farmers.

In conclusion, we would like to say that information-consulting services in Georgia facilitate and inform the farmers about extensions and information opportunities related to agriculture, such as new challenges such as water shortages, soil degradation, changing climate and unstable market.

The Agricultural Extension System comprises activities that provide information for farmers and rural employers to improve their technical, technological and organizational skills, to promote their economy development and to increase income

2. ქვების მრავალობა Food Industry

ბოსტნეულის ფანების ხარისხის
განვითარების ფაქტორები

ნუგზარ ბაღათურია-
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ნანა ბეგიაშვილი-
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
მედეა ორმოცამე-
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
ცისანა შილაკაძე-
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
ბექა ბაღათურია-
წამყვანი ინჟინერი

რეფერატი (ინტერნეტული ვერსია)

ჩატარებული თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების შედე-
გად შესწავლილია ტომატის, ჭარხლის, დამწილებული კომბოსტოს, გო-
გრის, საზამთროსა და ნესვის რბილობიანი წვენების ფიზიკო-ქიმიური და
ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები. დადგენილია აღნიშნული ბოსტნეულის
წვენების ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორები.

მცენარეული წვენების დამზადება საკონსერვო მრეწველობის
ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. მცენარეული წვენები შეიცავს შა-
ქრებს, ორგანულ მჟავებს და მათ მარილებს, მთრიმლავ ნივთიერე-
ბებს, ეთეროვან ზეთებს და ვიტამინებს, ამიტომ, მათი ღირებულება
ძალიან მაღალია. ბოსტნეულთა შორის ტომატის წვენი ერთ-ერთი
სასარგებლო საკვებია. ამზადებენ შემდეგი დასახელების ტომატის

წვენს: ტომატის ნატურალურ წვენს, ტომატის წვენს მარი-ლით, ტომატის წვენს ვიტამინით.

ტომატის წვენისათვის იყენებენ სრულიად საღ, ინტენსიურად შეფერილ ტომატს (სასურველია იყოს ხელით მოკრეფილი). გარეცხილ დახარისხებულ ტომატს აქუცმაცებენ, აცილებენ თესლს, რეცხავენ, თესლს აშრობენ და იყენებენ როგორც სათესლე მასალას.

დაქუცმაცებული ტომატი იხეხება საცერში უხეში ჩანართების: ყუნწის, ნაყოფის მწვანე ნაწილების და შესაძლო მინარევების მოსაცილებლად. გახეხილ მასას აცხელებენ დამჟანგავი და პექტოლიზური ფერმენტების ინაქტივიზაციისათვის, აგრეთვე მიკროორგანიზმების გასანადგურებლად და გახეხვის გასაადვილებლად. გაცხელების საჭირო ტემპერატურა 75_{-5}^{+5} ° მიღწეულ უნდა იქნეს რაც შეიძლება სწრაფად, რათა შეწყდეს პექტოლიზური ფერმენტების მოქმედება. თუ წვენის გაცხელება მიმნდინარეობს ნელა, მაშინ ტომატის მასა გარკვეულ პერიოდში იძყოვება $50-60$ °, რაც იწვევს ხსნადი პექტინის დაშლას. ნელი გაცხელების შედეგად ტომატის წვენს მისი დაბალი სიბლანტის გამო აქვს ფენებად დაყოფის მიღრეკილება. ფერმენტული პრეპარატების ინაქტივაცია მიიღწევა ორთქლის შეღწევით ტომატის მასაში. ამ დროს წვენის სიბლანტე შეიძლება შენარჩუნდეს საწყისი რაოდენობის $95\%-მდე$, მაგრამ შესაძლოა წვენი განხავდეს კონდენსატით.

ტომატის წვენს აფასოებენ მინის ან თუნუქის ქილებში, აგრეთვე ქაღალდის პაკეტებში.

ექსპაუსტირების შემდეგ მინის ქილებს, პერმეტულად ხუფავენ და გადასცემენ სტერილიზაციაზე ან პასტერიზაციაზე.

კონცენტრირებული ტომატის წვენი შეიცავს 40% ხსნად მშრალ ნივთიერებებს, $21,5\%$ შაქარს, $3,85\%$ ორგანულ მჟავებს, $2,23\text{მგ}/100\text{გ}$ კაროტინს, $96,8\text{მგ}/100\text{გ}$ ვიტამინ . მოხმარებისას მას აზაფიტენ ნატურალურ სიმკვრივემდე და მოიხმარენ როგორც სასმელს.

ტომატის წვენის დაკონსერვება შეიძლება დაიყოს შემდეგ სტადიებად:


- ნედლეულის გასუფთავება, რეცხვა და დახარისხება;
- ტომატის დაჭყლეტა (დაქუცმაცება);
- ტომატის მასის გაცხელება და ექსტრაქცია;
- ცენტრიფუგირება და ტომატის პროდუქტების გახეხვა;
- წვენის დაფასოება, სტერილიზაცია (პასტერიზაცია).

ტექნოლოგიური ხაზი იწყება გასუფთავების, რეცხვის და ნედლეულის დახარისხებით. ხაზის შემადგენლობაში შედის ვენტილატორიანი სარეცხი მანქანები, ტრანსპორტიორები და ჰიდროლარი. აგრეთვე დამჭუცმაცებული, ტუმბო, შემკრები ჭურჭელი.

კომპლექსში წამყვანია ვაკუუმ გამაცხელებული, ვაკუუმ ავზი და შნეკიანი წნეს შემკრები.

დანადგარების კომპლექსში შედის ცენტრიფუგები და გამხეხი მანქანები

დანადგარების კომპლექსური ხაზი მთავრდება დამფასოებულ-დამხუფი მანქანებით, სტერილიზატორებით და პასტერიზატორებით



ტომატის წვენის წარმოების მანქანა-დანადგარების სქემა მოცემულია ნახაზზე

ტომატის წვენის დაკონსერვების ხაზი შედგება ორი თანმიმდევრობით განლაგებული ვენტილატორიანი სარეცხი მანქანის, გორგოლაჭიანი დამხარისხებული ტრანსპორტიორის, ჰიდროლარის, დამჭუცმაცებლის, დაქუცმაცებული მასის შემკრების, ტუმბოს, ორი შეწყვილებული ვაკუუმ-გამაცხელებულის, წნეხის, ექსტრაგირებული წვენის შემკრების, ორმაგი ვაკუუმ-გამაცხელებული ექსტრაგირებული წვენისათვის, წვენის შემკრების, სითხის შემგების, დამხუფი მანქანის, მოწყობილობებისაგან მზა პროდუქციის სტერილიზაციისათვის.

ორჯერადი რეცხვა ვენტილატორიან სარეცხ მანქანაზე 1 უზრუნველყოფს ჭუჭყის სრულ მოცილებას. ტომატი გადაადგილება ტრანსპორტიორზე 2 გორგოლაჭების ბრუნვით, რაც უზრუნველყოფს ხარისხიან დახარისხებას და ინსპექციას. ჰიდროლარი, ტრანსპორტიორის ქვემოთ განკუთვნილია ნარჩენების მოსაცილებლად.

დახარისხებულ ნედლებულს დახრილ ტრანსპორტიორზე ევლება წყალი, რის შემდეგაც იგი მიეწოდება დამჭუცმაცებელს. დაქუცმაცებული მასა გროვდება შემკრებ ჭურჭელში 11, საიდანაც ტუბოთი 7 გადაიტუმბება ორმაგ ვაკუუმ გამაცხელებელ 12-ში, გაკუუმ ავზში 10, სადაც ცხელდება $60-65^0$, რათა გაორლდეს ლილვიან წნებზე გამოწურვა, ხაზი აღჭურვილია სათადარიგო შეკით, მუშის უსაფრთხოებისათვის.

შნეკები განლაგებულია ესტაკადაზე, გამოწურული წვენი თვითდინებით გროვდება ესტაკადის ქვეშ შემკრებში 8, შნეკები აღჭურვილია ტივტივათი, სიგნალიზაციისათვის, შნეკიდან 8, წვენი გადაიტუმბება ვაცუუმ ავზში 10, შემდეგ ორმაგ ვაცუუმ-გამაცხელებელში 9, სადაც ცხელდება $85 - 90^0$ ტემპერატურიზე. გამაცხელებლიდან-შემკრებში 5. თუ დადგენილი ტემპერატურის ქვევით არის გაცხელებული წვენი ტუმბოთი 7, ხელმეორედ ცხელდება ვაკუუმ გამაცხელებელში 9.

შემკრები 5-დან $0,25-0,5$ ლ-იან ქილებში ხდება დაფასოება მანქანით 14. ბოთლებში ცხელი ჩამოსხმოს დროს წვენი შემკრები 5-დან, ტუმბოს საშუალებით მიეწოდება თბომცვლელს 6, $97-98^0$ - მდე გასაცხელებლად. თუ ხაზი გაჩერდა და წვენი გაცივდა, მას ისევ გადატუმბავენ ვაკუუმ-გამაცხელებელში 9. წვენი ცირკული-რდება სისტემაში, ვიდრე მისი ტემპერატურა არ მიაღწევს 85^0 .

ჭარხლის წვენი

ჭარხლის წვენის დასამზადებლად იყენებენ რბილობის მკვეთრი შეფერილობის მქონე ჯიშებს, შეიცავენ რა დიდი რაოდენობით ბეტა ანტოციანს,, რომელიც უზრუნველყოფს სტაბილურ ინტენსიურ შეფერვას 4-7-ის დროს. ჭარხლის მომზადება ითვალისწინებს ჭარხლის გაწმენდას კანისაგან თერმული მეთოდით, მძაფრი ორთქლით 120^0 ზე $10-25$ წუთის განმავლობაში. ამასთან ერთად ხდება ჭარხლის ბლანშირება. შემდეგ ჭარხალს ასუფთავებენ კანისაგან ფრთებიან და დოლურ სარეცხ მანქანაზე, საბოლოოდ ასუფთავებენ და აქცენტებენ $2-5$ მ ნაჭრებად. ჭარხლის წვენს შაქრით ამზადებენ რბილობით და რბილობის გარეშე. რბილობის გარეშე წვენის დამზადების დროს დაქუცმაცებულ მასას წნეხავენ, შემდეგ ატარებენ საცერში, უტარებენ სეპარაციას ფილტრავენ,

ამატებენ შაქარს, ლიმონის და ასკორბინის მჟავას. წვენს ამატებენ 5% შაქარს, 0,2% ლიმონის და 0,1% ასკორბინის მჟავას. წვენს აცხელებენ 95⁰ -მდე, აფასოებენ, ხუფავენ და ავტოკლავში 120⁰ -ზე ასტერილებენ.

რბილობიანი წვენის დასამზადებლად, ბლანშირებულ ჭარხალს, კანისგან გასუფთავებისა და დაქუცმაცების შემდეგ ხეხავენ ორმაგ სახეს მანქანაში. მიღებულ პიურეს ურევენ 10%-იან შაქრის სიროფს, შეფარდებით 1:1. ამატებენ 0,3% ლიმონის და 0,1% ასკორბინის მჟავას. ნარევში საზღვრავენ -ის სიდიდეს, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 4,4, შემდეგ ატარებენ ჰომოგენიზაციას, დეაურაციას, აფასოებენ ხუფავენ და ასტერილებენ. ჭარხლის წვენი რბილობით და შაქრით შეიცავს 11% მშრალ ხსნად ნივთიერებებს, არანაკლებ 7% შაქარს, არაუმეტეს 0,5% მჟავიანობას, არაუმეტეს 35% რბილობს.

სტაფილოს და ჭარხლის საფუძველზე აწარმოებენ კუპაჟირებულ წვენებს და ვაშლის, ყურძნის და სხვა კენკრის პიურეს.

დამწნილებული კომბოსტოს წვენი

წვენის მისაღებად გამოიყენება საშუალო და გვიანი დამწიფების კომბოსტო, რომელსაც ამწიფებენ 2% მარილის, დაკეპილი სტაფილოს, დაფნის ფოთლის და რძემჟავა ბაქტერიების სუფთა კულტურების დამატებით რძემჟავა ღულილის პროცესის დასაჩქარებლად. კომბოსტოს მჟავიანობის 1,3%-მდე მიღწევის შემდგ წვენს გაწურავენ, გაფილტრავენ, ტოვებენ 4-5 საათს შეწონილი ნაწილაკების დასალექად. შემდეგ წვენს გადასხამენ ნალექიდან და პასტერიზაციას ატარებენ 90⁰ -მდე, გააცივებენ, კვლავ ფილტრავენ, აფასოებენ, ხუფავენ და ასტერილებენ 90⁰ -ზე. დამწნილებულ კომბოსტოს მზა წვენის მჟავიანობა უნდა შეადგენდეს არა უმეტეს 1,3% (რძემჟავას მიხედვით), სუფრის მარილის შემცველობა არაუმეტეს 1%.

გოგრის (კვახის) წვენი

წვენს უმთავრესად ღებულობენ მუსკატის (ჯავზის) ჯიშის გოგრიდან, რომელსაც აქვს გამორჩეული გემური თვისებები და კარტინის მნიშვნელოვანი შემცველობა. გოგრის მომზადებაში შედის დალბობა, რეცხვა, ფუნწის ამოჭრა, ნაჭრებად დაჭრა, თესლის მოცილება, დაქუცმაცება და ჩახარშვა 95-98⁰.

ჩახარშვლ დაქუცმაცებულ გოგრას გახეხავენ გამხეს მანქანაზე, ღებულობენ პიურეს. პიურეს საფუძველზე ამზადებენ გოგრის წვენს, კუპაჟირებულს გარგრის პიურესთან ან ვაშლის წვენთან. გოგრის წვენის მიღების შემდეგ პიურეს ურევენ 25%-იან შაქრის

სიროფს შეფარდებით 1:1, უმატებენ 0,1% ლიმონის მჟავას, ურევენ, აფასოებენ და ასტერილებენ.

მზა გოგრის წვენი შეიცავს 14% მშრალ ხსნად ნივთიერებებს, მჟავიანობა (ვაშლის მჟავას მიხედვით) 0,4%, არაუმეტეს 4,5, რბილობის რაოდენობა 30%, კუპაჟირებული წვენები გოგრის პიურით შეიცავენ 10-12% მშრალ ხსნად ნივთიერებებს, მჟავიანობას 0, 4%, არაუმეტეს 4,4, რბილობს 30%.

საზამთროსა და ნესვის რბილობიანი წვენები

საზამთროსა და ნესვის წვენებს ამზადებენ სრულყოფილად მწიფე ხილისაგან, ისინი მიეკუთვნებიან მრავალთესლიან კენკრას. ხილს რეცხავენ, ჭრის შესვილ ნაჭრებად, რბილობს აცილებენ ქერქს, თესლის მოსაცილებლად ატარებენ საცერძი, მასას აცხელებენ, პომოგენიზაციას უტარებენ, ჩამოასხამენ, ხუფავენ და ასტერილებენ.

ბოსტნეულისა და ხილ-ბოსტნეულის წვენების ხარისხისადმი წაყვნებული მოთხოვნები:

ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებით ბოსტნეულის და ხილბოსტნეულის წვენები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ხილის და ხილ-ბოსტნეულის წვენები, რომლებმაც არ გაიარა რძემჟავა დუღილი:

გარეგანი სახე და კონსისტენცია: გაუმჭვირვალე წვენი-ბუნებრივად მღვრიე სითხე, არ არის აუცილებელებელი გამჭვირვალობა, დასაშვებია უმნიშვნელო შესქელებული ლექი ტარის ფსკერზე.

წვენი რბილობით-ერთგვაროვანი გაუმჭვირვალე სითხე, თანაბრად განაწილებული წვრილად დაქუცმაცებული რბილობით. დასაშვებია უმნიშვნელო ფენებად დაყოფა რბილობის ნაწილების დალექვის შედეგად.

ფერი-ერთგვაროვარი მთელ მასაში, გამოყენებული ბოსტნეულის, ხილის და მათი ნარევის ან გამოყენებული ხილის და ბოსტნეულის ნარევის ინგრედიენტების დამახასიათებელი ფერი.

დასაშვებია რამდენადმე მუქი შეფერილობა და ფერის ბოსტნეულისა და ხილისათვის და უმნიშვნელო გაუფერილობა მუქად შეფერილი ბოსტნეულისა და ხილისათვის.

ბოსტნეულის და ხილ-ბოსტნეულის წვენები, რომლებმაც გაიარა რძემჟავა დუღილი:

გარეგანი სახე და კონსისტენცია: ერთგვაროვანი გაუმჭვირვალე სითხე, დასაშვებია მცირე ნალექი.

გემო და სუნი-სასიამოვნო, მოტკბო-მჟავე; კომბოსტოს წვენი-მჟავე-მლაშე. გარეშე გემო და სუნი არ არის დასშვები.

ფერი—დამახასიათებელი გამოყენებული ბოსტნეულის და ხილის, დასაშვებია რამდენადმე მუქი შეფერვა.

ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლებით ბოსტნეულის და ხილ-ბოსტნეულის უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ ნორმებს:

გაუმჭვირვალე წვენების ხსნადი მშრალი ნივთიერებების მასური წილი 8,0%-დან სტაფილოსათვის, 13%-მდე ჭარხლის წვენისათვის შაქრით. რბილობიანი წვენი გემური ინგრედიენტების დამატების გარეშე 8,0-დან 10%-მდე, გემური ინგრედიენტების დამატებით 5,0-დან 15%-მდე, წვენებში, რომლებმაც გაიარა რძემჟავა დუღილი არა ნაკლებ 7,0%.

მასური წილი ტიტრული მჟავიანობის ვაშლის მჟავაზე გადაანგარიშებით 0,4%-დან სტაფილოს წვენში, 0,5% ჭარხლის წვენში შაქრით. წვენებში რბილობით გემური ინგრედიენტების გამოყენების გარეშე არა ნაკლებ 0,5%, გემური ინგრედიენტების დამატებით -0,5%-დან 0,8%-მდე.

წვენმა, რომელმაც გაიარა რძემჟავა დუღილი მასური წილი ტიტრული მჟავიანობისა რძემჟავაზე გადაანგარიშებით შეადგენს 0,5%-დან 0,8%-მდე.

წვენებში რბილობით გემური ინგრედიენტების დამატების გარეშე, მასური წილი რბილობის არა უმეტეს -35%, გემური ინგრედიენტების დამატებით 15-დან 35%-მდე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ.ბალათურია-კვების პროდუქტების ტექნოლოგია 2017წ.

Quality determining factors of vegetable juices

Nugzar Baghaturia-

Technical scientific doctor,
Academician of the Georgian Academy
of Agricultural Sciences

Nana Begiashvili-

Technical scientific doctor,

Medea Ormotsadze-

Technical scientific candidate,

Tcisana Shilakadze-

Technical scientific candidate,

Beqa Baghaturia-

Main Engineer

Abstract

(Internet version)

As a results of the conducted theoretical and experimental investigations there are studied the chemical-physical and organoleptic indices of tomato, beet, pickled cabbage, pumpkin, watermelon and melon flesh juices. There are established the quality determining factors of the given vegetable juices.

**სილ-კონკრეტული და
დადუღებულ-დასპირტული
ფინანსის ნატურალობის მაჩვენებელი
პრიცენტუმები**

ნუგზარ ბალათურია-

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ნანა ბეგიაშვილი-

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,

მედეა ორმოცაძე-

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი,

ცისანა შილაკაძე-

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი,

ბექა ბალათურია-

წამყვანი ინჟინერი

**რეფერატი
(ინტერნეტული ვერსია)**

ზილ-კენკროვანთა დასპირტული წვენების და დადუღებულ-დასპირტული წვენების ნატურალობის დასაღებენად მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათში შემოწმდეს არაშაქრული ნივთიერებების მასური წილი შშრალი ნივთიერებების მასურ წილში, პრეცალირებული რაოდენობით წარმოქმნილი არაშაქროლავი მუკაბის მასური წილი, ტიტრული მუკაბის მასურ წილში, საერთო ფენოლებისა და ცილოვანი ნივთიერებების შემცველობა. დამატებით მაჩვენებლად შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე წვენის ბუფერული ტევადობა და ელექტროგამტარებლობა.

დასპირტულ და დადუღებულ-დასპირტულ წვენებში ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა კატეგინების და მთრიმლავი ნივთიერებების შემცველობა.

დადგნოლ იქნა, რომ, კომშის, ვაშლის, მსხლისა და ბლის წვენებში კატეგინების მასური წილის მაჩვენებელი საერთო ფენოლების მასურ წილში, მაღალია, მთრიმლავი ნივთიერებების მასურ წილთან შედარებით.

ალუბლის, მაყვლის, ქლიავისა და ტყემლის წვენებში კი პირიქით— მთრიმლავი ნივთიერებების მასური წილი ჭარბობს კატეგინების მასურ წილს.

ფენოლური ნივთიერებების განსაკუთრებით მაღალი შემცველობით გამოირჩევა ალუბლის, მაყვლის და ბლის წვენები.

ხილ-კენკროვანთა ნედლეულიდან წვენის გამოყოფის პროცესი ითვალისწინებს მცენარეული უჯრედის მთლიან დარღვევას, რის შემდეგადაც მიღებულ წვენში სპონტალურად მიმდინარეობს, როგორც მათში არსებული ენდოგენური ფერმენტებით, ასევე გარემო არედან მოხვედრილი მიკროორგანიზმების ცხოველმოქმედებით გაპირობებული ბიოქიმიური გარდაქმნები. ნედლეულიდან გამოწვლილული წვენი, სწრაფად იცვლება გაუარესებისაკენ. ამიტომ, მიმართავენ დაკონსერვების ერთ-ერთ მეთოდსდასპირტვას.

დასპირტული წვენები—ნახევარფაბრიკატებია. მათ იყენებენ ხილ-კენკროვანთა დაკონსების, ლიქიორების, აგრეთვე დაბალალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების დასმზადებლად.

ხილ-კენკროვანთა წვენები მიიღება ახლადდაკრეფილი ნედლეულისაგან. მათი წარმოებისას დაუშვებელია რაიმე დანამატების (საღებავები, არომატიზატორები, ბადაგი, შაქარი და სხვა ნივთიერებები) გამოყენება.

ხილ-კენკროვანთა დასპირტული წვენების და დადუღებულ-დასპირტული წვენების ნატურალობის მაჩვენებელი ფიზიკო-ქიმიური კრიტერიუმების დასადგენად, ჩვენს მირ პირველად იქნა ჩატარებული მრავალწლიანი სისტემატური გამოკვლევები

ხილ-კენკროვანი წვენების ხარისხის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია მათი მჟავიანობა. ქვემოთ მოყვანილია ამ მაჩვენებლის მიხედვით ხილ-კენკროვანთა წვენების დახასიათება.

ვაშლის დასპირტული წვენი: ვაშლის წვენის საერთო მჟავიანობა შეადგენს 4,03-6,58 გრ/ლ, ტიტრული მჟავიანობა 3,15 - 4,87 გრ/ლ, მქროლავი მჟავიანობა—0,45-0,74 გრ/ლ. არამქროლავი ორგანული მჟავებიდან პრევალინებული რაოდენობითაა წარმოდგენილი ვაშლის მჟავა—2,5-3,21 გრ/ლ, რაც შეადგენს ტიტრული მჟავიანობის 66 - 81 %-ს. უმნიშვნელო რაოდენობითაა (0,3 გრ/ლ) წვენში ლიმონის მჟავა, კვალის სახითაა ქარვისა და ფუქარის მჟავები.

კომშის დასპირტული წვენი: საერთო მჟავიანობა შეადგენს 7,42-10,17 გრ/ლ, ტიტრული მჟავიანობა 6,14-7,74 გრ/ლ, მქროლავი მჟავიანობა 0,65-0,90 გრ/ლ. არამქროლავი ორგანულ მჟავათა შორის ჭარბი რაოდენობითაა წარმოდგენილი ვაშლის მჟავა 5,09-6,19 გრ/ლ, რომელიც შეადგენს ტიტრული მჟავიანობის 78,86-82,90%; ღვინის მჟავა—0,25გრ/ლ-მდე, ლიმონის მჟავა მოიპოვება კვალის სახით, ქარვისა და ფუქარის მჟავები აღმოჩენილი არ არის.

მსხლის დასპირტული წვენი: წვენი მზადდება “კაიფერას თესლნერგის” მსხლის ჯიშისაგან, რომელიც გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში და გამოიყენება ხილ-კენკროვანთა მეღვი-

ნეობაში. საერთო მუავიანობა აქ შეადგენს 3,52–4,68 გრ/ლ, ტიტრული მუავიანობა 2,70–3,92 გრ/ლ, მქროლავი მუავიანობა 0,31–0,44გრ/ლ. არამქროლავი ორგანული მუავები ძირითადად წარმოდგენილია ვაშლის მუავით (1,37–1,94გრ/ლ), რომელიც შეადგენს ტიტრული მუავიანობის 46,28–52,59 %. მნიშვნელოვანი რაოდენობითაა მსხლის წვენში ასევე ლიმონის მუავა (0,95–1,50 გრ/ლ), მხოლოდ ყველა შემთხვევაში ჭარბობს ვაშლის მუავა. წვენში ასევე ნაპოვნია ქარვის მუავა კვალის სახით, არ არის აღმოჩენილი ღვინისა და ფუმარის მუავები.

ალუბლის დასპირტული წვენი: საერთო მუავიანობა შეადგენს 18,90–19,93 გრ/ლ, ტიტრული მუავიანობა 15,26–15,88 გრ/ლ, მქროლავი მუავიანობის შემცველობა 0,80–0,85 გრ/ლ. არამქროლავი ორგანული მუავების შემცველობაში ჭარბობს ვაშლის მუავა (6,70 – 8,92 გრ/ლ) და შეადგენს ტიტრული მუავიანობის 42,21 – 58,50 %. მნიშვნელოვანი რაოდენობითაა წარმოდგენილი ქარვისა (0,91 – 1,10 გრ/ლ) და ფუმარის მუავები (0,94 – 1,5გრ/ლ).

ქლიავის დასპირტული წვენი: საერთო მუავიანობა 9,57–12,39 გრ/ლ, ტიტრული მუავიანობა 7,89–10,25 გრ/ლ, აქროლადი მუავიანობა 0,38–0,43 გრ/ლ. არამქროლადი ორგანული მუავებიდან ჭარბი რაოდენობითაა წვენში ვაშლის მუავა 5,67–6,80გრ/ლ და შეადგენს ტიტრული მუავიანობის 66,34–71,68 %. წვენში ასევე მოიპოვება ლიმონის მუავა 0,42–0,67 გრ/ლ და ღვინის მუავა კვალის სახით.

ტყემლის დასპირტული წვენი: ტყემლის წვენს ღებულობენ მოქმედი ტექნოლოგიური ინსტრუქციის მიხედვით, 30–40 % წყლის დამატებით. წვენის საერთო მუავიანობა შეადგენს 16,40–16,80 გრ/ლ, ტიტრული მუავიანობა 14,44–15,12 გრ/ლ, მქროლავი მუავების შემცველობაა 0,73–0,75 გრ/ლ. ტიტრული მუავების ძირითადი ნაწილი (67,44–70,36 %) წარმოდგენილია ვაშლის მუავით 9,92–10,34 გრ/ლ; ლიმონის მუავა წვენში შეადგენს 0,22–0,67 გრ/ლ, ღვინის მუავა 1,09–1,26 გრ/ლ. წვენში ასევე აღმოჩენილია კვალის სახით ქარვის მუავა, ფუმარის მუავა აღმოჩენილი არ არის.

ხილ-კენკროვნების დასპირტული წვენების ნატურალობის დასადგენად მიზანშეწონილად მიგვაჩნია რომ მათში შემოწმდეს შემდეგი მაჩვენებლები: არაშაქრული ნივთიერებების მასური წილი შშრალი ნივთიერებების მასურ წილში, პრეგალირებული რაოდენობით წარმოდგენილი არამქროლავი მუავების მასური წილი, ტიტრული მუავების მასურ წილში, საერთო ფენოლებისა და ცილოვანი ნივთიერებების შემცველობა.

შშრალი ნივთიერებების განსაზღვრა წარმოებდა რეფრაქტომეტრით, საერთო შაქრებს ვსაზღვრავდით სპირტის გადადენის შემდეგ—ნაშთში. ხილ-კენკროვანთა დასპირტული წვენების ნატურალობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია უშაქრო ნივთიერებების მასური წილი მშრალი ნივთიერებების მასურ წილში. ვაშლის წვენისათვის ეს მაჩვენებელი მერყეობს 26,7%-დან 43,20%-მდე, კომში 35,82—44,49%, მსხლის წვენში 36,91—40,99 %- მდე, ალუბალში 29,49—48,06 %, მაყვალში 34,44—48,84 %, ბალში 41,09—51,84 %, ქლიავში 47,98—57,04 %, ტყემალში 52,13—58,45 %.

დასპირტულ წვენებში კარგადაა შენარჩუნებული ვიტამინი “ ”. მისი რაოდენობა ვაშლის წვენში შეადგენს 21,8—51,3 მგ/ლ, კომში 29,2—59,9 მგ/ლ, მსხალში 31,47—37,05 მგ/ლ, ალუბალში 66,3 — 117,2 მგ/ლ, მაყვალში 100,8—124,2 მგ/ლ, ბალში 131,4—252,2 მგ/ლ, ქლიავში 21,04 — 28,30 მგ/ლ და ტყემალში 28,15—35,04 მგ/ლ.

დასპირტულ წვენებში, ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა საერთო ფენოლების შემცველობა, მათ რიცხვში კატექინებისა და მთრიმლავი ნივთიერებების შემცველობაც. ვაშლის, კომშის, მსხლისა და ბლის წვენებში კატექინების მასური წილის მაჩვენებელი საერთო ფენოლების მასურ წილში მაღალია, მთრიმლავი ნივთიერებების მასურ წილთან შედარებით. ალუბლის, მაყვლის, ქლიავისა და ტყემალის წვენებში კი პირიქით—მთრიმლავი ნივთიერებების მასური წილი ჭარბის კატექინების მასურ წილს. ფენოლური ნივთიერებების განსაკუთრებით მაღალი შემცველობით გამოირჩევა ალუბლის, მაყვლის და ბლის წვენები. დასპირტული წვენების მახსიათებელ ერთ-ერთ კრიტერიუმად ჩვენს მიერ შერჩეულ იქნა საერთო ფენოლების შემცველობის მაჩვენებელი.

მრავალი წვენისათვის განმასხვავებელი მაჩვენებელია ცილოვანი ნივთიერებების მაღალი შემცველობა. ცილის მაღალი შემცველობით (150 მგ/ლ-ზე მეტი) გამოირჩევიან ვაშლის (161 მგ /ლ), ალუბლის (162 მგ/ლ) და ბლის (166 მგ/ლ) წვენები.

დადუღებული წვენები გამოიყენება, როგორც დამოუკიდებელი პროდუქტი, ხილ-კენკროვანი დასპირტული წვენების დამზადების დროს. სპირტის დაბალი შემცველობის გამო, დადუღებული წვენები არამდგრადია მიკრობიოლოგოური დაავადებების მიმართ, ამიტომ თუ ისინი მიმართულია შემაგრებული ღვინოების დასამზადებლად, მათ სპირტავენ მოც. 16-20%-მდე.

ეთილის სპირტით განზავების გამო ამ წვენებში შემცირებულია ყველა მაჩვენებელი- როგორც ფენოლების, ისე მისი შემადგენელი ნაწილების – კატექინებისა და მთრიმლავი ნივთიერებების შემცველობა.

ხილ-კენკროვანთა დაღულებულ-დასპირტული წვენების იდენტიფიკაციისათვის შეიძლება გამოვიყენოთ წვენის ფენოლური ნაერთებისა და ორგანული მჟავების რაოდნობრივი და თვისებრივი შემცველობის მაჩვენებლები.

ხილ-კენკროვანთა დასპირტული წვენების ფიზიკური მახასი-ათებლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ წვენების ისეთი მაჩვენებლები, როგორებიცაა ოპტიკური სიმკვრივე, ბუფერული ტევადობა და ელექტროგამტარობა ერთი დასახელების წვენის ფარგლებში გარირებს შედარებით მცირე ინტერვალში.

ოპტიკური სიმკვრივე 280 ნმ ტალღის სიგრძეზე ანტოცი-ანების შემცველ წითელი შეფერილობის წვენებში მნიშვნელოვად გაზრდილია თეთრ წვენებთან შედარებით. ასეთი კანონზომიერება არ შეიმჩნევა თეთრი და წითელი წვენების ბუფერული ტევადობისა და ელექტროგამტარობის მაჩვენებლების შედარებისას.

მრავალწლიანი გამოკვლევების შედეგად, ჩვენს მიერ დადგენილ იქნა ხილ-კენკროვანთა წვენების ნატურალობის ძირითადი მაჩვენებლები. ესენია: არაშაქრული ნივთიერებების მასური წილი მშრალი ნივთიერებების მასურ წილში, ტიტრულ მჟავიანობის შედგენლობაში ჭარბად წარმოდგენილი ორგანული მჟავების მასური წილი, ფენოლური და აზოტოვანი ნივთიერებების შემცველობა, ასევე წვენების ფიზიკური მაჩვენებლები-ფარდობითი ელექტროგამტარობა, ოპტიკური სიმკვრივე და ბუფერული ტევადობა.

ხილ-კენკროვანთა დასპირტული წვენების ნატურალობის
მაჩვენებელი ქიმიური მახასიათებლები

ცხრილი 1

წვენის დასახე- ლება	მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი					
	არაშაქრუ- ლი ნივთიერებებე- ბის მასიური წილი მშრალი ნივთიერე- ბების მასიური წილიდნ, % არანაკლებ	ცილები მგ/ლ, არანა- კლებ	ფენოლური ნივთიერებები, მგ/ლ, არანაკლებ			ჭარბად არსებული მუავის %,
საერ- თო	კატე- ჯინები	მთრიზ ლავი ნივთიე- რებები	ტიტრულ მუავის %,			
თეთრი წვენები ვაშლის	20,0	135,0	600,0	200,0	-	ვაშლის (60)
კომშის	30,0	80,0	650,0	270,0	-	ვაშლის (55)
მსხლის	30,0	60,0	650,0	-	-	ვაშლის (40) ღიმონის (55)
ქლიავის	40,0	70,0	350,0	-	-	ვაშლის (55)
ტყემლის	45,0	80,0	350,0	-	-	ვაშლის (55) ღვინის
წითელი წვენები მაყვლის	30,0	100,0	2600,0	150,0	700,0	ღიმონის (30) ვაშლის
მოცვის	40,0	150,0	2500,0	890,0	500,0	ღიმონის (30) ვაშლის
აღუბლის	25,0	150,0	2300,0	400,0	700,0	ვაშლის (40) ქარვის ფუმარის

წილ-კენკროვანთა დაღუღებულ-დასპირტული წევნების
ნატურალობის მაჩვენებელი ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები
(3ხრილი 2

წევნის დასახე- ლება	ფენოლური ნივთიერებები, მგ/ლ, არანაკლებ			ნაცარი %, არანაკ ლებ	პრეცალინებული მჟავების შემცველობა, % ტიტრული მჟავებიდან, არანაკლებ
	საერთო	კატექი ნები	მორიმლა ვი ნივთიერე ბები		
თეთრი წევნები ვაშლის	6400,	120,0	80,0	0,10	ვაშლის (60)
კოშჩის	450,0	180,0	40,0	0,15	ვაშლის (55)
მსხლის	450,0	50,0	50,0	0,10	ვაშლის (40) ლიმონის (არა უმეტეს 30)
ქლიავის	250,0	50,0	30,0	0,15	ვაშლის (55) ვაშლის
ტყემლის	250,0	30,0	30,0	0,15	ვაშლის (55) ლიმონის
წითელი წევნები ალუბლის	1700,0	130,0	250,0	0,20	ვაშლის (40) ვაშლის (5) ფუძარის (5)
მაყვლის	1600,0	40,0	400,0	0,15	ლიმონის, (არა უმეტეს 35)
მოცვის	1800,0	700,0	350,0	0,15	ლიმონის, (არა უმეტეს 40)

ლიტერატურა

1. ნ.ბაღათურია, ნ.ბეგაძაშვილი-დვინის ექსპერტიზა, თეორია და პრაქტიკა. თბილისი 2013წ.
2.
2008 .
3. ნ.ბაღათურია—კვების პროცესების ტექნოლოგია. თბილისი 2017წ.

Criteria showing the naturalness of the fruit and berry juices preserved and fermented in alcohol

Nugzar Baghaturia-

Technical scientific doctor,
Academician of the Georgian Academy
of Agricultural Sciences

Nana Begiashvili-

Technical scientific doctor,

Medea Ormotsadze-

Technical scientific candidate,

Tcisana Shilakadze-

Technical scientific candidate,

Beqa Baghaturia-

Main Engineer

Abstract

(Internet version)

In order to indicate the naturalness of the fruit and berry juices preserved and fermented in alcohol it is preferred (appropriate) to check the non-sugar substances mass share in the mass share of dry substances; the mass share of non-blowing acids formed in prevalent amount in the mass share of titratable acids; total content of phenols and protein substances. As an additional index, also can be used the buffer capacity and electrical conduction of juice.

საქართველოს ბაზრის სეგენტში გაადგილებული
სამამულო და იმპორტული ხორბლის მარცვლის,
ფქვილის და მისგან წარმოებული პურ-პროდუქტის
ეკოქიმიური ექსპერტიზა

თამარ ფალავანდიშვილი-
ტექნიკის აკადემიური დოქტორი,
გიორგი დანელია -
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

რეფერატი (ინტერნეტული ვერსია)

შესწავლილია როგორც საგარეჯოს ლანდშაფტზე (იორმუღალი) გავრცელებული ალუვიური საშუალოდ კარბონატული, ასევე ბოდბის ტერიტორიაზე არსებული რენძინო-ყავისფერი ნიადაგების ქიმიური მაჩვენებლები, მათში მცენარისათვის შესათვისებელი მოძრავი საკვები ელემენტების (N, P, K) დაბალი შემცველობის გამო საშემოდგომი ხორბლის კულტურისათვის განგარიშებულია მინერალური სასუქების დოზები, ამავდროულად დადგენილია საქართველოს ბაზრის სეგმენტში გაადგილებული სამამულო და იმპორტირებული ხორბლის მარცვლის ხარისხი. შესწავლილია შ.პ.ს. თბილისის №4 პურის ქარხნის მაგალითზე პურის პროდუქციის ორგანოლეპტიკა, ხარისხობრივი მაჩვენებლები და სრულფასოვანი იდენტიფიკაცია სახელმწიფო სტანდარტთან.

მარცვლეულის წარმოება-სოფლის მეურნეობის განვითარების საფუძველია. მსოფლიოში საერთო ნათესი ფართობის 50%-ზე მეტი მარცვლეულ კულტურებს უჭირავს. დედამიწაზე, მცირე გამონაკლისის გარდა, მოსახლეობა პურეულის მარცვლისაგან დამზადებული პროდუქტით იკვებება. მარცვალი კვების ძირითადი პროდუქტის-პურის წარმოების გარდა, ბურღულის, მაკარონის, საკონდიტრო, ლუდის, სახამებელ-ბადაგის, სპირტის წარმოების ნედლეულია; მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოიყენება მეცხოველეობაში კონცენტრირებული და კონბინირებული საკვების დასამზადებლად. მარცვლეულის დიდი ნაწილი მიდის სახელმწიფო სარეზევრო ფონდში და გამოყენებულია, როგორც საექსპორტო საქონელი. ამგვარად, მარცვლეულის წარმოების მოცულობაზეა დამოკიდებული ქვეყნის მოსახლეობის უზრუნველყოფა პურ-პროდუქტებით. პურეული მარცვლეულის მცირე ტენიანობა, საშუალებას

იძლევა დაგროვდეს მისი მარაგი და წლობით იქნას შენახული. ამიტომ, შემთხვევითი არ არის ის, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის კრიტერიუმად მიჩნეულია მარცვლეულის წარმოების დონე, რაც აგროპოლიტიკის პრიორიტეტული საკითხია [1].

ხორბლის მარცვლის ხარისხი განისაზღვრება მრავალრიცხოვანი მაჩვენებლით, რომლითაც გაპირობებულია მისი სახმარი თვისებები და დანიშნულება. ეს მაჩვენებელია: ორგანოლეპტიკა, ბიოქიმიური შედგენილობა, დანაგვიანება, დასენიანება, ნატურა, რქისებურობა, წებოგვარის შემცველობა და მისი ხარისხი, აპვიანობა, გაღივების და აღმოცენების უნარი, სიმსხო და სხვა [2].

ხორბლის ნედლეულის ბიოქიმიური შედგენილობა საკმაოდ რთულია. მარცვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტია წყალი, მინერალური ნივთიერებები, აზოტოვანი ნივთიერებები, სახამებელი, ნედლი უჯრედანა, პენტოზები, ლიპიდები და ლიპოიდები, ვიტამინები, ფერმენტები.. შესწავლილ იქნა, როგორც საგარეჯოს რაიონის იორმუღალოს ტერიტორიაზე გავრცელებული ალუვიური, სამუალოდ კარბონატული და ბოდბის ტერიტორიაზე გავცელებული რენდინო-ყავისფერი ნიადაგები, ასევე მათზე მოყვანილი ხორბლის კულტურების ბიოლოგიური სრულფასოვნება და ეკოლოგიური სისუფთავე [3].

წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში შესწავლილია სამამულო და იმპორტირებული ხორბლის მარცვლის ბიოქიმიური პარამეტრები, ასევე დადგენილია ხორბლის ფქვილის პურისცხობითი თვისებები, ორგანოლეპტიკა პურის ხარისხი ბაზისური ქიმიური მეთოდებით ქ. თბილისის შ.პ.ს. 4 პურის ქარხნის მაგალითზე, რომელიც ამჟამად იყენებს რუსეთიდან იმპორტირებული ხორბლისაგან დამზადებულ ფქვილს. დადგენდა მათი კვებითი უვნებლობა მძიმე ლითონებთნ მიმართებაში, ეკოქიმიური ექსპერტიზის საფუძველზე კი ბიოლოგიური სრულფასოვნება და ეკოლოგიური სისუფთავე [4].

საქართველოში, ალუვიური ნიადაგები ძირითადად გავრცელებულია ივერიისა და კოლხეთის ბარის მდინარისპირა ტერიტორიებზე. ნიადაგი ღრმაა $>1\text{m}$. თითქმის მთელი სისქეზე რუხი და ღია შეფერილობისაა. ნიადაგის დამლაშების ხარისხის შესაბამისად ადვილად ხსნად მარილთა ახალქმნილები-ფიფქი ახასიათებს, პროფილს დიფერენციაციის მეტი მაჩვენებელი ნიშანი არ აქვს. უმეტესად მძიმე თიხნარი მექანიკური შედგენილობისაა. ზედა ფერნა ხასიათდება კარგად გამოხატული მარცვლოვანი სტრუქტურით. ჩვენს მიერ შესწავლილი საგარეჯოს რ-ნის სოფელ იორმუღალოს ტერი-

ტორიაზე აღებული ნიადაგის ნიმუშების ქიმიური მაჩვენებლები
მოცემული ცხრილში 1

საგარეჯოს რაიონის იორმუდალოს ტერიტორიაზე გავრცელებული
მდინარისპირა ალუვიური ნიადაგების
ძირითადი ქიმიური მაჩვენებლები ცხრილი 1

ტერიტორია	სიღრძე, სმ	pH (წყლის სუსტნაბაში)	CaCO ₃ , %	მცენარის მიერ შესათვისებელი საკვები ელემენტები, მგ/100 გ ნიადაგზე		
				ჰიდროლი ზური აზოტი ტიურნ- კონკრებს მეთოლით	მომრავ P ₂ O ₅ მნიშვნის მეთოლით	გაცვლითი K ₂ O -კონკრების მეთოლით
იორმუდალო	0-20 20-40	7,2 70	7,1 6,5	5,3 4,4	1,6 1,3	22,4 21,0

აკუმულაციურ ფენაში 0-20 სმ, 20-40 სმ-PH -7,0-7,2 ანუ
ნეტრალურია, ხოლო CaCO₃-ის (6.5-7.1%) შემცველობა საშუალოა,
რაც დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს ალუვიური
ნიადაგებისათვის, ამ ფონზე მას არ სჭირდება მოთაბაშირება [5].

უნდა აღინიშნოს, რომ ხორბლის მარცვლის პროდუქტიულობის
გაზრდის მიზნით აუცილებელია ქიმიურად სუფთა ნივთიერებების
გამოყენება, სასუქის სახით, რომლებიც აუმჯობესებს არა მხოლოდ
აღნიშნული ნიადაგების ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ თვი-
სებებს, ასევე ზრდის სამემოდგომო ხორბლის მოსავალს და პრო-
დუქციის ხარისხს. აპრობირებული და რეკომენდებული დოზების
თანახმად გამოიყენება აზოტიანი სასუქები თესვის დროს და
ბარტყობის პერიოდში გამოკვების სახით, ხოლო ფოსფორიანი და
კალიუმიანი გვიან შემოდგომით ძირითადი განოყიერების სახით,
აღნიშნული ნიადაგის მზრალად ხვნის პერიოდში შემდეგი დო-
ზებით: აზოტი-150, ფოსფორი-120, კალიუმი-90კგ/ჴა, რადგანაც
ყავისფერ ნიადაგთან შედარებით ალუვიური ნიადაგები მსუბუქი
მექანიკური შედგენილობით ხასიათდება და ხშირ შემთხვევაში

მდინარის ადიდების გამო ადგილი აქვს წყლისმიერ ეროზიას, რის გამოც გარანტის მიზნით შემუშავებულია მინერალური სასუქების მომატებული დოზები. ჩვენს მიერ გაანგარიშებული გამოკვების სახით შესატანი სასუქების დოზები.

$$1. \text{NH}_4\text{NO}_3 = \text{დოზა} * 100\% / N \% = 150 * 100 / 34,5 = 434,78 \text{ კგ/ჰა}$$

I შეტანა 60 % - 434,78 * 0,6 = 260,9 კგ/ჰა

II შეტანა 40 % - 434,78 * 0,4 = 173,912 კგ/ჰა

$$2) \text{მარტივი სუპერფოსფატი (გრანულირებული)}$$

$$\text{CaH}_2(\text{PO}_4)_2 = \text{დოზა} * 100\% / P \% = 120 * 100 / 18,5 = 648,6 \text{ კგ/ჰა}$$

შეტანა გვიან, ერთჯერადად შემოდგომით

$$3) \text{KCl} = \text{დოზა} * 100\% / KCl \% = 90 * 100 / 60 = 150 \text{ კგ/ჰა.}$$

რენძინო-ყავისფერი ნიადაგების არეალია ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ კალთებზე, ნეშომპალა-კარბონატული და კარბონატულ-ყავისფერი ნიადაგების ზოლში-იყალთოს, რუისპირის, ვაზისუბნის, მუკუზნისა და არაშენდას მიმდებარე ტერიტორიებზე. ვხდებით აგრეთვე შუა და ქვემო ქართლში. მათი პროფილი გენეზისური ჰორიზონტების მიხედვით კარგად არის დიფერენცირებული. ოდითგანვე ცნობილია ის გარემოება, რომ საშემოდგომო ხორბალი მოჰყავთ ყავისფერი ტიპის ნიადაგებზე, რადგანაც იგი შესაბამისობაში მოდის აღნიშნული კულტურის ფიზიოლოგიურ პროცესთან. საშუალო სინჯები აღებულ იქნა ბოდების რაონის მიმდებარე ლანდშაფტზე. ქიმიური ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ 0-20სმ სიღრმეზე არის რეაქცია წყლის სუსტენზიაში $\text{PH}=7,4$, ხოლო 20-40 სმ-ზე $\text{PH}=7,2$. ასევე ბაზისური მეთოდით შესწავლილია ნიადაგის კარბონატობა, შეიბლერის კალციმეტრის გამოყენებით დადასტურდა ნიადაგში კალციუმის კარბონატის არსებობა და მათი უზრუნველყოფა კატეგორიის მიხედვით დაბალია, რაზეც მიუთითებს მისდამი წაყენებული ინდექსი (<5). რადგანაც ხორბლის კულტურა ხასიათდება ფუნჯთა ფესვთა სისტემით, ყურადღება ექცევა მისდამი შესათვისებელი საკვები ელემენტების შემცველობას აკუმულაციურ ფენაში, კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ ნიადაგის 0-20 სმ ფენაში ჰიდროლიზური აზოტი შეადგენს 6.1 მგ/100 გ ნიადაგზე, 20-40სმ ფენაში შესაბამისად იკლებს (5.2 მგ/100 გ ნიადაგზე), ანუ ამ შემთხვევაში ქიმიზაცია ერთადერთი წინაპირობაა მისი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. რაც შეეხება მოძრავ ფოსფორს ნიადაგის 0-20 სმ ფენაში შეადგენს 1.7 მგ/100 გ ნიადაგზე, ხოლო 20-40 სმ ფენაში 1.32 მგ/100 გ ნიადაგზე, მცირეოდენ კანონზომიერად კლებულობს. გაცვლითი კალიუმი 0-20 სმ-ზე 20.2 მგ-ია 100 გ ნიადაგზე, ხოლო 20-

40 სმ-ზე 18,3 მგ/100 გ ნიადაგზე, რაც მიუითითებს მის საშუალო უზრუნველყოფაზე.

კახეთის რაიონის ბოდბის ტერიტორიაზე გავრცელებული
რენძინო-ყავისფერი ნიადაგის ძირითადი ქიმიური
მაჩვენებლები

ცხრილი 2.

ბოდბი	ტერიტორია	სიღრმე, მ	pH (წყლის სუსტენაციი)	CaCO ₃ , %	მცენარის მიერ შესათვისებელი საკვები ელემენტები, მგ/100 გ ნიადაგზე		
					ჰიდროლიზური აზოტი ტიურინ-კონკრეტის მეთოდით	მოძრავი P ₂ O ₅ მაჩვიზინის მეთოდით	გაცვლითი K ₂ O - კირსანივის მეთოდით
0-20	0-20	7,0	6.1	3.2	1,7	20,2	
20-40	20-40	7,4	5.2	4.3	1,3	18,3	

როგორც ვხედავთ, გარდა აზოტისა, აუცილებელია შეტანილი იქნას ფოსფორიანია და კალიუმიანი სასუქები, ხორბლის კულტურის განაყო-ფიერების თვალსაზრისით. ამისათვის აუცილებელია აზოტიანი სასუქებიდან შეტანილ იქნას: ბიოლოგიურად მჟავე სასუქი ამონიუმის გვარჯილა (34,5%), მეტად სასურველია ამიდური ფორმის გამოყენება (შარდოვანა-42,6%), ხოლო, რაც შეეხება ფოსფორიანიდან-მარტივი სუპერფოსფატი-18,5%, ხოლო კალი-უმიანიდან KCl (2-60%).

კალციუმის კარბონატის მაღალი შემცველობა, დამახასიათებელია ყავისფერი ნიადაგებისათვის (მკვლევარი ზახაროვი), მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენს შემთხვევაში კალციუმის კარბონატის შემცველობა დაბალია. იგი არ საჭიროებს მოთაბაშირებას, რადგანაც მისი შემცველობა მერყეობს 3.2-4.3-მდე. გაანგარიშებული იქნა გამოკვების სახით შესატანი სასუქების დოზები:

NH_4NO_3 = დოზა * 100% / N % = $120 * 100 / 34,5 = 347,82 \text{ კგ/ჰა}$

რეკომენდირებული დოზის:

I შეტანა 60 % - $347,82 * 0,6 = 208,69 \text{ კგ/ჰა}$

II შეტანა 40 % - $347,82 * 0,4 = 139,128 \text{ კგ/ჰა}$

2) ფოსფორიანი სასუქებიდან ძირითადი კულტივაციის დროს
თესვის წინ შეიტანება მარტივი სუპერფოსფატი (გრანულირებული),
სადაც $\text{P}_2\text{O}_5 = 18.5\%$.

$\text{CaH}_2(\text{PO}_4)_2$ = დოზა * 100% / P% = $90 * 100 / 18.5 = 486,5 \text{ კგ/ჰა}$

შეიტანება ერთჯერადად, შემოდგომით, მთლიანი დოზით.

3) კალიუმიანი სასუქებიდან გამოიყენება დეფლოტაციით
მიღებული 60%-იანი KCl .

KCl = დოზა * 100% / KCl% = $60 * 100 / 60 = 100 \text{ კგ/ჰა}$

ჩვენს მიერ შესწავლილია საქართველოს ბაზრის სეგმენტში
გავრცელებული, როგორც სამამულო, ისე იმპორტირებული ხორბ-
ლის მარცვლის ეკოქმიური ექსპერტიზა კონკურენტუნარიანობის
თვალსაზრისით. ექსპერიმენტული კვლევისათვის შევარჩიეთ შე-
მდეგი ხორბლის ჯიშები: ეგზოტიკი (იორმულალო), კახეთი (ბოდბე),
რუსული, ყაზახური და ამერიკული.

აღსანიშნავია, რომ ეგზოტიკის ჯიშის ხორბალი მოყვანილია სა-
გარეჯოს რაიონის იორმულალოს ტერიტორიაზე გავრცელებულ
ალუვიურ კარბონატულ ნიადაგებზე, ხოლო ბაზრის სეგმენტიდან
აღებული ხორბლის ჯიში მოყვანილია ბოდბის ტერიტორიაზე
გავცელებული რენდინო-ყავისფერ ნიადაგებზე. ეკოქმიური ექსპე-
რტიზის ძირითადი ათვლის წერტილია როგორც ადგილობრივი
წარმოების, ისე იმპორტირებული ხორბლის კულტურის და მისგან
წარმო-ებული პურპროდუქტების ბიოლოგიური სრულფასოვნება და
ეკოლოგიური სისუფთავის დადგენა.

ამ მიზნით, შესწავლილია ხორბლის მარცვლის ხარისხობრივი
მაჩვენებლები: ჰიგროსკოპიული წყალი, „ნედლი“ უჯრედანა,
„ნედლი“ ნაცარი, ლიპიდები, ცილები, მძიმე ლითონები. ექსპერი-
მენტის შედეგები მოცემულია ცხრილიში №3. ხორბლის მარცვლის
ბიოქიმიური მაჩვენებლები დადგენილი იქნა ანალიზის შემდეგი
მეთოდების მიხედვით:

1. წყალი - $100-105^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის პირობებში გამოშრობით;
2. „ნედლი“ უჯრედანა - გენებერგ - შტომანის მეთოდით;
3. „ნედლი“ ნაცარი - მშრალი მინერალიზაციის წესით $450-500^{\circ}\text{C}$
- ზე;
4. ცილები - ბარშტეინის მეთოდით;
5. ცხიმები - სოქსლეტის მეთოდით;

6. მძიმე ლითონები - ემისიური სპექტრული ანალიზის მეთოდით;

საყოველთაოდ ცნობილია მძიმე მეტალების უარყოფითი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით მძიმე ტოქსიკურობით გამოირჩევა ტყვია, ვერცხლი, ვერცხლიწყალი და კადმიუმი, მითუმეტეს როცა ისინი ადამიანის ორგანიზმში საკვები პროდუქტებიდან ხვდებიან და პროლანგირებული თვისებებით ხასიათდებიან.

მარცვალში მძიმე მეტალების შემცველობის ემისიურ სპექტრული ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილში 4.

ხორბლის მარცვლის ბიოქიმიური შედგენილობა

ცხრილი 3

დასახელება	წყალი, %	საერთო ცილა, %	ცხიმები %	ნედლი უჯრედანა %	ნედლი ნაცარი %
ეგზოტიკი (იორმუდანლო)	14,6	11,6	1,6	4,0	1,75
კახეთი (ბოდბე)	13,5	11,9	1,5	3,8	1,83
რუსეთი	13,4	11,0	1,5	3,4	1,84
ყაზახური	13,7	12,0	1,4	2,4	2,08
ამერიკული	13,6	11,6	1,6	3,5	1,75

მძიმე მეტალების შემცველობა მარცვალში
ცხილი 4.

დასახელება	Pb	Ag	Hg	Cd
ეგზოტიკი (იორმუღალო)	0,0072	0,0091	0,0042	0,007
კახური (ბოდბე)	0,0027	0,0087	0,0041	0,006
რუსული ხორბალი	0,006	0,0078	0,0042	0,007
ყაზახური ხორბალი	0,0038	,0092	0,0027	0,009
ამერიკული ხორბალი	0,0033	0,0081	0,0026	0,003
ელკანა				

შესწავლითა ხორბლის ფქვილის პურისცხობითი თვისებები ქ. თბილისის №4 პურის ქარხნის მაგალითზე, რომელიც ამჟამად იყენებს რუსეთიდან (ვოლგისპირეთიდან) იმპორტირებული ხორბლი-საგან დამზადებულ ფქვილს. ხორბლის ფქვილის ორგანელებტიკური და ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები შესაბამისობაში უნდა იყოს მის ზოგად ტექნიკურ მოთხოვნებთან. შედეგები ნაჩვენებია შემდეგ ცხრილებში №№5,

ხორბლის ფქვილის ორგანოლებტიკური და ფიზიკური
მაჩვენებლები ცხრილი 5

პარამეტრები	ხორბლის ფქვილის დახასიათება და ნორმა
საგემოვნო თვისებები	უმარილო მტკნარი გემო, სიმწარისა და სიმჟავის გარეშე
სუნი	სპეციფიკური სიახლის სუნით, ობის სუნის გარეშე
ტენის შემცველობა, % ა/უ	15
მინერალური მინარევების არსებობა	ხრაშუნის გარეშე
მავნებლებით ინფიცირება	-
მავნებლებით დაზიანება	-

ხორბლის ფქვილის ხარისხობრივი მაჩვენებლები
ცხრილი 6

ფქვილის ხარისხი	ფერის ტონი	ნაცრის მასური წილი, %	ნედლი წებოგვარა, %	ნაფქვავის სიმსხო	ფქვილის მუავანობა, ნეიმანის გრადუსი
I ხარისხი	თეთრი	0,75	0,30	-	3

ხორბლის ფქვილის, როგორც ორგანოლეპტიკური, ასევე ხარისხობრივი მაჩვენებლები შესაბამისობაშია სტანდარტის დიაპაზონთან.

პურის ხარისხობრივი და ორგანპლეპტიკური მაჩვენებლები შესწავლილ იქნა შ.პ.ს თბილისის №4 პურის ქარხნის მაგალითზე, მიღებული შედეგები ნაჩვენებია ცხრილებში №№7,8.

შ.პ.ს N4 პურის ქარხნის პურის ხარისხობრივი
მაჩვენებლები

ცხრილი 7

ნიმუში	პურის გულის ტენიანობა, %	პურის გუმჟავიანობა, T(ტერნერის გრადუსებში)	ფორიანობა
I ხარისხის პურის ფქვილისაგან გამომცხვარი	44	3	65

ცხრილი 8

პურის სახეო- ბა		ზედაპირი	ფერის ტონი	გულის მდგომარე- ობა	გემო და სუნი
I ხარი- სხის ფქვილ ისაგან დამზა დებუ ლი პური	მრგვ ალი	გლუვი, მსხვილი ნახეთქე- ბის, ნაბზარები- სა და ამონაბურც ვის გარეშე. ისერება, უკეთდება ჭდეები და ნაკვეთები	მოყვით- ლო-ღია მოყვა- სფრო, დამწვრო ბის	კარგად გამომცხვა- რი, ელა- სტიური შეხებისას, მშრალი, გარეშე	უცხო გემო- სა და სუნის გარე- შე

მიღებული შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ შ.პ.ს. თბილისის №4 პურის ქარხნის პურ-პროდუქტის ორგანოლეპტიკური და ხარისხო- ბრივი მაჩვენებლები შესაბამისობაშია სტანდარტან.

დასკვნები:

- შესწავლილია როგორც საგარეჯოს რაიონის იორმულალოს ტერიტორიაზე გავრცელებული საშუალოდ კარბონატული ალუვი- ური ნიადაგების, ასევე კახეთის რაიონის ბოდბის ტერიტორიაზე გავრცელებული რენდინო-ყავისფერი ნიადაგების ძირითადი ქიმი- ური მაჩვენებლები: pH , CaCO_3 -ის შემცველობა შეიბლერის კალცი- მეტრით, ჰიდროლიზური აზოტის შემცველობა ტიურინ-კონანოვას მეთოდით, მოძრავი P_2O_5 -ის შემცველობა მაჩიგინის მეთოდით, გაცვლითი კალიუმი K_2O კირსანოვის მეთოდით და გაანგარიშე- ბულია გამოკვების სახით შესატანი სასუქების დოზები.

-დადგენილია საქართველოს ბაზრის სეგმენტში გაადგილებული სამამულო და იმპორტირებული (ეგზოტიკი, კახური, რუსული, ყაზახური, ამერიკული ხორბალი, ელკანა) ხორბლის მარცვლის ხარი- სხობრივი მაჩვენებლები. კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ სხვადასხვა წარმოების ხორბლის მარცვლის ბიოქიმიური პარა- მეტრები შესაბამისობაშია სტანდარტან, რაც მიუთითებს მათ ბიოლოგიურ სრულფასოვნებაზე.

– ემისიურ სპექტრული ანალიზის მეთოდით დადგინდა, რომ კვლევისთვის აღებულ ხორბლის ჯიშებში მძიმე ლითონების შემცველობა საკმაოდ დაბალია და შორსაა სტანდარტით გათვალისწინებული ზღვრული დასაშვები კონცენტრაციებიდან, რაც მიუთითებს მის ეკოლოგიურ სისუფთავეზე.

– ხორბლის ფქვილზე ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები ცხადყოფს, რომ მისი ხარისხობრივი და ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები შესაბამისობაშია კონდიციათა სისტემასთან

– შ.კ.ს. თბილის №4 პურის ქარხნის მაგალითზე შესწავლილი იქნა პურის ხარისხობრივი და ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები სტანდარტთან იდენტიფიკაციის თვალსაზრისით.

– საქართველოს საბაზრო ეკონომიკურ პირობებში გაადგილებული ხორბლის მარცვლის, ფქვილისა და მისგან წარმოებული პურ-პროდუქტები ბიოლოგიურად სრულფასოვანი და ეკოლოგიურად სუფთაა, რომელიც იდენტიფიცირებულია სახელმწიფო სტანდარტთან ნიშანთვისებათა ერთობლიობის შესაბამისად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. დანელია, თ. ფალავანდიშვილი, კვების პროდუქტების სასაქონლო ექსპერტიზა და სამართლებრივი საფუძვლები, გამომც. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2017 წ.
2. გ. დანელია, თ. ფალავანდიშვილი, ლაბორატორიული პრაქტიკუმი ნიადაგის ეკოქიმიაში, გამომც. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2013 წ.
3. გ. დანელია, თ. ფალავანდიშვილი, ნ. ბარათელი, ლაბორატორიული პრაქტიკუმი კვების პროდუქტების ეკოქიმიურ ექსპერტიზაში, გამომც. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2011 წელი.
4. ა. თხელიძე, რ. ლიპარტელიანი, ნ. მუმლაძე, ხ. ხომასურიძე, გ. დანელია, სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია და გარემოს დაცვა, თბილისი, გამომც. განათლება, 2009 წ.
5. ა. ჩავლეიშვილი, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგია, თბილისი, განათლება, 1988 წ.

**Ecochemical examination of local and imported grain
wheat, flour and bakery products in the Georgian
market segment**

T. Palavandishvili–

Academic Doctor of technical,

G. Danelia–

Academic doctor of Agriculture

Abstract

(Internet version)

The chemical indices of alluvial carbonate soils of the Sagarejo landscape and ranch-brown soils on the territory of Bodbe were studied. The dosage of mineral fertilizers for the autumn wheat culture was calculated. The quality of local and imported grain of wheat in the market segment of Georgia is also determined. Organoleptic properties, qualitative indicators and complete identification with state standards were studied using the example of bakery products of LLC "Tbilisi Bakery N4".

3. უცყვატი სწავლების დარბაზი Conctant Studying Hall

უძლვება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აკადემიკოსი
ომარ ქეშელაშვილი

ლაპტია 20 ფარგერული მაურნეობის განვითარები

20.2. ფარგერული მაურნეობის ბიზნეს-გეგმა, როგორც მხედვების ძირითადი სამოქმედო პრო-გრამა და მისი შედგენის პრაქტიკა

20.2.1 ფარგერული მაურნეობის ფუნქციონირების მიზნის დასახვა და მის მისაღვით მართვის რეკომენდაციები

ფერმერული მეურნეობის წარმატებული მართვისათვის ყველაზე მთავარია ის, რომ მის წევრებს სურვილი ჰქონდეთ მიაღწიონ სასურველ შედეგებს, რომელიც წინასწარ იქნება გარკვეულ-განსაზღვრული და განიხილება როგორც მიზანი.

მიზანი შეიძლება განისაზღვროს, როგორც ფერმერული მეურნეობისათვის სასურველი მომავალი მდგომარეობა. იგი შეიძლება განვიხილოთ აგრეთვე, როგორც წინასწარ შეგნებულ-შეცნობილი შეზღუდვები, რომელიც შეხვდება მეურნეობას მომავალში, გარკვეულ ეტაპზე ან საკმაო დროის მანძილზე და რომელიც დამოკიდებულია კონკრეტულ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებზე, მატერიალურ და ფულად რესურსებზე, ბაზრის მოთხოვნებზე, სამუშაო ძალაზე და სხვა ფაქტორებზე.

ამრიგად, მიზანი-ეს არა მხოლოდ სასურველი ორიენტირია, არამედ ის გულისხმობს გარკვეულ მოქმედებას და რესურსებით უზრუნველყოფას, რომელიც საჭიროა ამ მიზნის მისაღწევად.

ფერმის მიზანს თავისი ფუნქციებიც გააჩნია:

1. იგი ახდენს ფურადლების კონცენტრირებას განსაზღვრულმიმართულებებზე;
2. მან შეიძლება შეასრულოს ნორმატივების ფუნქციაც, რომელზეც უნდა იყოს მორგებული, ანდა რომელსაც უნდა შეესატყვისოს მიღებული შედეგები;
3. შეიძლება გამოვიდეს რესურსების ხარჯვის დასაბუთების მექანიზმის როლში;
4. შეიძლება გავლენა იქონიოს მეურნეობის სტრუქტურასა და მისი წევრების მოტივაციაზე.

უკანასკნელ 15-20 წელიწადში, მსოფლიოში ჩატარებული ფართო გამოკვლევებით, რომელიც ეხებოდა დასახული მიზნის მეურნეობის მოტივაციასა და უფექტურობაზე გავლენას, დამტკიცდა, რომ:

1. მნელ მიზნებს, მსუბუქ მიზნებთან შედარებით, მივყავარო უფრო მაღალ შედეგებამდე;
2. მიზნის დასახვა ამსუბუქებს მოვლენებს, რომლებიც გავლენას ახდენს: მატერიალური და ფულდადი რესურსების ხარჯვაზე; შრომითი რესურსების გამოყენებაზე; კონკურენციის შედეგებზე და სხვ.

კარგად აგებული მენეჯმენტი სწორედ მიზნის ფუნქციას უნდა ეყრდნობოდეს, ანუ, ფერმერული მეურნეობა მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული მიზნის მიხედვით უნდა იმართობოდეს. ეს მიჩნეული უნდა იქნეს, როგორც თანამედროვე ეკონომიკისა და ბიზნესის კანონი. ფერმის მიზნის მიხედვით მართვა წარმოადგენს ძირითად მეთოდს ანუ მიღომას, რომელიც გამოიყენება თანამედროვე მენეჯმენტში იმისათვის, რომ მიანიჭოს დასახულ მიზანს ოპერატორილი სახე.

გვეცნოთ ათ როინტიკს, რომელსაც ხელი უნდა ჩაგჭიდოთ ფერმის მიზნის ფორმულირებისას:

1. მიზანი უნდა იყოს განზომილებადი (უნდა იზომებოდეს);
2. შედეგები უნდა იყოს ერთმნიშვნელოვანი (მიზანი უნდა იყოს რაც შეიძლება ადვილად გასაგები და მარტივი);
3. მიზანი უნდა მოიცავდეს ზუსტ თარიღებს;
4. მიზანი უნდა იყოს მამობილიზებული და მისაღწევი;
5. მან უნდა მოახდინოს ფურადლების კონცენტრირება წარმოების ნაყოფიერების შესაძლებლობებზე;
6. იგი უნდა მოიცავდეს პოტენციურ სტიმულებს მათვის, ვინც უნდა მიაღწიოს მიზანს;
7. იგი უნდა იმსახურებდეს ფერმერული მეურნეობის მთელი შემადგენლობის მხარდაჭერას;
8. იგი უნდა იყოს კონტროლირებადი;

9. უნდა გამოიყოს მიზნის მიღწევაზე პასუხისმგებელი;
 10. მიზანი უნდა ექვემდებარებოდეს შეფასებას, მისი შედეგები უნდა იყოს ნათელი და გასაგები.
- ცნობილი ბიზნესმენები და მენეჯერები მიზანს განმარტავნ, როგორც:
- საქმიანობას (კილაც აკეთებს);
 - შედეგს (მიღწეული უნდა იქნეს რაღაც შედეგები);
 - პროცესს (მიღწეული უნდა იქნას პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობა);
 - გარკვეული მდგომარეობის მიღწევას.

ამრიგად, ფერმერული მეურნეობის ფუნქციონირებისა და მომ-გებიანი საქმიანობის ამოსავალ პოზიციად მჩნეულია მიზნის სწორად განსაზღვრა, რომელზედაც უნდა იყოს აწყობილი მენეჯმენტის მთე-ლი სისტემა და პროცესი.

უნდა განიმარტოს, რომ საბაზოო ეკონომიკაზე ორიენტი-რებული ფერმერული მეურნეობის საერთო მიზანს, როგორც წესი, ხანგრძლივი პერიოდისათვის მოგების მაქსიმიზაცია წარმოადგენს, რომლის მიღწევა შეიძლება მხოლოდ დამატებით მიზნებთან ერთო-ბლიობაში, რომელიც თავის გამოხატულებას მიზნის ფუნქციაში პოუ-ლობს.

ფერმერულ მეურნეობას ძირითად მიზანთან ერთად შეიძლება (უნდა) ჰქონდეს ფინანსური მიზანი, რაც გულისხმობს იმას, რომ საწარმო ფინანსურად უზრუნველყოფილი იქნება და უკეთესად შეა-სრულებს ნაკისრ ამოცანებს, უზრუნველყოფს კაპიტალის დაბანდებას.

ფერმერულ მეურნეობას აქვს აგრეთვე არაფინანსური მიზნე-ბიცის შეიძლება იყოს როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკური. მაგ:

1. სასაქონლო პროდუქციის მოცულობის ზრდისადმი მისწრა-ფება;
2. წარმოების ზრდაში განსაზღვრული მიზნის მიღწევა;
3. წარმოების სპეციალიზაციის სრულყოფა (შეცვლა);
4. კომპლექსური მექანიზაციის დაწერება;
5. მოსახლეობის გარკვეული დონით მომსახურების უზრუ-ველყოფა;
6. ტექნოლოგიური სრულყოფის უზრუნველყოფა;
7. მომუშავეთა სოციალური პირობების გაუმჯობესება;
8. საგარეო ბაზარზე გაღწევა;
9. ეკონომიკური წონასწორობის უზრუნველყოფა და სხვ.

20.2.2. ბიზნეს-გეგმის მნიშვნელობა და მისი შედგენის ორგანიზაცია

20.2.2.1.. ბიზნეს-გეგმის მნიშვნელობა

ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტის ამოსავალი ბაზა და საწყისი, მისი მიზნისა და ამოცანების გარკვევის საფუძველზე, ბიზნეს-გეგმის შედგენაა.

ბიზნეს-გეგმაში აკუმულირებული და ასახულია მთელი ფერმერული მეურნეობის საწარმოო-ეკონომიკური სურათი, განვითარების პირობები და რესურსები, მისაღწევი შედეგები და მიჯნები.

ბიზნეს-გეგმა შეიძლება შედგეს ახლად ჩამოყალიბებული ან უკვე არსებული ფერმისათვის.

ბიზნეს-გეგმა არის დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია მიზნის იდეა. კომპლექსურად აისახება და ფასდება ფერმერული მეურნეობის ბიზნესური განვითარების პერსპექტივები, შესაბამისი მატერიალურ-ფინანსური რესურსებით რეალური უზრუნველყოფის პარამეტრების ასახვით. მასში მოცემულია მიზნის მიღწევის გზები და მოსალოდნელი შედეგები. იგი არის სახელმძღვანელო დოკუმენტი სამეურნეო ფუნქციების შესრულებისათვის.

ბიზნეს-გეგმა ეხმარება საწარმოს (ფირმას) იაროს სტრატეგიული კურსით, რითაც უნდა მიაღწიოს დასახულ მიზანს.

ბიზნეს-გეგმა ემსახურება სამი ძირითადი პრობლემის გადაწყვეტას:

1. იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც ბიზნესის განვითარების ძირითადი მიმართულებების საფუძველი: განისაზღვროს მეურნეობის განვითარების სტრატეგია, მიზნები და ამოცანები, განზიდული იქნას საწარმოო, მარკეტინგული, ფინანსური და სხვა პრობლემები.

2. იგი წარმოადგენს იმ ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც მეწარმეს შეუძლია შეაფასოს მეურნეობის (ფირმის) სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის ფაქტური გეგმები. ბიზნეს-გეგმის საფინანსო ნაწილი შეიძლება გამოიყენონ მეურნეობის სამეურნეო საქმიანობის ბიუჯეტის შედგენისა და მისი შესრულების კონტროლისათვის, რამდენად ზუსტად არის დაცული შემოსავალ-გასავალი. მენეჯერი დროდადრო უნდა ადარებდეს მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულებას გასული წლების ბიუჯეტის ანალოგიურ მონაცემებს, რითაც დროულად შენიშნავს არასასურველ ცვლილებებს, დაადგენს ამის მიზეზებს და მიიღებს სათანადო ზომებს.

3. იგი წარმოადგენს ფულადი სახსრების მოზიდვის საშუალებას. სესხის გამცემი ან ინვესტორი არ დააბანდეს კაპიტალს და სახსრებს ბიზნესში, თუ წინასწარ არ გაეცნო ბიზნეს-გეგმას და არ დარწმუნდა მეურნეობის გადახდისუნარიანობაში.

ჩამოთვლილის გარდა, ბიზნეს-გეგმა არის სახელმძღვანელო დოკუმენტი სამეურნეო ფუნქციების შესრულებისათვის. იგი გამოიყენება აგრეთვე მოლაპარაკებებისა და საქმიან გარიგებათა ინსტრუმენტად.

გეგმის მომზადების დროს ფერმერმა (მეწარმემ) კონკრეტულად უნდა მიუთითოს, თუ რის მიღებას ითხოვს ინვესტორისაგან ან კრედიტორისაგან და ამავე დროს ნათლად აღნიშნოს, სანაცვლოდ რას სთავაზობს დამჯინანებელს.

ბიზნეს-გეგმა კონფიდენციალური დოკუმენტია. იგი უნდა გადაეცეს მხოლოდ სპეციალისტთა განსაზღვრულ ჯგუფს (მენეჯერებს, კონსულტანტებს, დაფინანსების სუბიექტებს) და არაა საჭირო მისი მრავალ ეგზემპლარად ბეჭდვა.

სესხის გამცემის მიერ გეგმის გაცნობის დროს ყურადღება ექცევა დაკრედიტების 4 ფაქტორს:

1. ფერმერული მეურნეობის საქმიან რეპუტაციას;
2. ფულადი სახსრების ნაკადის სიმძლავრეს სესხის გასტუმრების შესაძლებლობის თვალსაზრისით, ანუ მეურნეობის მდგრადობისა და გადახდისუნარიანობის დონეს;
3. სესხის გამცემის ინტერესების დამატებით გარანტიებს;
4. საკუთარი კაპიტალის წილს, ანუ რა ოდენობით საკუთარი კაპიტალი აქვს ჩადებული ფერმერს ბიზნესში.

20.2.2. ბიზნეს-გეგმის შედგენის ორგანიზაცია

ბიზნეს-გეგმების შედგენა სისტემატიურ ხასიათს ატარებს და ცალკეული პერიოდების მიხედვით ხდება და კორექტირდება. ასეთი გეგმების შედგენა, როგორც წესი, ყველგან ხდება და იგი საყოველოა გავრცელებული. ეს გეგმები იგივე სამოქმედო პროგრამებია.

ბიზნეს-გეგმა სასურველია არ იყოს დიდი მოცულობის. იგი ჩვეულებრივ 5 წლიან პერიოდს მოიცავს ან/და დგება ერთწლიანი პერიოდისათვის.

ბიზნეს-გეგმა შეიძლება შედგეს თვით ფირმის ძალებით ანდა დაქირავებული ეკონომისტებისა და მარკეტოლოგების მიერ. ხშირ შემთხვევაში ასეთი გეგმები თვით ფირმის თანამშრომლების მიერ დგება.

ბიზნეს-გეგმის შედგენის ორგანიზაცია გულისხმობს:

1. შესწავლილი იქნას წარმოების (მომსახურების) პირობები და მასზე მოქმედი მიკრო და მაკრო გარემო;
2. შესწავლილი იქნას წარმოების შესაძლებლობები დარესურსები (შრომითი, მატერიალურ-ტექნიკური). ამ შემთხვევაში პრაქტიკულად საქმე ეხება ინვენტარიზაციას, რათა გაირკვეს, თუ რისი პატრონები ხართ;
3. უნდა შეფასდეს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა. ამ შემთხვევაში გასარკვევია: რა სახსრები გაგაჩნიათ, როგორია ბიუჯეტი გადასახადთა სიდიდე, კრედიტებზე დავალიანება, ბანკის სესხების პროცენტები, დაზღვევის ხარჯები, დებიტორული დავალიანებები, გაყინულ ძირითად საშუალებათა ნარჩენი ღირებულება, ჯარიმა, დატაცება, დანაკარგი და სხვ.
4. უნდა ჩატარდეს ფერმის საწარმოო-საფინანსო საქმიანობის დეტალური ანალიზი.

ამ სამუშაოების შემდეგ, რომელიც არსებული მდგომარეობის შეფასების საშუალებას იძლევა, საჭიროა განისაზღვროს და დამუშავდეს შემდეგი:

1. უნდა განისაზღვროს და შეფასდეს მომავალში ფირმის პროდუქციაზე მოთხოვნა, მისი გასაღების ბაზარი, პირობები, შესაძლებლობები, მომხმარებელი.

იმისათვის, რომ ბაზარზე გახვიდეთ, უნდა იცოდეთ საით მიდისართ, ეს იმას ნიშნავს, რომ გაარკვიოთ: რა და რმდენი რაოდენობითაა საჭირო და შეგიძლიათ აწარმოოთ პროდუქცია, როგორია მისი დანიშნულება, ვინ იყიდის თქვენს პროდუქციას. რამდენს, რომელ პერიოდში, რა ფასად, როგორი ფორმით უნდა გაყიდოთ და

სად. უნდა ივარაუდოთ თუ რამდენად ამაღლდება თქვენს მიერ წარმოებული პროდუქციის გასაღების დონე (უახლოეს წლებში, პერსპექტივაში) და როგორ იმოქმედებს ამაზე ფასები.

უნდა გაირკვეს კონკურენტებთან დაკავშირებული პირობები და მათთან ურთიერთობის სტრატეგია. მხოლოდ ამ საკითხების გარკვევის შემდეგ (გინდაც თქვენი პროდუქციის მომზარებელთა ანკეტური გამოკითხვით) გახდება თქვენთვის ნათელი რითი და როგორ შეგიძლიათ გახვიდეთ ბაზარზე და გაქვთ თუ არა შანსი გაუძლოთ თავისუფალ კონკურენციას.

ამასთან, უნდა ივარაუდოთ საწარმოს შესაძლებლობები, მოსალოდნელი ჩავარდნები, მყიდველის პრეტენზიები, წინასწარ განსაზღვრულის გარდა გასაღების ახალი ბაზარი და შესაძლო პირობები.

2. უნდა გაირკვეს ბაზრისათვის საჭირო ასორტიმენტისა და მოცულობის პროდუქციის საწარმოებლად რა პირობები და რესურსები (მატერიალური, შრომითი, ფულადი) გჭირდებათ.

ამისათვის უნდა გაიანგარიშოთ ყველა შესაბამისი მაჩვენებელი მომავალი ცალკული წლისათვის.

ამის შემდეგ გაირკვევა: რა და რამდენი რაოდენობის ესა თუ ის ძირითადი და საბრუნავი საშუალება დაგჭირდებათ, რა რაოდენობით ფინანსები მ.შ. კრედიტი (და რა მიზნით) დაგჭირდებათ, რამდენი და რა კატეგორიის მუშაკები დაგჭირდებათ.

უნდა დააზუსტოთ და განსაზღვროთ სად და როდის შეგიძლიათ ამა თუ იმ საშუალების (პროდუქციის, მასალების და ა.შ.) შეძენა და ივარაუდოთ რა ფასებში, მთლიანად რა თანხა დაგჭირდებათ ამისათვის.

შემდეგ, თქვენი შესაძლებლობების ფარგლებში უნდა შეადგინოთ გრაფიკი ამა თუ იმ საშუალების (პროდუქციის) ეტაპობრივი ყიდვისა და შემოზიდვის შესახებ.

უნდა ივარაუდოთ და გაარკვიოთ დაგჭირდებათ თუ არა დამატებითი მუშახლის, ამა თუ იმ სფეროს სპეციალისტის, კონსულტანტის და სხვათა მოწვევა, რამდენი ხნით, რა თანხა დაგჭირდებათ მათი შრომის ასანაზღაურებლად.

უნდა განსაზღვროთ გყოფნით თუ არა შესანახი მოცულობები, სამაცივრო ქსელი და დაგჭირდებათ თუ არა მათი გაფართოება, საამისოდ რამდენი თანხა იქნება საჭირო, პერიოდების მიხედვით და საიდან უნდა დაფაროთ იგი.

3. ყოველივე ზემოთაღნიშნული მაჩვენებლების გაანგარიშების საფუძველზე უნდა შედგეს საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვე-

ნებლების ბალანსი. ეს გულისხმობს გაირკვეს როგორია დავალიანება ნომენკლატურის მიხედვით.

ამ დოკუმენტში პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს:

- რა და რამდენი უნდა ვაწარმოოთ;
- სად და როდის შევიძინოთ რესურსები;
- რა დაგვიჯდება დამატებით საჭირო რესურსების შეძენა;
- რას და რამდენ პროდუქციას გაყიდით, სად და რა ფასად;
- გვეყოფა თუ არა საკუთარი საშუალებები წარმოქმნის განვითარებისათვის.

ტექნიკურ-ეკონომიკური ბალანსი მოიცავს შემდეგ პარამეტრებსაც: შრომითი და მატერიალური რესურსების დანახარჯებს; შრომის მწარმოებლურობას (ნაყოფიერებას); ფონდშეიარაღებას; ფონდუზრუნველყოფას; ენერგოშეიარაღებას; ენერგოუზრუნველყოფას; ელექტროშეიარაღებას და ეფექტუარობის სხვა სპეციციკურ მაჩვენებლებს.

ამასთან, საჭიროა პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებსაც: რატომ იყიდინ ამ პროდუქციას, რამდენი რაოდენობით შეგვიძლია გავყიდოთ ამა და ამ ფასის პირობებში, როგორ გავზრდით ფასს მომავალში, რა მოგებას მივიღებთ ამ პროდუქციის გაყიდვით.

4. უნდა გაირკვეს მოთხოვნები ინვესტიციებზე და მათი დაფარვის წყაროები;

5. უნდა გაირკვეს რეკლამის ფორმები და მათთვის საჭირო ფინანსები, საშუალებები, შემსრულებლები;

6. უნდა გაირკვეს ინფორმაციის მიღების ფორმები, ხერხები, საჭირო ფინანსები;

7. უნდა გაირკვეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენების პირობები, ფორმები, საჭირო რესურსები და ფინანსები;

8. უნდა გაირკვეს საგარეო-ეკონომიკური კავშირების ფორმები, მასშტაბები, პირობები, ამისათვის საჭირო რესურსები (მატერიალური, ფინანსური);

9. უნდა გაირკვეს სერვისის (მომსახურების) სახეები, ფორმები და საჭირო რესურსები (მატერიალური, ფინანსური).

10. ცალკე უნდა შედგეს დანახარჯთა სახეები და საბალანსო გაანგარიშებები. მასში შედის ხარჯები: წარმოებაზე, მენეჯმენტზე, მოშსახურებაზე, გასაღებაზე, ამორტიზაციაზე, მეცნიერებაზე, დაზღვევაზე, ინფორმაციაზე, რეკლამაზე, დიზაინზე, საერთო-საფირმო ხარჯები და სხვ.

ამის შემდეგ უნდა შემუშავდეს საწარმოს სიცოცხლისუნარიანობის სტრატეგია საბაზრო პირობებში. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ყველა მუშაკმა იცოდეს თუ რა მოთხოვნები დაგას მის წინაშე, რათა ხვალ უმუშევრად კი არ დარჩეს, არამედ უფრო კარგად იცხოვოს, ვიდრე გუშინ.

ასეთი სტრატეგიული დოკუმენტის საფუძველია პროდუქციის წარმოებისა და ფასწარმოქმნის პერსპექტიული პოლიტიკა აი, სწორედ ასე ვლინდება დაგეგმვის ფუნქცია საბაზრო ეკონომიკის დროს.

მას შემდეგ, რაც მომზადდება რა ასეთი დოკუმენტი და გაირკვევა საწარმოს პირობები, შესაძლებლობები და პერსპექტივები, უნდა გადაწყდეს ყველაზე რთული ამოცანა-დაიდოს გრძელვადიანი ხელშეკრულებები მიმწოდებელისა და მყიდველს შორის.

დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოების ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფას, ამ თვალსაზრისით ბიზნესის სისტემასა და პირობებს სრულიად ახლებური მიდგომა სჭირდება და იგი თითოეულ საწარმოში დიფერენცირებულად უნდა გადაწყდეს. ამ მხრივ არავთარი დოგმა არ არსებობს.

დიდი მნიშვნელობა აქვს ბანკთან ურთიერთობას. ბანკი ეცდება კრედიტი გასცეს მხოლოდ საიმედო საწარმოზე. ეს ურთიერთობები ისე უნდა ააგოთ, რომ ბანკი თქვენი მოკავშირე და ხელისშემწყობი იყოს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ბიზნეს-გეგმაში ასახული უნდა იქნას კრედიტის მოცულობა, მისი დაფარვის ვადები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეკლამას, პროდუქციის შეფუთვასა და გაფორმებას. თუ ეს უბანი კარგად, თანამედროვე დონეზე არ მოგვარდა, საწარმოს მოგება მნიშვნელოვნად შემცირდება. ბიზნეს-გეგმაში სამისო ხარჯები ცალკე აისახება.

ბიზნეს-გეგმები დგება სხვადასხვა ხასიათისა და მიმართულების ფირმებისათვის, კერძოდ: მევენახობის, მეხილეობის, მეჩაიერების, მებოსტნეობის, მერძეული მესაქონლეობის, მეღორეობის, მეფრინელეობის, აგროტექსერვისული და სხვა სფეროს ფერმერული მეურნეობისათვის. ეს მოთხოვს მათდამი მყაცრად დიფერენცირებულ და სპეციფიკურ მიდგომას, მაღალიზტელექტუალურ დონესა და გამოცდილებას.

ამის შესაბამისად, ეს გეგმები ბიზნესის მიმართულების მიხედვით შეიძლება არსებოთად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, ზოგან ერთი შსარე იყოს წინ წამოწეული, ზოგან კი მეორე.

ამ გეგმების შედგენის ზემოთ განხილული მოდელი და თანამიმდევრობა სანიმუშო და სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს, მისი

გათვალისწინებით თითოეულმა ფერმამ თავისი მოდიფიკაციისა და სპეციფიკის ბიზნეს-გეგმა უნდა შეადგინოს.

ზოგიერთ ფერმას საერთოდ შეუძლია არც კი შეადგინოს აღნიშნული ფორმის ბიზნეს-გეგმა. ეს მისი თავისუფალი მოქმედების ნებაა. მან შეიძლება სრულიად სხვა, თავისი მოდელის გეგმა-პროგრამები შეადგინოს.

ბიზნეს-გეგმებისა და პროგრამების შედგენის მოდელი, თანამიმდევრობა და პრინციპები შეიძლება ამა თუ იმ ფერმის საიდუ-მლოსაც წარმოადგენდეს, ამიტომ იგი მას მკაცრად, დიფერენცირებულად მიუდგება (სხვებისათვის სრულიად განსხვავებულად) და დამალავს კიდეც მისი შედგენის წესს.

ასე, რომ ამ მხრივ არ არსებობს სავალდებულო მიღვომები. მთავარია ფერმამ ისე ააწყოს ბიზნესი და ისე შეადგინოს მისი წარმართვის პროგრამები თუ გეგმები, რომ მეტი და მყარი მოგება მიიღოს.

20.2.3. ბიზნეს-გეგმის სტრუქტურა და მისი შედგენის პრაქტიკა

20.2.3.1. ბიზნეს-გეგმის სტრუქტურა (აგებულება)

ფერმერული მეურნეობის ბიზნეს-გეგმას 4 ძირითადი ფუნქცია შეიძლება მიეკუთვნოს:

1. საწარმოს განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა და სამოქმედო პროგრამის შედგენა;
2. ბიზნეს-გეგმის მონაცემების (მაჩვენებლების) შესრულების კონტროლი;
3. ფულადი რესურსების გამოყენების შესაძლებლობა;
4. საწარმო გეგმის შესრულებაში პოტენციური პარტნიორების მონაწილეობა (ინტეგრირება), რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი იქნება საკუთარი კაპიტალისა (საშუალებებისა) და მათ ზელთ არსებული უახლესი ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება.

ბიზნეს-გეგმაში უნდა დაარწმუნოს პოტენციური ინვესტორი მოგების მიღების შესაძლებლობასა და რეალობაში, რათა გადაწყვიტოს მოცემულ ფერმერულ მეურნეობასთან კომერციულ საქმიანობაში შესვლა. ბიზნეს-გეგმის თანამედროვე მნიშვნელობის ერთ-ერთი მოთხოვნა სწორედ ამაში გამოიხატება.

საერთოდ, ბიზნეს-გეგმის შედგენის სხვადასხვა მიდგომა და ვარიანტი შეიძლება არსებობდეს. მთავარია, მასში სწორად იყოს განსაზღვრული მიზნები, სამოქმედო პროგრამა, მისი მიღწევის პორობები და შესაძლებლობები, რამაც უნდა უზრუნველყოს მეურნეობის მომგებანი მუშაობა. ამასთან, ეს გეგმა უნდა იყოს ადვილად გასაგები და დასაძლევი და არ უნდა გადაიტვირთოს ზემდეტი მუხლებით.

ფერმერული მეურნეობის ბიზნეს-გეგმის სტრუქტურა რეკომენდირებული (და არა აუცილებელი) და რეალურად მისაღები ვარიანტის სქემატური მოდელის სახით შემდეგნაირი უნდა იყოს:

1. სატიტულო ფურცელი;
2. შესავალი ნაწილი (რეზიუმე);
3. ფერმერული მეურნეობის ზოგადი აღწერა (ფაქტიური);
4. ფერმერული მეურნეობის განვითარების საწარმოო პროგრამა (ეს ბიზნეს-გეგმის ცენტრალური ნაწილია);
 - 4.1. მიწის ფართობი და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები;
 - 4.2. ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების ფართობები, მოსავლიანობა, საერთო მოსავალი;

- 4.3. მემცნარეობის პროდუქციის წარმოება, ღირებულება, სტრუქტურა;
 - 4.4. პირუტყვისა და ფრინველის სულადობა;
 - 4.5. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება, ღირებულება, სტრუქტურა;
 - 4.6. საკვები ბალანსი;
 - 4.7. სოფლის მეურნეობის და სხვა სფეროების საერთო და სასაქონლო (სარეალიზაციო) პროდუქციის ღირებულება;
 - 4.8. კაპიტალური დაბანდებები;
 - 4.9. საწარმოო რესურსებზე მოთხოვნილება;
 - 4.10. შრომის ბალანსი;
5. საფინანსო გეგმა (საფინანსო ბალანსი);
 6. მოგება;
 7. სხვა მაჩვენებლები და ინფორმაცია (ფერმერული მეურნეობის მდგრადობისა და გადახდისუნარიანობის შეფასება);
 8. დასკვნები.

თუ მოკლე განმარტებას მიუცემთ, უნდა აღინიშნოს, რომ:

- სატიტულო ფურცელი მოიცავს საწარმოს დასახელებას და მიმართულებას, მისამართს, დამფუძნებლის (დამფუძნებელთა) ვინაობას.
- შესავალი ნაწილი (რეზიუმე). ეს საწარმოს რეკლამაა, ამიტომ უნდა მოიცავდეს მისი მომგებიანობის დასაბუთებას. ნაჩვენები უნდა იყოს პროექტის არსი და საწარმოს მიზნები, რა ფინანსებია საჭირო მისი რეალიზაციისათვის, როგორია ბაზრის მოსალოდნელი მოთხოვნილება საწარმოს მიერ წარმოებულ პროდუქციაზე. თუ პროექტის რეალიზაცია გამოიწვევს სოციალური საკითხების გადაჭრას, მაშინ საჭიროა მიეთითოს ამის შესახებაც. აქვე მოცემული უნდა იყოს იურიდიული სტატუსი (ეს ნაწილი მოკლე უნდა იყოს, ერთი-ორი გვერდი).

ამის შემდეგ მოკლედ უნდა იყოს მოცემული ფირმის ზოგადი აღწერა, სადაც აისახება საწარმოო მიმართულება; ბუნებრივ-ეკონო-მიკური პირობები; არსებული (ფაქტიური) მდგომარეობის ანალიზი, მიღწეული დონე. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ფართობების სტრუქტურის, მოსავლიანობისა და მოსავლის შესახებ; მეცხოველეობის სტრუქტურის, სულადობისა და პროდუქტოულობის შესახებ; მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების შესახებ; შემოსავლებისა და მოგების შესახებ და სხვა მაჩვენებლები.

20.2.3.2. ფინანსული მეურნეობის განვითარების საჭარბო პროცედურის შედგენა

ბიზნეს-გეგმის ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილია საწარმოო პროგრამის დატუშებება. მასში აისახება ძირითადად ამ გეგმის მთავარი ნაწილის—საფინანსო გეგმის მთელი ამოსავალი და საწყისი პარამეტრები, ამიტომ, მისი შედგენა ღიღდ ყურადღებასა და ყველა ფაქტორის ურთიერთშეწონასწორებულ გათვალისწინებას მოითხოვს.

საწარმოო პროგრამის დამუშავების ძირითადი ამოცანაა: გეგმის შესრულების უზრუნველყოფა; მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობის გამოებნა; ხარისხისანი პროდუქციის ზვ. წილის ამაღლება; საწარმოო სიმძლავეების, ძირითადი ფონდების, მატერიალური და შრომითი რესურსების ეფექტური გამოყენება.

ბიზნეს-გეგმის ამ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი მონაცემები (ფერმერული მეურნეობის მიმართულების შესაბამისად) ცხრილების სახით:

1. მიწათსარგებლობისა და სასოფლო-სამურნეო სავარგულების ტრანსფორმაცია;
2. მრავალწლიანი ნარგავების გაშენება და რეკონსტრუქცია;
3. მრავალწლიანი ნარგავების ფართობი, მოსავლიანობა და მოსავალი;
4. ერთწლიანი კულტურების ფართობი, მოსავლიანობა და საუროო მოსავალი;
5. მემცნარეობის პროდუქციის წარმოება და ღირებულება;
6. პირუტყვისა და ფრინველის სულადობა;
7. პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობა;
8. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება და ღირებულება;
9. საკვები ბალანსი;
10. სოფლის მეურნეობის და სხვა სფეროდან მიღებული საერთო და სასაქონლო (სარეალიზაციო) პროდუქციის ღირებულება;
11. კაპიტალური დაბანდებები;
12. შრომის ბალანსი.

ამ მონაცემებთან ერთად ბიზნეს-გეგმაში წარმოდგენილი უნდა იყოს მონაცემები საკვებ ბალანსზე (მოთხოვნილება და შესაძლო დაკმაყოფილება, მოთხოვნილება მუშა-ხელზე). აგრეთვე საწარმოო რესურსებზე მოთხოვნილება.

გეგმის ამ ნაწილში აისახება კაპდაბანდებებზე, ტექნიკურ საშუალებებზე, სასუქებზე და მცენარეთა დაცვის საშუალებებზე მოთხოვნილება, ამა თუ იმ კულტურის მოვლა-მოყვანის აგროტექნიკური

ღონისძიებებით გათვალისწინებული ნორმატივებით; აგრეთვე საწვავ-საცხებ მასალებზე, ტრანსპორტზე და სხვა საშუალებებზე და მოწყობილობებზე მოთხოვნილება.

ამ მონაცემების გაანგარიშება და შესაბამისად ამ ნაწილის მომზადება პროფესიულ მიდგომას მოითხოვს, ამიტომ, გამორიცხული არ არის ცალკეული სპეციალისტების მოწვევა, ანდა ნორმატიულ-საცნობარო მასალების მომარჯვებული გამოყენება.

20.2.3.3. ფარმაციული მეურნეობის საფინანსო გეგმა (პალანსი) და მისი შედგენა

ბიზნეს-გეგმაში ერთ-ერთი ძირითადია საფინანსო გეგმა. მის მიზანს წარმოადგენს ის, რომ სრულად წარმოადგინოს საწარმოს განვითარების პროექტი, სადაც ასახულია საქმიანობის მოსალოდნელი საბოლოო ფინანსური შედეგები. საერთოდ, როგორც წესი, ეს ნაწილი ხდება ხოლმე ბიზნესის შეფასების ძირითადი კრიტერიუმი. სწორედ ამ ნაწილში გვებულობთ მოგების რა რაოდენობას უნდა მოელოდეს საწარმო.

ფინანსური გეგმა შეიძლება მოიცავდეს პროექტების რამდენიმე ვარიანტს. მაგალითად, ერთი, რომელიც დაფუძნებული იქნება მყარ ფაქტორებზე (სტაბილური მომწოდებლები, სტაბილური მომხმარებლები და ა.შ.), ხოლო მეორე—ეკონომიკური ფაქტორების ცვალებადობაზე ან ბიზნესის სრული სიმძლავრით ამოქმედებაზე ცვალებადი ფაქტორების გაუთვალისწინებლად. ვარიანტების გათვალისწიება საშუალებას იძლევა უფრო ღრმად ჩავწერდეთ და სრულად იქნას დანახული ფირმის განვითარების პერსპექტიები და შესაძლებობები.

საფინანსო გეგმა სანდო და ზუსტი უნდა იყოს. გამორიცხული არაა, რომ ინვესტორმა ან კრედიტორმა თვითონ ჩაატაროს საკუთარი გაანგარიშებები და შეამოწმოს გეგმაში წარმოდგენილი მაჩვენებლების სისტორე.

საფინანსო გეგმაში აუცილებლად უნდა იყოს ნაჩვენები მოგების მოსალოდნელი მაჩვენებლები, პერიოდების მიხედვით.

საფინანსო გეგმაში მონაცემები წარმოდგნილი უნდა იყოს ცხრილების სახით:

საფინანსო გეგმა—ეს ფერმერული მეურნეობის საფინანსო ბალანსია, რომელიც ზუსტად ასახავს ამ მეურნეობის უნიკალურ ბუნებას.

საფინანსო ბალანსი არის მეურნეობის საფინანსო მდგომარეობის სურათი, მიმდინარე და პერსპექტიული (გეგმით მოხაზული) პერიოდსათვის. მან პასუხი უნდა გასცეს სამ ძირითად კითხვას:

1. არის თუ არა ფერმერული მეურნეობა გადახდისუნარიანი;
2. უზრუნველყოფს თუ არა მეურნეობა საჭირო მოგებას;
3. ფლობს თუ არა მეურნეობა სათანადო სალიკვიდო სახსრებს.

ფერმერული მეურნეობის მომგებიანობა დამოკიდებულია წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული ამონაგების სიდიდეზე, მის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების გათვალისწინებით. მხედველობაში მიიღება საგადასახადო ანგარიშებაც.

ფერმერული მეურნეობის ბიზნეს-გეგმის ფინანსურ ბალანსში (ნაწილში) წარმოდგენილია ყველა კაპიტალდაბანდება, რომელიც დაკავშირებულია მეურნეობის საქმიანობის აქტივობასთან (აქტივი) და მიეთითება მათი დაფინანსების ყველა წყარო.

ბალანსში წარმოებს აქტივის შედარება ვალდებულებებთან და საკუთარ კაპიტალთან. აქტივს მიეკუთვნება ნებისმიერი ფასეულობა, მატერიალური და არამატერიალური ობიექტები, რომელიც იმყოფება ფერმერული მეურნეობის საკუთრებაში, მათ შორის სხვა მხარეთა ვალდებულებები ამ მეურნეობის წინაშე და შესაძლებელია გამოიყინონ პროდუქციის წარმოებისათვის. კერძოდ: ფულადი სამუალებები, მატერიალური მარაგები, მოწყობილობები და სხვ. აქ არ შეიტანება იჯარული აქტივები. ის უნდა მიეთითოს საბუღალტრო ბალანსის დანართებში.

ჰასივებს მიეკუთვნება ვალდებულებათა დავალიანება მეორე მხარის მიმართ. მაგ. კრედიტორული დავალიანებები და სხვ.

საკუთარი კაპიტალი ეწოდება სხვაობას ფერმერული მეურნეობის აქტივს და პასევს შორის. აქტივი თავისუფალია ვალდებულებისაგან სხვა მხარეების წინაშე.

ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი ასახავს აქტივების დაფინანსების ხერხს.

ბალანსში შეიძლება შედგეს ფასის ან საბაზრო ღირებულების საფუძველზე. ფასების მეთოდის დროს აქტივების შეფასება ხდება თავდაპირველად ამ აქტივებში გადახდილი ფასის საფუძველზე, რომელსაც აკლდება დაცროვილი ამორტიზაციის ღირებულება ბალანსის შედგენის პერიოდისათვის. პასივების შეფასება ხდება ფაქტობრივი თანხების საფუძველზე. თუ გამოვიყენებთ საბაზრო ღირებულებითი შეფასების მეთოდს, იგი გამომდინარეობს მიმდინარე ფასიდან, რომლითაც შესაძლებელია გაყიდოთ აქტივები ბალანსის შედგენის მომენტისათვის.

ინვესტორთა უმრავლესობა დაინტერესებულია საბაზრო ღირებულებით შედგენილი ფერმერული მეურნეობის ბალანსით, რადგან იგი რეალურად ასახავს სესხის მიმღების კაპიტალის მიმდინარე ღირებულებას.

ფერმერული მეურნეობის საფინანსო ბალანსი განსაზღვრული პერიოდისათვის ასახავს აქტივების სახეს და სიღილეს, რომელიც გამოიყენება ფერმერის მიერ და ვალდებულებებს—კრედიტორების მიმართ. ბალანსის ორი ნაწილი ტოლია ერთმანეთის.

ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი ასახავენ აქტივების დაფინანსების ხერხს და წარმოადგენენ ფერმერის დავალიანებას გარეშე პირების მიმართ.

ფერმერული მეურნეობის ბალანსი ასახავს დროის მოცემულ მომენტში (წლის მანძილზე) მეურნეობის ფინანსურ მდგომარეობას და ოცვლება ყოველი საქმიანი გარიგების შესაბამისად, რადგან ყოველი გარიგება ფერმერის მხრიდან არის გაცვლა და აისახება ბალანსის ორივე მხარეს. მაგ., როდესაც ფერმერი ისტუმრებს ბანკის სესხს, ბალანსის პასივის მხარეს ჩნდება შესაბამისი პუნქტი (ჩანაწერი), ხოლო აქტივის მხარეს სესხის სიღიდით მცირდება ფულის რაოდენობა.

აქტივები იყოფა კატეგორიებად: მიმდინარე, შუალედური, ძირითადი.

მიმდინარე აქტივებს, ანუ საბრუნავ საშუალებებს მიეკუთვნება ისეთი საშუალებები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია საანგარიშო წლის ბოლომდე და მათი გადაყვანა ფულად რესურსებში იოლია. მიმდინარე აქტივებში შედის: ნაღლი ფული ჩეკებსა და დანაზოგებში, პირუტყვისა და მარცვლეული მარაგის შეფასება, რომელიც განკუთვნილია გასაყიდად. მარაგებს მიეკუთვნება წლის ბოლოსათვის არსებული ის მასალები, რომელიც გამოიყენება მომავალ წელს; მას მიეკუთვნება საწვავი, შხამ-ქიმიკატები, თესლი და სხვ.

შუალედური აქტივები განკუთვნილია წარმოების დახმარებისათვის. მას მიეკუთვნება: მანქანა-მოწყობილობები, სანაშენე პირუტყვი, შუალედური აქტივების მომსახურების ვაღები შეადგენს 1-დან 10 წლამდე.

ძირითადი ფონდები არსებობენ მუდმივად და შეადგენენ ფერმის შემოსავლის საფუძველს. ამ აქტივების მომსახურების ვადა აღემატება 10 წელს და მათი გაყიდვა იწვევს სერიოზულ ცვლილებებს საქმიან ოპერაციებში.

ვალდებულებები არის ფერმერის მიერ აღებული ვალები, რომლებიც უნდა გადაიხადოს დროის გარკვეულ მონაკვეთში. აქტივების ანალოგიურად, ისიც იყოფა მიმდინარე, შუალედურ და გრძელვადიან ვალდებულებებად.

მიმდინარეა ისეთი ვალდებულებები, რომლებიც გადახდილი უნდა იქნას მოკლე პერიოდში (წლის განმავლობაში).

შუალედურ ვალებს მიეკუთვნება ისეთი ვალები, რომელთა გადახდის ვადა შეადგენს 1-დან 10 წლამდე პერიოდს.

გრძელვადიანი ვალდებულებების გადახდის ვადა აღემატება 10 წელს. ასეთია: ბანკის გრძელვადიანი სესხები, იპოთეკა (სესხი, რომელიც გაიცემა უძრავი ქონების დაგრავებისათვის) და ა.შ.

საკუთარი კაპიტალის გაანგარიშებისთვის ფერმერი მთლიან აქტივებს აკლებს მთლიან ვალდებულებებს.

საკუთარი კაპიტალის მოცულობის ცოდნა ფერმერს საშუალებას აძლევს მზად იყოს სამეწარმეო რისკზე წასასვლელად.

ფერმერის საკუთარი კაპიტალის ცოდნა მეტად საჭირო კრიტერიუმია ინვესტორისა და კრედიტორისათვისაც.

თუ ფერმერი აიღებს სესხს მოწყობილობების შესაძნად, იგი ზემოქმედებს მის მთლიან აქტივებზე და ვალდებულებებზე, ხოლო საკუთარი კაპიტალი უცვლელი რჩება; თუ ფულადი საშუალებები გამოიყენება ოჯახისათვის, ამ დროს მცირდება საკუთარი კაპიტალი, ხოლო თანხები, რომელიც გათვლილია ფერმერული აქტივების შეძნისათვის, ხელს უწყობს საკუთარი კაპიტალის ზრდას.

ფერმერის პირადი მოხმარების აქტივები შედგება საოჯახო მოხმარების საგნებისაგან (ავეჯი და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები), საკუთარი ავტომობილის და საცხოვრებელი შენობებისაგან. ფერმერიდან ამოიღება მხოლოდ გადასახადები გაუთვალისწინებელი შემოსავლებიდან (მაგ. სახლის გაყიდვის შემთხვევაში).

20.2.3.4. ფერმერული მეურნეობის მოგვაბის გაანგარიშება

ფერმერული მეურნეობის მოგვაბა (ან ზარალი) იანგარიშება, როგორც სხვაობა შემოსავლებსა და ხარჯებს შორის (წლის მანძილზე).

ფერმერის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა.

რეალიზებული პროდუქციის ღრმულებას გამოკლებული ამ პროდუქციის წმინდა თვითღირებულება და საერთო საწარმოო ხარჯები უდრის მოგვაბს რეალიზაციიდან:

რეალიზაციიდან მიღებულ მოგვაბს დამატებული სხვა შემოსავლები და გამოკლებული სხვა ხარჯები უდრის დაუბეგრავ მოგვაბს;

დაუბეგრავ მოგვაბას გამოკლებული ბეგარა (გადასახადები) უდრის წლიურ წმინდა მოგვაბს.

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება და საერთო საწარმოო ხარჯები წარმოადგენს იმ ხარჯების ჯამს, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია პროდუქციის წარმოებასთან. ასეთ დანახარჯებს მიეკუთვნება: რეალიზებული პროდუქციის წმინდა თვითღირებულება, საერთო სავაჭრო ხარჯები (რეკლამა, საქონლის ბაზარზე გატანა), აგრეთვე შენობა-ნაგებობების და მანქანების (ტექნიკის) ამორტიზაცია.

სხვა შემოსავლებში აისახება შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითად სამეურნეო საქმიანობასთან (შემოსავლები მანქანა-დანადგარების გაყიდვა-გაქირავებით და სხვ.).

სხვა ხარჯებს (რომელიც უშუალოდ არ აისახება პროდუქციის თვითღირებულებაში და საერთო საწარმოო ხარჯებში) წარმოადგენს მაგ. ვალის კომერციული გადასახადი და სხვ.

წმინდა მოგვაბა წარმოადგენს ფერმერის შემოსავალსა და ხარჯებს შორის სხვაობას.

გადასახადების ჯგუფში შედის ის გადასახადები, რომლებსაც იხდიან ფერმერული მეურნეობები სამეწარმეო კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, საშემოსავლო გადასახადი, სოციალური უზრუნველყოფის, უმუშევრობის, მოგვაბის და სხვ. აგრეთვე, ეკოლოგიური გადასახადი და სხვ.

პრაქტიკაში პროდუქციის ღირებულების განსაზღვრის დროს საჭირო ხდება მოვახდინოთ ფულადი საშუალებების შემოსავლის კორექტირება სხვადასხვა მუხლის მიხედვით.

4.ტერმინები Terms

ომარ ქეშელაშვილი-
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

4.1. ეპონომიკა

სიტყვა „ეპონომიკა“ ბერძნული წარმოშობისაა და საოჯახო მეურნეობის გაძლიერების ნიშნავს. თანამედროვე გაგებითა და შინაარსით ეპონომიკა მრავლისმომცველი და მრავალწახნაგოვანი, თითქმის უნივერსალური ტიპისა და ხასიათის მეცნიერებაა, ამიტომაც უწოდა მას ნობელის პრემიის ლაურეატმა პოლ სამუელსონმა მეცნიერებათა მეცენ.

როგორც XIX საუკუნის დიდი ეპონომისტი ალფრედ მარშალი წერდა: „ეპონომიკა არის მეცნიერება ადამიანის ყოველდღიურიცხოვრების შესახებ“.

ლაკონური გაგებით ეპონომიკა, როგორც მეცნიერება, სწავლობს ადამიანების მიერ, თავიანთ განკარგულებაში არსებული რესურსების გამოყენებას, მათივე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ეპონომიკა წარმოებისა და მოხმარების ერთიანობაა. ამის შესაბამისად, ეპონომიკურ თეორიას გააჩნია შემდეგი ფუნქციები: შემეცნებითი, მეთოდოლოგიური, საპროგნოზო და პრაქტიკული (გამოყენებითი).

4.2. საბაზრო ეკონომიკა

საბაზრო ეკონომიკა-ეს რთული სისტემაა, სხვადასხვა ეკონომიკურ ქვესისტემათა კომპლექსია, რომელიც აუცილებლად გულისხმობს სათანადო და მხოლოდ მისი მექანიზმისათვის შესატყვის, გამართლებულ პოლიტიკურ და სოციალურ უზრუნველყოფას. უამისოდ საბაზრო ეკონომიკა წამოუდგენელია.

საბაზრო ეკონომიკა არის კერძო საკუთრებაზე, თავისუფალ მეწარმეობაზე და სრულყოფილ კონკურენციაზე დამყარებული ეკონომიკის ორგანიზაციის ისეთი სპეციფიკური ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს მოგების მიღებას და სტიქიურად თვითრეგულირდება სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა ეკონომიკური კანონების მოთხოვნების შესაბამისად.

საბაზრო ეკონომიკა ისეთი სისტემაა, რომელიც უცილობლად მოიცავს:

1. ფართო მასშტაბის კერძო საკუთრებას, მის სწორ პროპორციებს სახელმწიფო საკუთრებასთან;
2. სააქციო საზოგადოებების როგორც მისი „პირმშო“ განვითარებას;
3. თავისუფალ მეწარმეობას;
4. კონკურენციას;
5. შესაბამის ფონდებს დახმარებისა და მიყენებული ზარალის კომპენსაციისათვის;
6. თავისუფალ ფასწარმოქმნას;
7. შესაბამის დემოკრატიულ საკრედიტო სისტემას;
8. კონკურენტირებად ვალუტას;
9. კონკურენციას;
10. სამართლებრივ გარანტიებს;
11. იგი მოითხოვს შესაბამის ინოვაციურ მექანიზმებს, რომლის საშუალებითაც წახალისდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარება.

საბაზრო ეკონომიკა ისეთი მობილური სისტემაა, რომელიც თავად ქმნის მექანიზმს ადამიანთა ცხოვრების დონეში მომხდარი ცვლილებების რეგულირებისათვის.

4.3. ეპონომიკური სისტემა

ეკონომიკური სისტემა საზოგადოების (ხალხის) სამეურნეო ცხოვრების (ეკონომიკის გაძლიერების, წარმართვის) ორგანიზაციის ფორმა.

ეკონომიკური სისტემის ამოსავალი კრეტერიუმებია—საკუთრების ტიპი ეკონომიკურ რესურსებზე და საშუალება, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ეკონომიკური გადაწყვეტილება.

ეკონომიკური სისტემის წინაშე სამი ძირითადი ამოცანა დგას: რა ვაწარმოოთ, როგორ ვაწარმოოთ, ვისთვის (ან რატომ) ვაწარმოოთ.

გამოიყოფა ეკონომიკური სისტემის სამი ძირითადი ტიპი. ტრადიციული, მბრძანებლური (ცენტრალიზებული) და კაპიტალისტური (საბაზრო).

ტრადიციული ეკონომიკური სისტემა ეკონომიკური ცხოვრების ორგანიზაციის ისეთი წესია, სადაც ტრადიციულად მოქმედი ადათ-წესების შესაბამის-ად განისაზღვრება წარმოების პროცესი(ასეთი ეკონომიკა მხოლოდ გადმონაშობების სახით არის შემორჩენილი ზოგიერთ ტომსა და ადამიანთა ჯგუფში).

მბრძანებლური ეკონომიკური სისტემის დროს მიწა და კაპიტალის ძირითადი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებაა, ხოლო რესურსებს, გეგმის შესაბამისად, მართვის ცენტრალური ორგანოები ანაწილებენ.

ასეთ ეკონომიკას გვეძლებენ. ასეთი ეკონომიკის დროს მოთხოვნას განისაზღვრავს წარმოება, მაშინ, როდესაც, როგორც წესი, წარმოების მამოძრავებელი და გამსაზღვრელი უნდა იყოს მოთხოვნა.

კაპიტალისტური (საბაზრო) ეკონომიკური სისტემის დროს მიწა და კაპიტალი ცალკეული პირების საკუთრებაა და რესურსები ბაზრის საშუალებით ნაწილდება.

ამ სისტემის საფუძველია კერძო საკუთრება, მეწარმეობის თავისუფლება, პირადი ინტერესები და სტიმულები, კონკურენცია და სახელმწიფოს შეზღუდული როლი.

უკანასნელ წლებში სულ უფრო იზრდება სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი, რის გავლენითაც ჩამოყალიბდა შერეული ანუ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სისტემა (როგორც საბაზრო ეკონომიკური სისტემის ნაირსახეობა). ამ დროს ქვეყნის მასშტაბით რესურსების განაწილებას განსაზღვრავს როგორც სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებები, ისე საბაზრო ძალები და მოტივაციები.

ეკონომიკას ახასიათებს ციკლურობა. ციკლი მოიცავს 4 ფაზას: კრიზისს, დეპრესიას, გაცხოველებას, აღმავლობას. მთავარი ფაზაა კრიზისი, რომელშიც მოცემულია მთელი ციკლის ძირითადი ნიშნები. იგი გვიჩვენებს ეკონომიკის განვითარების არა მხოლოდ ზღვარს, არამედ მისი შემდგომი ზრდის იმპულსებს, მასტიმულირებელი ფუნქციის შესრულებით.

4.4. ბაზარი

ბაზარი არის მწარმოებელთა და მომხმარებელთა ურთიერთზე-მოქმედების ხერხი და კავშირი, რომელიც ემყარება საფასო სიგნა-ლების ღეცვენტრალიზებულ, უპიროვნო მექანიზმს. ზოგადი განმა-რტებით ბაზარი განისაზღვრება, როგორც სტიქიური წესრიგი.

ბაზრის წარმოშობა უშუალოდ უკავშირდება შრომის საზოგადო-ებრივი დანაწილების აღმოცენებას.

არსებობს ბაზრის 5 ნიშანი:

1. ბაზარი გულისხმობს მისადმი თავისუფალ ხელმისაწვდომობას და მისგან თავისუფალ გამოსვლას, ამიტომ მონაწილეობა რაოდენობა ბაზარზე შეზღუდული არ არის;
2. რამდენადაც ბაზარზე მონაწილეობს საქონელმწარმოებელთა დიდი რაოდენობა, იმდენად თითოეული მათგანის მიერ დაწესებული ფასი მნიშვნელოვან ზეგავლენას ვერ ახდენს საერთო საბაზრო ფასზე;
3. ბაზარზე არსებობს სრული თავისუფლება მატერიალურ-ფინანსუ-რი და ადამიანური ფაქტორების გადაადგილებაში;
4. ბაზარმა ყველა მისი მონაწილეობათვის თანაბარი შესაძლებლობები უნდა უზრუნველყოს. ამიტომა მიღებული თითოეულის უფლება სრულ ინფორმირებულობაზე მიწოდებისა და მოთხოვნის შესა-ხებ, ფასებზე, საქონელთა სპეციფიკაზე და ა.შ.;
5. თავისუფალ ბაზარზე გამორიცხულია რაიმე პრივილეგიები გამყი-დველთა ცალკეული ჯგუფისათვის.

ბაზარს გააჩნია შემდეგი მთავარი ეკონომიკური ფუნქციები: ფასწა-რმოქმნის; ინფორმაციის; წარმოების თვითორეგულირების; მასტიმული-რებელი; მარეგულირებელი; ეკონომიკურობის; ექვივალენტურობის; მეურნეობრივი საქმიანობის დემოკრატიზაციის.

თავისუფალი (კლასიკური) ბაზარი შემდეგი ნიშნებით ხასია-თდება:

- მონაწილეების შეუზღუდავი რაოდენობა;
- თავისუფალი კონკურენცია;
- საზოგადოების ყველა წევრისათვის თავისუფალი ხელმისაწვდო-მობა ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობისადმი;
- წარმოების ფაქტორთა აბსოლუტური მობილურობა, კაპიტალის გადაადგილების შეუზღუდავი თავისუფლება;
- მოგების ნორმის, მოთხოვნის, მიწოდების და სხვათა შესახებ აბსოლუტური ინფორმაციულობა;

- თავისუფალი კონკურენციის არცერთ მონაწილეს არ შეუძლია უშუალო ზეგავლენა მოახდინოს სხვის გადაწყვეტილებაზე არაუკონომიკური მეთოდებით;
 - ფასები ყალიბდება სტიქიურად, თავისუფალი კონკურენციის პირობებში;
 - არ არსებობს მონოპოლიზმი და სახელმწიფო რეგულირება. ამ ნიშნების მხედველობაში მიღებით დგინდება, რომ ბაზარი არის თვითრეგულირებადი სისტემა.
- არსებობს კიდევ: მიზნობრივი ბაზარი, რეგიონული ბაზარი, შავი ბაზარი (ყალიბდება კანონმდებლობის დარღვევით).

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა არ ნიშნავს თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბებას. სინამდვილეში სრული თავისუფლება და შესაბამისად სრული ეკონომიკური თავისუფლება არ არსებობს, თუმცა უნდა იყოს საკმარისი ეკონომიკური თავისუფლება, რომელიც ზელს უწყობს ეკონომიკის სწრაფ განვითარებას და მიიღწევა რეგულირებული ბაზრის განვითარებით.

ბაზრის სისტემა. ობიექტების მიხედვით ბაზარი იყოფა: საქონლის და მომსახურების; სამუშაო ძალის; წარმოების საშუალებათა (კაპიტალის); ფასიანი ქაღალდების; ვალუტის; მეცნიერულ-ტექნიკურ მიწოდებათა და პატენტების; ინფორმაციის; მიმოქცევის საშუალებათა; ლიცენზიათა ბაზარი და ა.შ.

ტერიტორიული ნიშნით განასხვავებენ: ადგილობრივ და რეგიონულ, საშინაო და საგარეო ბაზარს, ეროვნულ და მსოფლიო ბაზრებს;

გაჯერებულობის მიხედვით განასხვავებენ: წონასწორობით, დეფიციტურ და ჭარბ ბაზრებს, აგრეთვე კონკურენტულ ბაზარსაც.

ბაზრის აუცილებელი რეგულატორია კონკურენცია და ფასების მექანიზმი.

ბუნებრივია დაიბადება კითხვა-მრავალმხრივი რისკის პირობებში ბაზარი რეგულირებადი უნდა იყოს თუ სტიქიური? ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მოწინააღმდეგეთა პოზიციები ყოველმხრივ დასაბუთებულია. როგორც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, საბაზრო ეკონომიკა ძირითადად უნდა იმართებოდეს. რეგულირება კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ შემუშავდეს საერთო ხაზი (სტრატეგია), მაგრამ იგი არ უნდა მოიცავდეს კერძო ინიციატივის კოორდინაციას.

უკანასკნელ ხანს ფეხს იკიდებს ისეთი ფორმა, როგორიცაა „შერეული ეკონომიკა“. ეს ნიშნავს სახელმწიფო და კერძო სექტორების ინტეგრირებას. კერძო სექტორში თვითრეგულირების და ნაწილობრივ სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი მოქმედებს,

სახელმწიფო სექტორში კი ადმინისტრაციული რეგულირებისა, უფრო სწორად კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე რეგულირებისა, რასაც არავითარი კავშირი არ აქვს დირექტიული მეთოდების გამოყენებასთან.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკა, როგორი მოდელისაც არ უნდა იყოს იგი, უნდა ეყრდნობოდეს ერთის მხრივ თვითრეგულირებას, მეორეს მხრივ იურიდიული აქტებითა და ეკონომიკური ბერკეტებით რეგულირებას.

4.5. ეპონომიკური პოტენციალი

ამჟამად მთელი მასშტაბურობით დგება წარმოების ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცების ამოცანა.

ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება ბევრ ურთიერთდაკავშირებულ პრობლემას მოიცავს, რასაც უწინარეს ყოვლისა, განაპირობებს ჯერ ერთი, ცალკეული რეგიონების მიხედვით თვით ამ პოტენციალის მნიშვნელოვნად განსხვავებული დონე და, მეორეც, მისი ეფექტიანად გამოყენების ასევე განსხვავებული პირობები, შესაძლებლობები და პერსპექტივები.

ეკონომიკურ პოტენციალს კომპლექსური გაგება აქვს. მასში აკუმულირებულია წარმოების მთელი რესურსები, რეზერვები და შესაძლებლობები. იგი მოიცავს მიწის, მატერიალურ-ტექნიკური და შრომის რესურსებს, მათი და ინტენსიფიკაციის საშუალებების ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობებს და ბერკეტებს და, საბოლოოდ, განსაზღვრავს მთელი საწარმოს ეკონომიკურ სიძლიერეს.

ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცება უშუალოდ უკავშირდება წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფას, შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის ფართოდ დანერგვას, ეკონომიკური მექანიზმის თთოვეული ელემენტის ურთიერთშეთანაწყობილ, ღრმად მიზნობრივ, დიფერენცირებულ და რეგულირებულ გამოყენებას, წარმოების ინფრასტრუქტურის სრულყოფას, მეცნიერული რეკომენდაციების შეუფერხებელ და ეფექტურ დანერგვასა და ათვისებას.

4.6. ბიზნესი

საბაზრო ეკონომიკის განვითარებისა და კომერციული საქმიანობის მასშტაბების ზრდის კვალობაზე ეკონომიკურ აზროვნებასა და ტერმინოლოგიაში გაჩნდა ახალი ცნებები და სიტყვები. ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ, მოდურ და მართლაც საქმიან ცნებად იქცა „ბიზნესი“, რომელიც სწრაფად შეეჩერია ადამიანების, განსაკუთრებით საქმოსნების, კომერსანტთა ყურთასმენას და მათ ლექსიკურ არსენალში თითქმის პირველი ადგილი დაიკავა.

ბიზნესი პრობლემათა მთელი ჯაჭვია და სწორედ ამით არის გაპირობებული მისი სირთულე და მრავალწახნაგოვნება. ამასთან, ბიზნესით გატაცება, მთელი ინტერესი, სიდიადე და, რაც მნიშვნელოვანია, თვითკმაყოფილების ხარისხი ამ პრობლემათა დაძლევასა და გადაწყვეტაშია.

თავდაპირველად, ეს ინგლისური სიტყვა (რომელიც საქმიანობას ნიშნავს), ინგლისა და აშშ-ში გაჩნდა და ასახავდა თავისუფალი მეწარმეობის იმ გაქანებას, რომელიც თან სდევდა ამ ქვეყნებში XVIII-XIX საუკუნეების სამრეწველო რევოლუციას. შემთხვევითი არ არის, რომ ამ ქვეყნებში გამოცემულ განმარტებით ლექსიკონებში „ბიზნესი“ ახსნილია, როგორც კომერციული საქმიანობა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრების წესს და საშუალებას აძლევს მას იყოს თავისუფალი აზროვნებასა და გადაწყვეტილების მიღებაში.

მთავარი სწორედ ის არის, რომ თავისუფლება ეკონომიკურ აზროვნებასა და სამეცნიერო საქმიანობაში უფლებას აძლევს ადამიანს, რომელიც მზად არის გარისკოს კაპიტალით და საკუთარი დროით, თქვას, რომ იგი დაკავებულია ბიზნესით.

ბიზნესი—ეს არ არის ადამიანის უბრალოდ ცხოვრების წესი, რომელიც საშუალებას აძლევს მას ფული გააკეთოს. ფულს ზოგიერთი შემთხვევითი ადამიანიც აკეთებს, ბიზნესი, რასაკვირველია, არ უარყოფს ეშმაკობასა და თამაშს, მაგრამ არასოდეს არა აქვს საქმე მოპარვასთან.

როგორც ბიზნესის დიდი ხნის ისტორია გვასწავლის, იმისათვის, რომ გქონდეთ ძლიერი და მყარი ბიზნესი, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ფლობდეთ ნათელ გონებას, მეწარმეობის ნატურას და რაც მთავარია, იმ საგნის (ობიექტის) ღრმა ცოდნას, რასთანაც დაკავშირებულია ბიზნესი.

ბიზნესში ყველა მოქმედებს ისე, როგორც მას აწყობს და აბსოლუტურად როგორც მისთვისაა გასაგები.

უნდა ითქვას, რომ ამჟამად სიტყვა „ბიზნესი“ სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება, კერძოდ, როგორც რაიმე საქმიანობა, კომერციული საქმიანობა, სავაჭრო ოპერაციები, მეწარმეობა, პროფესია, საქმიანი წრე, საქმიანი ცხოვრება, სერვისული კომერციული სამსახური, მარკეტინგული ურთიერთობები, ფირმისა თუ სხვა კომერციული სტრუქტურების ფუნქციონირება და სულაც უბრალოდ შემთხველის წყარო და ა.შ., რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მრავლისმომცველი და ტევადი ცნებაა და იმაზეც მიგვანიშნებს, რომ მისი გაგება გარკვეულ შეზღუდვას მოითხოვს.

ამრიგად, ბიზნესი—ეს არის ცოდნისა და კომერციული საქმიანობის კონკრეტული სახეების მოელი სისტემა. იგი მიმართულია პიროვნების მიერ საქონლის გამოშვებაზე (რაიმე მომსახურებაზე და ა.შ.), რომელსაც აქვს: მომხმარებლისათვის სასარგებლო თვისებები, აკაციულურების მათ მოთხოვნებს და ყველაფერი ეს უკავშირდება მოგების მიღებას.

ბიზნესი, უპირველეს ყოვლისა, არის წარმოების პროცესი, მომსახურების სფერო, სავაჭრო და საბირჟო საქმიანობა. იგი უპირატესად არის ცოდნისა და ინტელექტუალური პოტენციალის გონივრული გამოყენება, მომჭირნეობა და ყაირათიანობა, საფინანსო რესურსების უნარიანი ათვისება; ამასთან, არის ტექნოლოგიური სრულყოფა და გაჯერება. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, იგი არის მენეჯმენტის სწორი და მართვადი პროცესი, რომელიც თავისივე საიდუმლოს ეყრდნობა და მოგებას უზრუნველყოფს.

ბიზნესი, ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ყველა სხვა სახისაგან განსხვავებით, ფლობს უნიკალურ თვისებას—გაათავისუფლოს ინდივიდი ზემოდან მბრძანებლური სისტემით თავსმოხვეული დამოკიდებულებისაგან.

სამეურნეო საქმიანობის უხეში რეგლამენტირება და ბიზნესი ერთმანეთთან შეუთავსებლები არიან, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ბიზნესი ახლოა ანარქიასთან. ბიზნესმენი, როგორც წესი, ხარბად მიდის სახელმწიფოს მიერ მისი საქმიანობის რეგლამენტირებისაკენ, გარკვეულ ზღვრამდე. ეს ზღვარი დგება მაშინ, როცა სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში მამუწრუჭებელი ხდება, მოგების ზრდისა და მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით.

საერთოდ, ბიზნესი წარმოდგენილია მრავალმხრივი ფორმით. თითოეული მათგანი დაკავშირებულია მეწარმეთა კონკრეტულ საქმიანობასთან.

ბიზნესს დიდი და მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. იგი ავითარებს და მაღალ საფეხურებზე აპყავს საწარმოო მაღლები და წარმო-

ებითი ურთიერთობები. ასრულებს წარმოების (მომსახურების) და მოხმარების ურთიერთშეთანაწყობილი სისტემის სრულყოფის, რეგულირებისა და სტიმულირების გადამწყვეტ როლს; სრულყოფს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და დემოგრაფიულ გარემოსა და სიტუაციებს. ქმნის ადამიანთა პარმონიული განვითარების ოპტიმალურ და სტაბილურად სრულყოფად პირობებსა და შესაძლებლობებს, ხელს უწყობს ინტელექტუალური პოტენციალის რაციონალიზაციისა და მომგებიან გამოყენებას, საშუალებას იძლევა რეალურად განვჭროტო მომავალი და შევქმნათ მისი რეალიზაციის მყარი საფუძველი.

ბიზნესს თავისი მიზანი აქვს. საყურადღებოა, რომ შეცდომების 90% მართვაში სწორედ იმს გამო ხდება, რომ არ არის, ანდა შეცდომით არის განსაზღვრული მიზანი.

აღსანიშნავია, რომ თანდათანობით რთულდება სამეწარმეო საქმიანობა, რაც იწვევს ბიზნესში წარუმატებლობის-მარცხის ზრდას, აშშ-ში უკანასკნელი 3 ათწლეულის მანძილზე მარცხის პროცენტი ბიზნესში ორჯერ გაიზარდა, ამიტომაც განსაკუთრებულ როლს იქნის ბიზნესის სწორი და დინამიურად სრულყოფილი ორგანიზაცია და მისი გენერალური მიზნის დასაბუთებული განსაზღვრა.

ბიზნესის გენერალურმა მიზანმა პასუხი უნდა გასცეს შემდეგ კითხვებს: რას წარმოადგენს საწარმო; რატომ შეიქმნა და არსებობს იგი; როგორია მისი ადგილი ბიზნესში.

ასეთი მიზნის არჩევა იმას ნიშნავს, რომ პასუხი გაეცეს ძირითად კითხვას: „რით ვსაქმიანობთ და რითით უნდა ვსაქმიანობდეთ“.

იმისათვის, რომ საწარმო ფუნქციონირებდეს და ვითარდებოდეს, აუცილებელია შემოქმედებითად შეირჩეს და მუდმივად (პერიოდულად) ზუსტდებოდეს გენერალური მიზანი.

4.7. მოგება

მოგება მეწარმის ერთობლივ შემოსავალსა და დანახარჯებს შორის სხვაობაა. ცხადია, როცა პირველი აღემატება მეორეს.

თანამედროვე მიღებით მოგების (როგორც საქონლის ღირებულების ორგანული შემადგენელი ნაწილის) შექმნაში მეტ-ნაკლები ზომით წარმოების ყველა ფაქტორი (შრომა, მიწა, კაპიტალი, მეწარმეობრივი უნარი) მონაწილეობს.

ქვეყნის მასშტაბით მოგების სახეობათა ერთობლიობა ქმნის მოგების ერთიან სისტემას.

საწარმოს (ფირმის) დონეზე განასხვავებენ:

- მთლიან (საბალანსო) მოგებას;
- ძირითადი ფონდებისა და სხვა ქონების რელიზაციიდან მიღებულ მოგებას;
- არარეალიზებული ოპერაციებიდან მიღებულ მოგებას;
- წმინდა ეკონომიკურ მოგებას.

წმინდა მოგება არის მთლიანი მოგება გადასახადების გამოკლებით.

მოგებას თუ შევაფარდებთ პროდუქციის სრულ თვითდირებულებასთან (წარმოებაზე და რეალიზაციაზე გაწეული ხარჯები) მივიღებთ მიმდინარე დანახარჯების ეფექტურიანობას, რაც ფაქტობრივად პროდუქციის (წარმოების) რენტაბელობაა.

საწარმოს (ფირმის) რენტაბელობის ნორმა განისაზღვრება შემდეგნაირად: მოგება (მთლიანი) უნდა შევუფარდოთ წარმოების ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი საშუალებების ჯამს.

„**უკანალის „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და
ტექნოლოგიები“-ის თემატიკური სტრუქტურული სქემა
(განყოფილებები)**

- I. ზოგადი მიწათმოქმედება—ნიადაგის დამუშავება, ნათესების სტრუქტურა და ნათესების მოვლა, ინტენსიური მიწათმოქმედების სისტემა, თესლ-მცოდნება, პროგრამირებული მოსავლის მიღება.
- II. მემცნარეობა (კერძო მიწათმოქმედება)—მარცვლეული კულტურები, მარცვლეულ-პარკისანი კულტურები, ბოსტნეული და ბალჩეული კულტურები, კარტოფილი, თამბაქო, მზესუმზირა, შაქრის ჭარხალი, ეთერზეთოვანი კულტურები, საკვები კულტურები და საკვეწარმოების სისტემა, ვაზი, ხეხილოვანი კულტურები.
- III. სელექცია, გენეტიკა, მეთესლეობა
- IV. ნიადაგმცოდნება და ნიადაგის განვითარების სისტემა.
- V. მელიორაცია და ირიგაცია.
- VI. მცენარეთა დაცვა და მისი ინტეგრირებული სისტემა.
- VII. მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია.
- VIII. აგროსატექნიკა-სამელიორაციო ღონისძიებები.
- IX. ნიადაგის ეროზია და მასთან ბრძოლის ღონისძიებები.
- X. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები.
- XI. მეცხოველეობის ინტენსიური სისტემები.
- XII. ვეტერინარიულ ღონისძიებათა სისტემა.
- XIII. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება და შენახვა.
- XIV. **აგრარული ეკონომიკა და ბიზნესი**
დარგობრივი და რეგიონული ეკონომიკა; მდგრადი განვითარება; აგრობიზნესი; აგრომარკეტინგი; აგრომენჯინგი; ინსტიტუციონალური სისტემა და ეკონომიკური მექანიზმი; თეორია და მეთოდოლოგია; ინტერგრაცია და ოპტიმიზაცია; ფინასები, კრედიტი, ფასწარმოქმნა; საბანკო ურთიერთობები; საგადასახადო სიტემა; სერვისი და ინფრასტრუქტურა; აგროტექნიზმი; აგრარული ბაზარი; სასურსათო უსაფრთხოება; სამეურნეო რისკი; პროგნოზირება და მოდელირება; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი; საწარმოო-რესურსული პოტენციალი; განათლება და მეცნიერება; მეცნიერტეგადობა; ინოვაციური ეკონომიკა; ინკუსტიციური გარემო; ეკოლოგია და ბუნებათსარგებლობა; აგრარული სექტორის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ინფორმაციული ტექნოლოგიები და უზრუნველყოფა; საქმიანი ურთიერთობების ეთიკეტი; აგრარული ეკონომიკური ფინანსობრივი ფინანსები; შრომის ფინანსობრივი; ნორმატიულ-საცნობარო მასალები.
- საქონსულტაციო დარბაზი.
- სადისკუსიო კლუბი.
- უწყვეტი აგრარულ-ეკონომიკური განათლების სალექციო ციკლი.
- სანფორმაციო მაცნე.

აგრარული და აგროეკონომიკური ტერმინოლოგია.

საზღვარგარეთელ მეცნიერთა შრომები.

სხვადასხვა.

XV. ეკონომიკური თეორია.

XVI. გლობალიზაციის პრობლემები და გლობალიზაციის ტექნოლოგიები.

XVII. საბაზრო ურთიერთობები.

XVIII. ეკონომიკური უსაფრთხოება.

XIX. ეკონომიკური მეთოდოლოგია და მეთოდიკა.

XX. სოციალური და დემოგრაფიული პრობლემები.

XXI. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები.

XXII. მსოფლიო ეკონომიკა.

XXIII. საერთაშორისო ორგანიზაციები და კონვენციები.

XXIV. ადამიანური რესურსები, მისი ეკონომიკა და მენეჯმენტი.

XXV. ადამიანური ცოდნის საექსპორტო სისტემები და ხელოვნური ინტელექტი.

XXVI. მოხმარების რაციონალიზაცია.

XXVII. მთავარი რაიონების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები.

XXVIII. რეკრეაციული რესურსების გამოყენება.

XXIX. მეორადი ნედლეულის გამოყენება და უნარჩენო ტექნოლოგიები.

XXX. ელექტრონული მართვის პრობლემები.

ამას გარდა შეინარჩ აქვს საგანგებო განყოფილებები:

1. მთავარი რედაქტორის სვეტი.

2. სოფლის მეურნეობის დარგის სახელოვანი მეცნიერები.

3. გამოჩენილი აგრარიკის-ეკონომისტი მეცნიერები.

4. სიტყვა აკადემიკოსს.

5. კომპიუტერული აზრი.

6. დოქტორანტთა დარბაზი.

7. ბაკალავრთა დარბაზი.

8. ახალგაზრდა მეცნიერის პოზიციები.

9. და სხვა.

შინაარსი—CONTENTS

	83·
1. ეკონომიკა და ბიზნესი- Economics and Business	5
ომარ ქეშელაშვილი-მარცვლურის წარმოების, როგორც სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრიორიტეტული მიმართულების მნიშვნელობა, მისი საექსპორტო-საიმპორტო ბალანსი და პროპორციები	5
O. Keshelashvili- The Importance of Grain Production as a Priority in Food Safety of Georgian Agriculture; Its Export-import Balance and Proportions	12
ა.მესხიშვილი- საქართველოში 1992 წლიდან კერძო საკუთრებაში გადაცემული მიწების რეგისტრაციის საკითხები	13
A. Meskhishvili-Issues of land registration in private ownership since 1992	19
დალი სილაგაძე-აგრობიზნესის რესურსული პოტენციალი საქართველოში	20
Dali Silagadze Agribusiness Resource Potential in Georgia	26
დალი სილაგაძე-აგრარული სექტორის რეალური ზრდის ტემპის მონაცემები	27
Dali Silagadze- The actual growth rate of the agrarian sector	33
მანანა შალამბერიძე- საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები აგრობიზნესში	34
Manana Shalamberidze- Information-consulting services in agribusiness	37
2. პავბის მრეწველობა- Food Industry	38
ნ.ბაღათურია, ნ.ბეგიაშვილი, მ.ორმოცაძე ც.შილაკაძე, ბ. ბალა- თურია ბოსტნეულის წვენების ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორები	38
N.Baghaturia, N. Begiashvili, M. Ormotsadze, T.Shilakadze, B.Baghaturia Quality determining factors of vegetable juices	45
ნ. ბაღათურია, ნ.ბეგიაშვილი, მ.ორმოცაძე, ც. შილაკაძე, ბ.ბალა- თურია-ზიღ-კენკროვანთა დასპირტული და დაღუღებულ-დასპირტუ- ლი წვენების ნატურალობის მაჩვენებელი კრიტერიუმები	46
N.Baghaturia, N.Begiashvili, M.Ormotsadze, T. Shilakadze, B.Ba- ghaturia-Criteria showing the naturalness of the fruit and berry juices preserved and fermented in alcohol	53

თ.ფალავანდიშვილი, გ.დანელია-საქართველოს ბაზრის სეგენტში გაადგილებული სამამულო და იმპორტული ხორბლის მარცვლის, ფქვილის და მისგან წარმოებული პურ-პროდუქტის ეკოქიმიური ექსპერტიზა	54
T. Palavandishvili, G. Danelia—Ecochemical examination of local and imported grain wheat, flour and bakery products in the Georgian market segment	65
3. უფლებამო სტაციონარული დარბაზი-Concstant Studying Hall	
(ო. ქეშელაშვილი, O. Keshelashvili)	66
ლექცია 20 ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტი	66
20.2.ფერმერული მეურნეობის ბიზნეს-გეგმა, როგორც მენეჯერის ძირითადი სამოქმედო პროგრამა და მისი შედგენის პრაქტიკა	66
20.2.1 ფერმერული მეურნეობის ფუნქციონირების მიზნის დასახვა და მის მიხედვით მართვის რეკომენდაციები	66
20.2.2. ბიზნეს-გეგმის მნიშვნელობა და მისი შედგენის ორგანიზა- ცია	69
20.2.2.1. ბიზნეს-გეგმის მნიშვნელობა	69
20.2.2.2. ბიზნეს-გეგმის შედგენის ორგანიზაცია	71
20.2.3. ბიზნეს-გეგმის სტრუქტურა და მისი შედგენის პრაქტიკა	76
20.2.3.1. ბიზნეს-გეგმის სტრუქტურა (აგებულება)	76
20.2.3.2. ფერმერული მეურნეობის განვითარების საწარმო პროგრამის შედგენა.....	78
20.2.3.3. ფერმერული მეურნეობის საფინანსო გეგმა (ბალანსი) და მისი შედგენა	80
20.2.3.4. ფერმერული მეურნეობის მოგების გაანგარიშება	84
4. ტერმინები-Terms	
(ო. ქეშელაშვილი, O. Keshelashvili)	85
4.1. ეკონომიკა	85
4.2. საბაზრო ეკონომიკა	86
4.3. ეკონომიკური სისტემა	87
4.4. ბაზარი	89
4.5. ეკონომიკური პოტენციალი	91
4.6. ბიზნესი	92
4.7. მოგება	95
შინაარსი-CONTENTS	98

მოთხოვნები დასაბეჭდად წარმოსაღენი სტატიების მიმართ:

1. სტატიის მოცულობა—5-6 გვ-მდე; ნაბეჭდი (LitNusx—11; 1,0 ინტერვალზე). სათაური LitMtavrPS —11, ფორმატი Pege Setup-ში: Top 1.0; Left 15.8; Bottom 1.0.; Right 1.0.);, ერთი ეგზემპლარი და CD-ზე. არ გადატვირთოთ დიაგრამებითა და სქემებით, ცხრილები უნდა იყოს კომპაქტური, ვერტიკალურად ნაბეჭდი.
2. სტატიას უნდა ახლდეს რეფერატი (ინტერნეტული ვერსია—0,5 გვერდამდე) ქართულად და ინგლისურად;
3. სტატია წარმოადგინეთ კვარტლის პირველ თვეს.

2018 წლის II კვარტალი

ტექნიკური რედაქცია:

გმოსაშვილი-ტექტიკის აკადემიური დოქტორი-ტექნიკური რედაქტორი, ვებ-გვერდის რედაქტორი, კომპიუტერული უზრუნველყოფა: ინგლისური ვერსია-ი.ბახტაძე, თ. ეპიტაშვილი.

ჟურნალის დამფუძნებელი და გამომცემელია

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი.

ჟურნალის გამომცემლები და ფინანსური მხარდამჭერები არიან:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (პრეზიდენტი აკადემიკოსი გ.ლექსიძე), შპს-პროფესიონალ კონსულტანტთა ჯგუფი (დირექტორი სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი დ.ეგიაშვილი),

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 5,7

პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 6.3